

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური

ძიებანი

X

თბილისი

2013

**UDC (uak) 81373.6(0512)**

ე-871

**„ეტიმოლოგიური ძიებანი“** ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ არაბული** (მთავარი რედაქტორი)

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა დლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა**

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ISSN 1987 - 9946**

## ლევან კელაშრაძე

### დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატები და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური არქეტიპები, ასევე დამატებითი მასალა ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის.

#### **\*ბაყტ-**

ქართ. **ბაყე-ი** (საბა) “მუჯლს ზეითი”, (ქეგლ) “ბარძაყი, ბარძაყის შიგნითა მხარე; თეძოს ძვალი”.

კოლხ. **ბოყე-ი** (მეგრ. – ქობალია) “ზურგის ძვალი”, [მეგრ.] > (იმერ.) ბოყე-ი “საჯდომი ძვალი”.

+ სვან. (ლშხ. – დონდუა) **ბაყტ-ია-ჲ**, **ბლაყე-ია-ჲ**, (ჩღრ. – ლიპარტელიანი) **ბაყტ-ია-ჲ** “მსუქანი, დიდი, ზორბა”.

ქართული და კოლხური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ **\*ბაყტ-** არქეტიპს (კლიმოვი 1998, 9; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 99, ფენრიხი 2007, 53). ვფიქრობ, შესაძლებელია ამ ფორმებთან კ. დონდუასა და ა. ლიპარტელიანის ლექსიკონებში დადასტურებული სვანური (ლაშხური და ჩოლურული) **ბაყტ-** ძირის დაკავშირება. სვანური **ბაყტ-ია-ჲ** ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა “ბაყვა”, ანუ “სქელი ბაყვების მქონე” უნდა ყოფილიყო. **ბლაყტ-** <**\*ბაყტ-** ლ-ს განვითარებით. სვანურ ფორმებში გამოყოფილი **-ია-** სუფიქსისათვის იხ. აქვე: **\*-ია**.

#### **\*ბუჟ-/ბუჟილ-**

ქართ. **და-ბუჟე-ბა** “გრძნობიერების დროებით დაკარგვა ან დასუსტება სხეულის რომელიმე ნაწილში”, **ბუჟილ-ი** “სუსტი, დაბალი, გაბმული ხმაურის შეგრძნება ყურებში; თავისებური შეგრძნება, რომელიც დამახასიათებელია დაბუჟებული ხელებისათვის, ფეხებისათვის”, **ბუჟი-ის** “ჟიჟინებს, ჟრიალის ხმას გამო-სცემს”.

სვან. (ბზ.) ბჟღლ-მა-ბჟღლ, (ბქ., ლნტ.) ბჟღლ-მა-ბჟღლ “ზუ-ზუნი, ბზუილი, უიუინი”.

ჩემი აზრით, არ გვაქვს საფუძველი სვანური ბჟღლ- (<\*ბჟღლ- <\*ბჟღლ-ილ-) ექსპრესივი (რედუქციის სახით > ბჟღლ-მა-ბჟღლ-) მაინცდამაინც ქართულიდან ნასესხებად მივიჩნით, ისევე როგორც ნასესხები არ უნდა იყოს არც ერთი ქვემოთ წარმოდგენილი იმ სვანურ (და ასევე კოლხურ) ექსპრესივობაგანი, რომელთა ძირშიც ჟ ფონემა დასტურდება. ამდენად, შესატყვისობა ქართული ჟ : კოლხური ჟ : სვანური ჟ რეგულარული ხასიათისაა. მაგრამ მაშინ ასახსნელია, თუ რატომ არ მოგვცა სქ \*ჟ ფონემამ სქ ფუძეების დასავლურ დიალექტურ არეალში, რომლის გაგრძელებასაც კოლხური და სვანური წარმოადგენს, მოსალოდნელი (შმიდტი 1962, 57, მაჭავარიანი 1965, 39) \*ჟგ ბგერათკომპლექსი.

როგორც ჩანს, ამის მიზეზი სქ-ურ შუასიბილანტურ \*ზ1 და უკანასიბილანტურ \*ჟ ფონემათა დაბალ სიხშირესა და მათი ოპოზიციის (\*ზ1 : \*ჟ) დაბალ ფუნქციურ დატვირთვაში მდგომარეობდა, რის გამოც მათი რეფლექსების დამთხვევას (\*ზ1 > ჟ, \*ჟ > ჟ) აღნიშნულ დიალექტურ არეალში არ უნდა მოჰყოლოდა იმ რაოდენობით ომონიმთა ჩამოყალიბება, რასაც დანარჩენ, უფრო მაღალი სიხშირის, შუასიბილანტურ და უკანასიბილანტურ ფონემათა რეფლექსების დამთხვევისას ექნებოდა ადგილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორივე ფონემა უმთავრესად ექსპრესიულ ძირებში ვლინდებოდა. სქ \*ჟ ფონემასა და ქართველურ ენებში მის რეფლექსებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებებისათვის იხ.: გონიაშვილი 11-137, აბაშია 2003, 5-9, შენგელია 2006, 17-25, მელიქიშვილი 2009, 97-106.

#### \*დღალ-ა-

ქართ. დღალ-ა (საბა) “რქამოკლე”, (ფშ., ხევს., გურ.) “ურქო ძროხა ან პირუტყვი საერთოდ”, (მესხ.) დღალ-ოკ-ა “პატარა რქა მსხვილფეხა საქონლისა”, (ხევს.) დღორ-ია “ურქო ცხოველი”, დღული-ა (გურ.) “რქამოტეხილი ხარი”, (შ. ფუტკარაძე) დღალ-ია “ურქო პირუტყვი (თხა, ცხვარი, ძროხა)”...

კოლხ. (მეგრ.) **ღულუ, ღურუ, ტულუ** “ურქო ან ძალიან მოკლერქიანი ცხოველი (ძროხა, თხა...)”...

+სვან. **დტალ-აჲ** (ჩღრ. – ლიპარტელიანი) “ურქო ცხვრის ჯიში”.

ქართული და კოლხური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ **\*დოლ-** არქექტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 176-177; ფენრიხი 2007, 136-137; კლიმოვი 1998, 42). სვანური **დტალ-** ძირი, რომელიც ა. ლიპარტელიანის ლექსიკონში დასტურდება, კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ და კოლხურ (მეგრულ) კოგნატებს და სქ ფუძე-ენის დონისათვის **\*დტალ-** არქექტიპს აღგვადგენინებს. **\*დტალ-** ძირის სქ-ური ხნოვანების გათვალისწინებით, ბალტიურ ენებში გამოვლენილი პარალელები ქართველიზმებად უნდა მიიჩნეს, და არა – პირიქით, როგორც ამას გ. კლიმოვი თვლიდა (კლიმოვი 2009, 101-103)

#### **\*ტარ-**

ქართ. **ურა** “მამალი კვიცი”.

სვან. (ბზ.) **ტარ-ილ** “თავნება ცხენი”.

საბასთან **ურა** განმარტებულია, როგორც “ახტა (=მამალი) კიცივი”. მისი შესატყვისი ჩანს სვან. (ბზ.) **ტარ-** ძირი.

#### **\*ტრცინ-**

ქართ. **ვრცინ-ი, ქურცინ-ი** “ქრცვინი (*Mustela putorius*); ვირთხა”.

სვან. **ურშტნა, ურშონა** “თრითინა”.

ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულ **ვრცინ-** ძირის კანონზომიერ შესატყვისად სვანურში მოსალოდნელი იყო **\*ურჩინ-** ან **\*ურშინ-** (<**\*ტგრჩინ-**< **\*ტრცინ-**), მაგრამ სქ-დან მომდინარე ეს ჰიპოთეტური ძირი, ჩანს, მეგრულიდან ნასესხებ **ურშონა, ურშტნა** (“უხსენებელი, გველი”) ფორმას “შეემსგავსა”. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული **ვრცინ-** საერთო-ქართველური წარმომავლობისაა, სომხური **վրժին / վրժին** “ფუნჯი” სწორედ ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები (თუკი აქ საერთოდ შესაძლებე-

ლია სესხებაზე საუბარი), და - არა პირიქით, როგორც ამას ნ. მარი ვარაუდობდა (იხ. მარი 1935, 106; ქართული ვრცინი/ქურცინი ფორმებისა და მარის სხენებული ვარაუდის შესახებ იხ. ასევე ქერქაძე 1974, 80-82).

### **\*თეჷ-**

ქართ. (გუდ., მთ., მოხ., ფშ., თუშ., ქართლ.) **თეო**, **თეო-ღ** “ადგილი ცხერის ბინის განაპირას; საყარაულო ადგილი ცხერის ფარასთან; ცხერის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ”, შდრ. აგრეთვე: (მთ. - შანიძე) **თეფ-ა**-ზე გავიდა = “თეოზე გავიდა”.

კოლხ. (მეგრ.) **თიბ-ი** “ადგილი, სადაც ცხვარი იდგა”, **თიფ-უ** “თეო = კარვის ირგვლივ საქონლის გასაჩერებელი”, **თფფ-ღ** “1. ღამით საქონლის სადგომი (გასაჩერებელი ადგილი)”.

საბასთან თეო განმარტებულია, როგორც “მდგურის (=სადგომს მდგარი) კიდე”. ქართულ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. (მეგრ.) **თიბ-**, **თიფ-** (<**\*თიბ**). სპორადულად გამოვლენილი ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჷ** : კოლხ. **ბ**, შდრ.: სქ. **\*კრაჷ** > ქართ. **კრავ** : კოლხ. (მეგრ.) **კირიბ-**, სქ. **\*ტყაჷ** > ქართ. **ტყავ** : კოლხ. (მეგრ.) **ტყებ-**, (ლაზ.) **ტკებ-/ტებ-**. ამდენად, აფხ. **ა-თფფ** “მწყემსის ქოხი, ქოხი, ადგილი” და აბაზ. (აშხ.) **თფფ** “ქოხი, კარავი” მეგრულიდან უნდა იყოს ნასესხები, და არა - პირიქით, როგორც ამას ვ. ჩირიკბა მიიჩნევს (ჩირიკბა 2006, 31, 47), მით უმეტეს, რომ ქართველურ ფორმათა ამოსავალი სემანტიკა არა “მეცხვარეთა სადგომი”, არამედ “სადგომის კიდე” უნდა ყოფილიყო.

### **\*-ია**

ქართ. **კაკვ-ია**, **კრეჭ-ია**, **ჯღაბნ-ია**...

კოლხ. **ჯახოხ-ია** “ხის მატლი, ხეზე ძრომის მოყვარული და შემძლე”, **ჭყორ-ია** “მწყრომარე”...

სვან. (ლშხ. - დონდუა) **ბაყჷ-ია-ღ**, **ბლყე-ია-ღ**, (ჩღრ. - ლიპარტელიანი) **ბაყჷ-ია-ღ** “მსუქანი, დიდი, ზორბა”, ლშხ. -

დონდუა) ტრაკ-ია-ე “დიდი ტანის და მსუქანი”, (ბზ.) ფხატ-ძა-ე “ციმციმა”, ფხატ-ია-ე “სწრაფი, მარდი”...

ქართ. -ია და კოლხური (მეგრული) -ია სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსების შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ \*-ია არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 254, ფენრიხი 2007, 212). სვანური -ია-, რომელიც აქ წარმოდგენილ ფორმებში გამოიყოფა, ფონეტიკურადაც და ფუნქციურადაც შეესატყვისება აღნიშნულ ქართულ და კოლხურ (მეგრულ) სუფიქსებს. ამოსავალი \*-ია სუფიქსი, როგორც ჩანს, სასუბიექტო მიმდევობათა მაწარმოებელიც უნდა ყოფილიყო და რაიმე თვისების, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობას აღნიშნავდა.

### \*კან-

ქართ. კან-ი.

სვან. კან-წრ “ჭუჭყიანი”.

ქართული კან- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური კან-, რომელიც კან-წრ- ფუძეს დაუცავს. ამ ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს “კანიანი, ანუ კანივით მონადეხის მქონე”. ამგვარი სემანტიკური გადასვლისათვის – “კანიანი” > “ჭუჭყიანი” – შდრ.: ბურუშული gap “ტყავი” > gapá “ჭუჭყი (ტანსაცმელზე)”. ცხადია, შეგვეძლო, ქართული კან- ძირისათვის უშუალოდ სვანური კან, კან “კანი” შეგვეპირისპირებინა, მაგრამ გადაჭრით იმის თქმა, რომ ეს ძირი ნასესხები არ არის, ალბათ, გაჭირდებოდა.

### \*კმაკ-//\*კლაკ-

ქართ. (ქიზიყ.) კმაკ-ენ-ა “ავადმყოფის მიერ ძლივს დეჭვა, ძლივს ჭამა”.

სვან. (ბზ.) ლი-კლჷკ-ი, ლი-კლჷნკ-უნ-ე, (ჩლრ.) ლი-კლჷნკ-უნ-ე “დეჭვა”.

ბგერათშესატყვისობის დარღვევა – ქართ. მ : სვან. ლ – შეპირისპირებულ ფორმათა ექსპრესიული ბუნებით ჩანს განპირობებული.

**\*კოლ-**

კოლხ. (ლაზ.) კოლ-ი “ტარი”.

სვან. კელ “ტარი”.

კოლხური (ლაზური) კოლ- ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური კელ- (<\*კოლ- უმილაუტით).

**\*კრძი-ალ-**

ქართ. და-კრძალ-ეა “დაცვა, დაკეცვა, დამარხვა”...

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-კვრჯალ-ი “ინახავს მაღულად განსაკუთრებული საჭიროებისათვის; მაღავს, ზოგავს”...

ძველ ქართულში დადასტურებულ კრძალ- ძირს კანონ-ზომიერად შეესატყვისება სვანური (ჩოლურული) კვრჯალ. სავარაუდოდ, არქეტიპი ორმორფემიან ფუძეს უნდა წარმოადგენდეს ძირის ნულოვანი და სუფიქსის ნორმალური გახმოვანებით.

**\*ლაბ-**

ქართ. ლაბ-ა “საყვერის უღელი, ბოლოებდახრილი”, ლაბ-ე (ვანდოში, მთიულის სიტყვით – შანიძე) “აქ სათარს (=ჩამოსათრევი ხე, ხარებით ჩამოსათრევი შეშა) ვეცყვით”, შდრ. ლაბ-ა “რქადახრილი ხარი”.

სვან. (ბზ.) ლი-ლწბ-ი, (ბქ., ლნტ.) ლი-ლწბ-ი, (ლშხ.) ლი-ლწბ-ი “დატვირთვა, საპალნის აკიდება”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ი-ლწბ-ი “ცხენით ტვირთს ეზიდება, იტვირთება”, ლწბ-არ “საპალნის ტვირთები”...

როგორც ჩანს, ამოსავალ \*ლაბ- ძირს “უღლის, სათარის” სახელური და “უღელში შებმული ხარებით ტვირთის გადათრევის” ზმნური მნიშვნელობები უნდა ჰქონოდა. მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: ქართ. ნალ-თ (საბა) “ესე არს ეტლის მაგიერ ზამთარ საჯდომი, უთვალო მარკილივით თოვლზე სათრევი”; (დ. ჩუბინაშვილი) “მარხილივით თოვლზედ სათრეველი ზამთარში საჯდომი, салазки; სათარი, მოჭრილი ხე ურემთა და მარხილთა ზედა მობმული ტყიდამ მოსათრეველი, отрубленное дерево, брус”; (ქეგელ) “1. ძვ. ეტლის მსგავსი მარხილი; 2. უღ-



ლით მოთრეული დიდი მორი; 3. ურმის ბოლოში გამობმული ფიხის დიდი კონა ან ხე, რომელიც მიწაზე ეთრევა და ანელებს დაღმართზე ურმის სვლას”; (ა. ღლ.) “ბოლოთრია = ძნის საზიდი სათრეველა ურემი”; ნალ-ი (დ. ჩუბინაშვილი) “სათხეპელი, სართხმელი (= брус, положенный в каменной кладке для крепости), ძელი კედელში დატანებული”; (ქიზიყ.) “ქვის კედელში დატანებული სქელი ფიცარი ან თხელი კოჭი, რომ კედელი გადააბას, შეკრას და არ გაიბზაროს”. ქართულ \*ნალ- ძირთან შეიძლება დაგვეკავშირებინა ბურუშული nal (ი.) “უღელი; წყვილი ხარი” (შინო naal “უღელი; წყვილი ხარი”), (პ., ნ.) “წყვილი, უღელი ხარი”; nàal “თანამგზავრი, თანამებრძოლი; წყვილიდან ერთ-ერთი; (პოლს თამაშისას) მეტოქე ან პარტნიორი”, nalaa “ერთად, ერთდროულად” და ბასკური narra, nar, naarra, naar “მარხილი, სათარი; ხე, რომლითაც თივას, ფიხს და მისთ. ათრევენ; ხე, რომელიც ურემს უკნიდან ებმება და მუხრუჭის ფუნქციას ასრულებს; თრევა”...

**\*ლაპ-ლაპ-**

ქართ. ლაპლაპი “რისამე ზედაპირის ბზინვა, ელვარება; ციმციმი”.

სვან. ლი-ლაპლაპი (ჩღრ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი) “ტარტარი, ლაქლაქი”, (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ლაპლპი “ტიტინებს”.

მნიშვნელობათა – “ნათება” – “ბევრი ლაპარაკი” – დაკავშირებისათვის შდრ.: ქართ. დადღადი (ღეჩხ., ქიზიყ.) “შუქვენა, ბრწყინვალეობა; ფერის ელვარება, აგრეთვე ცეცხლისა და სხვათა მძლავრი ნათება” – (გურ., იმერ.) “ბევრი და ხმამაღლა ლაპარაკი, ხმიანობა”. როგორც ჩანს, ამოსავალი \*ლაპ-ლაპ- რედუქლიკატი ორივე ამ მნიშვნელობას გამოხატავდა. ქართული ენის ექსპრესიულ ზმნებში ხმაურის, ნათებისა და ასევე მოძრა-

ობის მნიშვნელობათა ურთიერთგადაკვეთისათვის იხ. ჰოლისკი 2000, 124-130.

**\*ლართ-**

ქართ. **ლართ-ი** (საბა) “პირუტყუთ მორი”, (თუშ.) “ხარის ასოსაგან გაკეთებული მათრახი”.

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) **ლართ** “ჩუჩა; მამრის სასქესო ორგანო”.

პრობლემა, რომელიც ამ ქართულ და სვანურ ფორმათა შეპირისპირებისას წამოიჭრება, ის არის, რომ სვანური **ლართ** მხოლოდ ჩოლურულში დასტურდება, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ ქართულ დიალექტებში **ლართ-** ძირი არ ჩანს, აღნიშნული ფორმის სვანურში მაინცდამაინც ნასესხობად მიჩნევა არ უნდა იყოს სწორი.

**\*ლიტ-ლიტ-**

ქართ. **ლივლივ-ი** “ტალღისებრი რიტმული მოძრაობა, რხევა, ქანაობა”.

სვან. **ლიტლიტ** (ჩღრ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი; ლიპარტელიანი) “ბევრი ლაპარაკი, ლაქლაქი”.

ხმაურის, ნათებისა და მოძრაობის მნიშვნელობათა ურთიერთგადაკვეთისათვის იხ. ჰოლისკი 2000, 124-130. შდრ. **\*ლაპ-ლაპ-**

**\*მელ-**

ქართ. **მელ-ი** “მელა”.

კოლხ. (მეგრ.) **ო-მან-ე** “ბუნაგი, სორო”.

კოლხ. (მეგრ.) **ო-მან-ე** ეტიმოლოგიურად “სამელეს” უნდა ნიშნავდეს. შდრ.: ქართული (გურ.) (<კოლხური (მეგრ.) **ო-მან-ო** „სორო, ხვრელი ტურისა, მგლისა“.

არარეგულარული ფარდობისათვის ქართული **ლ** : კოლხური (მეგრული) **ნ** შდრ.: ქკ **\*მელ-** > ქართ. (ქიზიყ.) **მელ-ვ-ა**, ა-**მელ-ვ-ა** “ბოლისა და დამწვრის გემოს მიცემა შეჭამადისათვის”, (კახ.) ა-**მელ-ილ-ი** “დამწვრის გემოს მქონე” : მეგრ. **მან-უ-ა**

“ტრუსვა, გარუჯვა” (ჩუხუა 2000-2003, 151). გასათვალისწინებელია, რომ გ. კლიმოვის ვარაუდით, სვანური მწლ, მალტუ “მელია” შეიძლება შეფასდეს როგორც ზანიზმი (<\*მალ-), რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ მეღ- ძირს (კლიმოვი 2009, 125, კლიმოვი 1998, 119). თუ ეს ვარაუდი სწორია [და თუ მეგრ. მან- არ არის მიღებული \*მალ- ძირისაგან მ-ს ასიმილაციური გავლენით (იხ. ჩუხუა 2000-2003, იქვე)], უძველესი კოლხურისათვის შეიძლებოდა დუბლეტური \*მალ-//\*მან- ძირების პოსტულირება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ აუსლაუტში ლ და ნ ბგერებით განსხვავებული ვარიანტები სულაც ქკ ენობრივი ერთიანობის ხანიდან მომდინარეობდეს. ფუძე-ენაში დუბლეტურ ფორმათა არსებობის შესახებ იხ. გიგინეიშვილი 1977, გვ. 129-137. ხომ არ შეიძლება ქკ \*მელ- “მელია” და ქკ \*მელ- “შეტრუსვა, გარუჯვა” ომონიმური ძირები – მელიის ბეწვის სპეციფიკური შეფერილობის გათვალისწინებით – ერთმანეთს უკავშირდებოდეს? ასეთ შემთხვევაში, ალბათ, აზრს დაკარგავდა “მელიის” აღმნიშვნელი ქართველური ფორმის ინდოევროპული წარმომავლობის შესახებ საუბარი (იხ. კლიმოვი 2009, 124-126).

**\*ონ-**

ქართ. (მოხ.) ონ-ა-ზე “ძალიან ჩქარა”.

+კოლხ. (მეგრ.) ონ//ონი “მაშინ”.

სვან. (ზს.) ტონა, ტანა, (ქს.) ტონა “უამი, დრო”.

ქართული (მოხეური) და სვანური მასალის შეპირისპირების საფუძველზე სქ ფუძე-ენის დონისათვის აღადგენენ \*ტონ- არქტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 205; ფენრიხი 2007, 165). ვფიქრობ, აღნიშნულ ქართველურ ფორმებს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. (მეგრ.) ონ//ონი “მაშინ”, ხოლო სქ ფუძე-ენის დონისათვის აღდგება \*ონ- არქტიპი. სვანური ტონ-<(\*ონ- ანლაუტში ტ-ს განვითარებით, შდრ. ტორბ < ტერბ < ქართ. ორბ-ი, ტოფ- < ოფ- < სქ \*ოფლ-...), ტანა < ტონა ასიმილაციით.

### **\*პრეს-**

ქართ. **პრესა**-ა “გრეხა, რკალისებურად აშვერა (ულვაშისა, კულისა...)”.

კოლხ. (მეგრ.) (ქობალია) **მო-პურანს-უა** “წელში გატეხა, მოკაკვა”, (ქაჯაია) **მო-პურანს-ილ-ი** “მოსრილი”.

ქართული და კოლხური (მეგრული) მასალა კანონზომიერად შეესატყვისება ერთმანეთს.

### **\*ჟაპ-/ჟეპ-**

ქართ. (ქართლ.) **ჟაპა-ჟუპი** “მათრახის, შოლტის ცემა, მათრახის ცემის ხმა”, **ჟეპა**-ა (ქსნის ხეობ., რაჭ.) “ძლიერი ცემა; მიწის ტკეპნა რაიმე სიმძიმით ან ხილის დაჩეჩქვა”.

კოლხ. (მეგრ.) **ჟიფ-უა** “მაგრად ცემა, გაღახვა გარტყმის ხმის გამოცემით”.

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ა-ჟპ-გნ-ე** “მწიფე ნაყოფს წვენი სდის”.

ქართულ **ჟეპ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. (მეგრ.) **ჟიფ-** და სვანური (ხოლურული) **ჟპ-**. ბგერათფარდობის ქართ. **პ** : კოლხ. (მეგრ.) **პ** : სვან. **პ** სპორადული დარღვევისათვის შდრ.: სქ. **\*ყლაპ-** > ქართ. **ყლაპ-ვა** : მეგრ. **ყულიფ-უა** : სვან. **ლი-ყელპ-ი** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 541; ფენრიხი 2007, 518). შესატყვისობისათვის ქართ. **ჟ** : კოლხ. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ზევით **\*ბუჟ-/ბჟუ-ილ-**

### **\*ჟაჟ-/ჟეჟ-**

ქართ. **ჟეჟა**-ა (საბა) “ჯორჯთ დაჯეჭკა”, (ქიზიყ.) ამო-**ჟეჟ-ვა** “ამოჟღება”, **ჟაჟ-უნ-ი** (ქიზიყ.) “წვიმის სხმა; ღვინის სმა”, (გურ.) “ცემა”.

კოლხ. (მეგრ.) **ჟაჟ-უა** “ჟეჟვა”.

სვან. **ლგ-ჟჟ-გნ-ე** “დაბეჟილი, დაჟეჟილი”, **ა-ჟჟ-გნ-ე** (ოთჟუინ...) “ბეჟავს, ჟეჟავს, ბეგავს, ჩენქავს”, **ლი-ჟაჟ-უნ-ე** (ჩლრ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი; ლიპარტელიანი) “რბილი რადაცის ცემა”.

ქართულ **ჟეჟ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. (მეგრ.) **ჟაჟ**- და სვან. **ჟგჟ**- (<**\*ჟეჟ**-), ხოლო ქართულ **ჟაჟ-უნ-** ძირს – სვანური **ჟაჟ-უნ-**. ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჟ** : კოლხ. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ზევით **\*ბუჟ-ბჟუილ-**.

### **\*ჟეჟლ-**

ქართ. (ქიზიყ.) **ჟეჟლ-ვა** “ძნის უხეიროდ ლეწვა, ბეგვა”.

სვან. (ბზ. – ნიჟარაძე) ლი-**ჟეჟლ-გნ-ე** “გაჟეჟა”.

ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში დადასტურებული **ჟეჟლ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს სვანურის ბალსჟემოურ დიალექტში გამოვლენილი **ჟჟლ-**. ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ზევით **\*ბუჟ-ბჟუილ-**

### **\*ჟუერ-**

ქართ. **ჟვერ-ი** (საბა) “ფოთლიანი რტო”, (ქეგლ) “კუთხ. (იმერ.) ჭოკი, ხალა”, **ჟვერ-ვა** (ქართლ., იმერ.) “რტყეგვა, დაქანცვა, დაღლა”, **ჟვერ-ებ-ა** (გურ.) “გალახვა, ცემა”...

კოლხ. (მეგრ.) **ჟვარ-უა** “ჟვერვა, გამეტებით სცემა, დაქანცვა, ტანში მტვრევა”, (ლაზ.) ო-**ჟვარ-უ** “შოღტვა, წკეპვლა”.

(?) სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) **ჟუერ** “მსხვილი ჯოხი”.

ქართულ **ჟვერ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური ზმნური **\*ჟვარ-** და სვანური (ჩოღურული) სახელური **ჟუერ-** ძირები (ეს უკანასკნელი ქართულიდან ნასესხები თუ არ არის!). ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჟ** : კოლხ. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ზევით **\*ბუჟ-ბჟუილ-**. ამოსავალ **\*ჟუერ-** ძირს “ნედლი რტოს > წკეპლის” და “გაწკეპლის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

### **\*ჟიგ-ილ-//ჟუგ-ილ-**

ქართ. (საბა) **ჟიგ-ილ-ი** “მრავალ ყრმათ ტირილი”; **ჟუგ-ილ-ი** “დაბუჟებულის ჯორცის ჩხვლეტა”; (თუშ.) **ჟუილ-ი** “ფუტკრების ბზუილი”.

სვან. **ჟჟლ**, **ჟჟლ** “ზუზუნი”, **ჟგლ** (ჩღრ. – ლიპარტელიანი) “ეკლესიაში გალობის, ვედრების ხმა”, (ბზ. – სანიკიძე 1977, 30) **ჟულ-მა-ჟულ**, **ჟგლ-ჟგლ** “ქარბუქის; ზუზუნი”.

ძველ ქართულში დადასტურებულ /**ჟიგ-**/ (“ერმანი ჩხვლინი ჟიოდეს”, აბულაძე 1973, 344) და /**ჟუგ-**/ (“ვითარცა სიმრავლე ფუტკართად ჟუოდა” – სუხიშვილი 1976, 24) ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ჟჷლ-**, **ჟულ** (<**\*ჟუ-ილ**) და **ჟღლ** (<**\*ჟულ** <**\*ჟუ-ილ**). ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჟ** : სვან. **ჟ** ის. ზევით **\*ბუჟ-/ბჟუ-ილ-**. გასარკვევია წარმოდგენილ ქართულ და სვანურ მასალასთან კოლხური (მეგრული) **ჟვილ-უა** “მოწყვეტა, მოგლეჯა”, მინ-**ჟვილ-ირ-** “შეშლივინებული, თავქუდმოგლეჯით შევარდნილი, გაღამელებილი”, **ჟილ-ინ-ი** “შლივინი, ქარის ქროღვა და ხმაური” და (ლაზ.) **ო-ჟუ**, **ო-ჟვალ-უ**, **ო-ჟულ-ინ-უ** “ფრენა” ფორმათა მიმართება. შდრ. ასევე სვანური **ლი-ჟჷღლ-ნე** “სირბილი, გარეთ გავარდნა”.

### **\*ჟლეტ-/ჟლიტ-**

ქართ. **ჟლეტ-**ა “მრავლის მოკვლა, ხოცვა, გაწყვეტა”.

კოლხ. (მეგრ.) **გო-ჟილატ-**ა “გაჟლეტა, ამოწყდომა”, **გო-ჟილიტ-**უა “გაჟლეტა, ამოწყდომა”, **ჟილოტ-** (ძირი დამოწმებული აქვს ტ. გუდავას (გუდავა 1976, 134); (ლაზ.) **ო-ჟლიტ-უ**, **ო-ჟლიპ-უ**, **ო-ზლიპ-უ...**

ძველ ქართულში დასტურდება **ჟლით-** ძირი (“დაიჟლითვოდა ერთიერთსა ზედა (მატლი)”, აბულაძე, 1973, 120), მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო არქაული ფორმა დაუცავს ტექსტებში უფრო გვიან გამოვლენილ **ჟლეტ-/ჟლიტ-** ძირს, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. **ჟილატ-** (<**\*ჟლეტ-**) და **ჟილიტ-**, **ჟლიტ-** (<**\*ჟლიტ-**). მეგრული ფუძედრეკადი ზმნების **ჟილოტ-** ტიპის, გახმოვანების ო საფეხურის მქონე, ალომორფებისათვის ის გუდავა 1976, 133-134. ბგერათფარდობისათვის ქართ. **ჟ** : კოლხ. **ჟ** ის. ზევით **\*ბუჟ-/ბჟუ-ილ-**.

### **\*ჟოლ-**

ქართ. (ქიზიყ.) **ჟოლ-**ი “ნაყარი, ფუტკრის ბარტყი, ახალ გეჯაში ან სკაში რომ გადადის”.

კოლხ. (მეგრ. – ქობალია) **ჟურ-**ა, **ჟურ-უ** “მამალი ფუტკარი”.

ქართულ (ქიზიყურ) **ჟოლ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) **ჟურ-** (<**\*ჟორ-**). გასარკვევია ამ ფორმებთან სვანური (ბალსქვემოური) შატლუ, შალუ “მამალი ფუტკარი” ფორმების მიმართება.

ბგერათფარდობისათვის ქართ. ჟ : კოლხ. ჟ იხ. ზევით **\*ბუჟ-/ბჟუ-ილ-**.

### **\*ჟღაფ-ილ-//ჟღიფ-ილ-**

ქართ. **ჟღაფ-ილ-**ი “ხმიანობა, შფოთი”, **ჟღიფ-ილ-**ი “ჟივილი”, (მოხ.) **ჟღაფჟღაფ-**ი, (მესხ.) **ჟღაფილ-ჟღუვილი** “ჟრიაშული, ჟივილ-ხივილი, ღრიანცელი”.

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) **ჟღაფ-ე** “დიდი ტანის, მსუქანი ბავშვი ხმამაღლა ტირის”, **ჟღღლ-**ი, **ჟღწლ-**ი “ღნავის, ბღავის”, (ბქ. – სანიკიძე 1977, 30) **ჟღღლ**, **ჟღღლ-მა-ჟღღლ** “მოთქმა; ტირილი (თავმოყრილი ხაღხისა)”.

ძველ ქართულში დადასტურებულ **ჟღაფ-** და მის ფონეტიკურ ვარიანტ **ჟღიფ-** ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ჟღაფ-** და **ჟღწლ-/ჟღღლ-** (<**\*ჟღიფ-ილ-**).

### **\*რჩენ-ჟ-/რჩენ-ჟ-**

ქართ. **რჩენა** “არჩევა, გარჩევა, გაწმენდა, გამორჩევა”.

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ა-**რსგჟ-**ი “მსხვილი საცერით მარცვალს წმენდს”, ლა-**რსგჟ-**წლ “ვარცლი”, ლგ-**რესგჟ** “მეჩხერი საცერით, ლარსგჟწლით, წაწმენდილი”, (თოფურია, ქაღდან) (ბქ.) ა-**რსგჟ-**ეს “გადაწმენდენ”.

ქართ. **რჩენ-** (<**\*რჩენ-ჟ-**) ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **რესგჟ-**, **რსგჟ-** (<**\*რჩენ-ჟ-**). სქ ფუძეების დონეზე აღდგება ორმორფემიანი ზმნური ფუძის ორი ალომორფი – ა) ძირის ნორმალური და სუფიქსის (თემის ნიშნის) ნულოვანი გახმოვანებით (**\*რჩენ-ჟ-**) და ბ) ძირის ნულოვანი და სუფიქსის (თემის ნიშნის) ნორმალური ვარიანტით (**\*რჩენ-ჟ-**). სვანური ძირის ბოლოკიდური სგ< \*ჩ ძირთან შეზრდილი სქ თემის ნიშნი-სეული ჟ-ს გავლენით.

### **\*სტეტი-**

ქართ. სვეტი-ი

სვან. ა-სტეტ-ე, ა-სტეტ-ე “(და)ცეხვაეს”, (ჩღრ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი) ლი-სტეტ-ე “(ჭკვავის) გაბერტყვა”.

ქართულ სუეტი- ძირს კანონზომიერად შესატყვისება სვანური სტეტ-. სავარაუდოდ, ამოსავალ \*სტეტ- ძირს “ჯოხის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. აქედან > “გაჯოხვა, გაბერტყვა, გაცეხვა”. სვანური სტეტ “სვეტი, ბოძი” ქართულიდან ჩანს ნაესხები.

### **\*სოლი-**

ქართ. სოლი-ი.

კოლხ. (ლაზ.) სილი-ი “სოლი”.

ქართული სოლი- ძირის შესატყვისი უნდა იყოს კოლხური (ლაზური) სილი- (<\*სოლი- უმლაუტით).

### **\*სურ-**

ქართ. მ-სურ-ს, სურ-ვილი-ი.

სვან. სურ-ნ “სიამოვნებით; დიახაც; ნეტავი”.

ქართულ სურ- ძირის შესატყვისი ჩანს სვანური სურ-, რომელსაც გაძლიერებითი ნაწილაკი ნ შეზრდია.

### **\*ტტინ-**

ქართ. ტტინ-ი “ტტინი, ცხიმი”, + ტტინ-ოვანი-ი//ტტინ-ოანი-ი “მსუქანი”.

კოლხ. (მეგრ.) ტტინ-ი “ტტინი”.

+ სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ა-ტტინ-ე “ძლიერ ასუქებს”; ლგ-ტტინ-ე “მსუქანი ცხენი”.

ქართული და მეგრული მასალის შეპირისპირების საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ \*ტტინ- არქტიპს (კლიმოვი 1964, 181, ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 433-434, კლიმოვი, 187, ფენრიხი, 398-399). ამ მასალასთან შესაპირისპირებლად მოხმობილი დამატებითი ქართული და ასევე სვანური ფორმები საშუალებას გვაძლევს, ტტინ- არქტიპი “ტტინი,



ცხიმი” მნიშვნელობებით სქ ფუძე-ენის დონისათვის აღვადგინოთ. მნიშვნელობათა – “ცხიმი” და “სიმსუქნე” – დაკავშირებისათვის შდრ.: სქ \*პოხ- > ქართ. პოხ-ა “კეება”, პოხ-ილ-ი “გამოკეებილი”, პოხ-ა “სიმსუქნე”, პოხ-ი-ერ-ი “ნოყიერი, მსუქანი” : სვან. პოხ-ილ “ქონი”.

### **\*ტრაკ-**

ქართ. ტრაკ-ი “საჯდომი”.

სვან. (ლშხ. – დონდუა) ტრაკ-ია-ღ “დიდი ტანის და მსუქანი”.

ქართული ტრაკ- ძირის შესატყვისი უნდა იყოს კ. დონდუას ლექსიკონში (დონდუა 2001, 281) დადასტურებული ტრაკ- სვანურ ტრაკ-ია- ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა, ჩანს, “ტრაკა, ანუ დიდტრაკა” უნდა ყოფილიყო. სვანურ ფუძეში გამოყოფილი -ია- სუფიქსისათვის იხ. აქვე: \*-ია.

### **\*ტყავ-**

ქართ. ტყავ-ი.

კოლხ. (მეგრ.) ტყებ-ი “ტყავი”, (ლაზ.) ტკებ-ი/ტებ-ი “ტყავი”.

+ სვან. ლი-ტყბ-ი, ლი-ტყაბ-ი “შეწვა”.

ქართული და კოლხური მასალის შეპირისპირების საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ \*ტყავ- არქეტიპს. ქართულ ტყავ- და კოლხურ \*ტყებ- (<\*ტყავ-) ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ტყაბ- (<\*ტყავ-). სემანტიკური გადასვლისათვის “ტყავი, კანი” > “მოკანება, შეწვა” შდრ.: ქართ. (მთიულ.) მო-კან-ებ-ულ-ი “ოდნავ ზემოდან გამომცხვარი”; სქ \*ტეფ- “კანი, ქერქი” > ქართ. ტეფ-ი “თასმა” : სვან. ტეფ “ქერქი, კანი (პურის, მჭადის, ხაჭაპურის...)”, ლი-ტეფ-ინ-ე “კანის გადაკვრა (ხაჭაპურის, კუპატის...)” (ეს ფორმა და-მოწმებული აქვს ზ. ჭუმბურიძეს, იხ. ჭუმბურიძე 1981).

### **\*ურ-**

ქართ. სა-ურ-ველ-ი, (საბა) სა-ურ-ველ-ი “ყვერი”, ახ. ქართ. ი-ურ-ველ-ს “ცხენს იმორჩილებს”.

სვან. მა-ურ-ანდ, მა-ურ-ანდ “ბუღა, გამოუყვერაგი მოზვერი”, (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ურ “თესლი”, ნა-ურ “ბუღის ძროხასთან მისვლის შემდეგ გამოყოფილი სათესლე სითხე”, მა-ურ “სითხე, რომლითაც უნდა დამაკდეს ძროხა”, ა-ურ-ი “ამაკეებს”.

ქართულ ურ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. ურ-. ძველ ქართულში დადასტურებული სა-ურ-ველ-ი მიმდგობა ჩანს, რომლის საფუძველზეც რეკონსტრუირებულ \*ურ- ზმნურ ძირს “განაყოფიერების” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: \*ურ-ავ-ს “თესლავს, ანაყოფიერებს” – სა-ურ-ველ-ი “სათესლავი, სათესლე”. ახალ ქართულში და-ურ-ველ-ი ზმნას “დამორჩილების” მნიშვნელობა აქვს. სვანურს კი ხელუხლებლად დაუცავს ამოსავალი სემანტიკა.

### **\*ფლაფ-**

ქართ. ფლაფ-ნა (საბა) “უკბილოს ლაპარაკი”; (ქიზიყ.) “ბოშად, საკმაოდ შეუგერესავად რთვა”.

კოლხ. (მეგრ.) ფურფ-ინ-ი “(ქაჯაია) ჩქარი და არეული ლაპარაკი; (ქობალია) დეფექტური მეტყველება”.

სვან. ლი-ფლანფ-ე “საქონლისაგან თივის ჭამა”.

ქართულ ფლაფ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) ფურფ- (<\*ფლაფ-) და სვან. ფლანფ-. სემანტიკური სხვაობა მათ შორის ადვილი ასახსნელია.

### **\*ფრაჟ-**

ქართ. ფრაჟ-ი (დ. ჩუბინაშვილი) “უსირცხვილო”, (ქართლ.) “გაუმადღარი, მეტად ხარბი”, გარეკახური (სახლთხუციშვილი 2003) გა-ფრაჟ-ებ-ა „გამეძავება, გაროსკიპება“.

სვან. **ფრჷ, ფრჷ** “როსკიპი, უზრდელი”, **ფრჷ** (ჩღრ. – ლიპარტელიანი) “უზნეო და ავი დედაკაცი”, **ფრჷ-მჷ**, **ფრჷ-იჷ** “მაღალი ტანის ზორბა ადამიანი”.

ღ. ჩუბინაშვილის ლექსიკონსა და ქართული ენის ქართლურ და კახურ დიალექტებში დადასტურებულ **ფრჷხ- (\*<ფრჷ-)** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ფრჷ-**. სავარაუდოდ, ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს ქართული (კახური) ფრჷხ-ი “ღორ-ი, რომელიც არ მაკდება”. ლენხ. ფრჷხ-ი “მეძავი ქალი” შესაძლოა სვანურიდან მომდინარეობდეს.

### **\*ფუყ-**

ქართ. გა-**ფუყ-ვა** “გაბერვა, გაფხორვა, გაბღენძა”.

კოლხ. (მეგრ.) **ფუყ-ურ-ი** “ბუზვა, ფუყვა”, **ფუყ-ურ-ია**, **ფუყ-ურ-უა** “გაფუყული, მობუზული, ღაბუა, ღუნღულა”.

სვან. **ფუყჷ** “ჩიყვი; ძირმაგარა, ჩირქოვანი სიმსივნე, მუ-წუკი”.

ქართულ **ფუყ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) **ფუყ-** (**<\*ფუყ-**) და სვან. **ფუყჷ-** (**<\*ფუყ-**).

### **\*ფხეზ1-ფხიზ1-**

ქართ. **ფხიზ-ელ-ი**.

სვან. **ფხეჷ-ნი**, **ფხეჷ-ენ-ი** “იშლება”, ლი-**ფხეჷ** “ღაშლა, გაშლა”, **ფხეჷ-ა**, **ფხჷ-ა** “(ღა)ფანტვა, (ღა)შლა”, **ფხიჷ-ე** “(ღა)შლის, (ღა)ხსნის”...

ქართული **ფხიზ-** (**<ფხიზ1-**) ძირს შეიძლება შეესატყვისებოდეს სვან. **ფხეჷ-//ფხიჷ-** (**<\*ფხეზ1-ფხიზ1-**). მნიშვნელობათა და კავშირებისათვის შღრ. ქართული ფერთხ-ვა (**<სქ \*ფერთხ-**), ძე. ქართული ფრთხ-ობა “შეშინება”, ფრთხ-ოღ-ვიღ-ი “შეშინებულღ” (**< სქ \*ფრთხ-** - შღრ. სვან. ჟჷნ-ფრთხ-ნ-ალ-ე “წამოყარა მან ისინი”, ფენრიხი, სარჯვეღლაძე 2000, 464) და გან-ფრთხ-ობა “გამოფხიზღება”, ფრთხ-იღ-ი “ფხიზელი”. ამდენად, **ფხეზ1-ფხიზ1-** ამოსავალ ზმნურ ძირს, ისევე როგორც **\*ფერთხ-ფრთხ-** არქტიპს, “გაფერთხვის, გაშღის, გაფანტვისა” და “ღაფრთხობის, გამოფხიზღების” მნიშვნელობები უნდა ჰქონოღა. ქართული

**ფხიზ-ელ-** ფუძის აგებულებისათვის, შდრ.: **ყინ-ელ-** (**ყინ-გა**), **წით-ელ-** (**წით-ს**), **ფიცხ-ელ-** (**გან-ფიცხ-ებ-ა**) და სხვ. (**-ელ** სუფიქსის, როგორც “ზმნური ძირებიდან მომდინარე სახელური ფუძეების გამაფორმებელი ელემენტის” შესახებ იხ. არაბული 2001, 186-207.)

### **\*ქაშ-**

ქართ. (საბა) **ქაშ-ო-ეთ-ი** “ჯორჯის დარღვევა წყლულებითა”, **ქაშ-ა** ვაშლი “ვაშლი, რომელიც მეტის-მეტი სიმწიფისას ფაშრდება”, (ფუტკარაძე 1993, 427) და-**მქაშ-და** “გადამწიფდა, დარბილდა, დაშაქრდა”.

კოლხ. (მეგრ.) **ქოშ-ა** “შმორი, ობი”, **ქოშ-ინ-აფა** “დაობება, აშმორება”, **ქოშ-ინაფილი** “აშმორებული, ობმოკიდებული, ლპობისპირად მისული”, [კოლხ. (მეგრ.)] > სვან. (ბქ) **ქოშ** “ფაშარი, ქაშა (ვაშლი, ყველი...)”.

ქართულ **ქაშ-** ძირს, რომელიც მხოლოდ საბასთან დადასტურებულ **ქაშოეთ-** და პირველად დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დაფიქსირებულ **ქაშა** ფუძეთა შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა, კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) **ქოშ-**. ამოსავალ ძირს “დაობების, გადამწიფების, ლპობის” სემანტიკა უნდა ჰქონოდა. სვანური (ბალსქვემოური) **ქოშ** მეგრულიდან ჩანს ნასესხები.

### **\*ციტ-ციტ-**

ქართ. **ციფ-ციფ** (ხევს.) “ზეაწვეით, მიწის აშორებით, ჰაერში”, (ფშ.) “მიწაზე ფეხდაუქარებლად”, (გუდ., მთ., მოწ., ჯ., თ. – შანიძე) “მხოლოდ აღება-აყვანა-აწვევაზე ითქმის”...

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) **ციტციტ-**დ “ხელით მიწაზე დაუქარებლად” (**ციტციტ-**დ ენკიდ “ციფციფ აიღო”).

ქართულ **ციფ-ციფ-** რედუპლიცირებულ ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური (ჩოლურული) **ციტ-ციტ-**.

### **\*ცოფ-**

ქართ. ცოფ-ი “გიჟი”.

სვან. (ხლრ. - ლიპარტელიანი) ი-ცოფ-ალ “მონდომებით მუშაობს”.

ქართულ ცოფ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური (ხოლურული) ცოფ-. მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: სვან. ლგ-ფნთ-ე, ლგ-ფწთ-ე, ლგ-ფეთ-ე “1. ავი (ძაღლი), კაპასი, ფეთიანი (ქალი); 2. მარჯვე, სწრაფი (მუშა)”, ლგ-ფნთ-ად “დაფეთებულად, სწრაფად, მარჯვედ, ავად”; ქართ. (ქეგლ) გაფოც-ებ-ულ-ი “გაფოთებული = გაბრაზებული, განრისხებული, გაშმაგებული”, შე-ფოც-დ-ებ-ა “შეოცდება, გაფოცდება, შეცბუნდება”, ფოც-ი (ლენხ.) “სწრაფად მომუშავე”, (რაჭ.) ფოცვი “დაუდგარი, მოუსვენარი”... ამ ფორმებს უნდა უკავშირდებოდეს (ქიზიყ.) ფოთ-ი “ჩქარი (საქმეში), ფიცხი, გადატ. გიჟი, ცოფი”.

### **\*წკალ-**

ქართ. (ფშავ.) წებ-წკალ-ი “თმის და წვერის საგლეჯი პატარა მაშა, გაზი, პინცეტი”.

სვან. წკალ “მაშა”.

ქართულ წკალ- ძირს, რომელიც ქართული ენის ფშაურ დიალექტში დადასტურებულ წებწკალ- ფორმაში გამოიყოფა, კანონზომიერად შეესატყვისება სვანური წკალ-. წებ-წკალ- ფუძის წებ- სეგმენტისათვის შდრ.:

წინწიბურ-ი “ბალანთ საგლეჯი მშვილდაკი”, რომელიც საბასთან გვხვდება, და/ან წებ-ა (ნ. ჩუბინაშვილი) “თითებით აღებული ბურნუთი ან მარილი ერთი წყება, щепоть”, (დ. ჩუბინაშვილი) “მწიკვი, ერთი აღება რისამე თითით, щепоть”. ჰ. ფენრიხი წებ- ძირს სვანურ წკალ “სამართებელი” ლექსემასთან აკავშირებს და ამ შეპირისპირების საფუძველზე სქ ფუძე-ენის დონეზე \*წებ- არქეტიპს აღადგენს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 637; ფენრიხი 2007, 619).

### **\*წუდ-**

ქართ. წდ-ობ-ა “წრთობა”, (საბა) მო-წუდ-ილ-ი “ღვინო და ნოტიო იძაფებოდეს”.

სვან. ლი-წტდ-ე (ბზ. – გუჯეჯიანი, პალმაიტისი) “გაფილტვრა”, ლი-წტდ-ი (ბქ. – გუჯეჯიანი, პალმაიტისი) “წრთობა”, (ბზ.) ლა-წტდ-წრ, (ბქ., ლნტ) ლა-წტდ-წრ, (ლშხ.) ლა-წტდ-წრ “სა-წური”.

ქართ. წუდ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური წტდ- (<წუდ-).

### **\*ხან-**

ქართ. ხან-ი (ზ. სარჯველაძე) “დრო; გამყოფი არე კედლებს შორის”.

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ხან “ადგილი საგნებს შორის; დრო”, (ბზ.) -ხწწ, (ბქ., ქს) -ხენ “თანდებული - გან, -დან”.

ქართულ ხან- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ხან-. ამოსავალ ძირს, სავარაუდოდ, “გამყოფი არის, შუალედის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, საიდანაც “დროითი შუალედის” მნიშვნელობაც განვითარდა. სვან. -ხან თანდებული ისევე ჩანს მიღებული გრამატიზაციით ხან სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან, როგორც ქართული გან- წინდებული და -გან თანდებული – გან-ისაგან (<სქ. \*გან- “განი”, ჩუხუა 2000-2003, 79, ფენრიხი 2007, 95-96).

### **\*ხუეჭ-**

ქართ. ხუეჭ-ა “წართმევა”.

კოლხ. (მეგრ. – ქაჯაია) ხვაჭ-იე “მომხეველი”.

ძვ. ქართულში დადასტურებულ ხუეჭ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) ხვაჭ-.

### **\*ჭტ-**

ქართ. გამო-ჭუ-ებ-ა “გამოკლება”.

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ჭტ-ა “გადაკლება”, ხო-ჭტ-ეს “ჭურჭელში რაც ვერ ეტევა, სხვა ჭურჭელში გადააკლებს”,

ი-ჭტ-ეს “იკლებს სავსე ჭურჭლიდან სისავსის გამო, მეორეში რწყავს”...

ქართულ ჯუ- ძირის შესატყვისი უნდა სვანური (ჩოღურული) ჭტ-, რომელიც მხოლოდ ა. ლიპარტიანიანის ლექსიკონში გვხვდება.

### **\*ჭტანჩ-//ჭტინჩ-**

ქართ. ძვ.ქ. ი-ჭტანჩ-ი/ი-ნჩაჭტ-ი “კუჭი, ჩინჩახვი”, (ქეგლ) ხვანჩ-ი “ფარისებრი ხრტილის წინა ნაწილი”, ამო-ჭვინჩ-ვა (საბა) “გულის ამოსკუნა”.

კოლხ. (მეგრ.) ხონჩ-ი “ხვანჩი, ყინწი (მამლისა)”, ხონჩ-მუ-მული “მამლაყინწა”, ხონჩორო “ხვანჩიანი, ამპარტავანი”.

სვან. ჭტბნჩ, ჭტინჩ-პბ “ჩინჩახვი”.

ქართულ ჭტანჩ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) ხონჩ- (<\*ხუნჩ <\*ჭტანჩ-) და სვან. ჭტბნჩ (<\*ჭტანჩ-), ხოლო ქართულ ჭვინჩ-ს – სვანური ჭტინჩ-.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**აბაშია 2003** – რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში, არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

**არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

**გიგინეიშვილი 1977** – Б. Гигинеишвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977.

**გონიაშვილი 1937** – Т. Гониашвили, К истории одного звука в грузинском языке, ენიმკის მოამბე, II (1), 1937, გვ. 111-136.

**გუდავა 1974** – ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №4.

- მარი 1953** - Н. Я. Марр, Избранные работы, Т. V, М.-Л., 1935.
- მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
- მელიქიშვილი 2009** - ირინე მელიქიშვილი, /ჟ/ ფონემის რეკონსტრუქცია და სქ სიბილანტური შესატყვისობები, ენათმეცნიერების საკითხები – I-II, 2009.
- სანიკიძე 1977** – ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, თბილისი, 1977, ტ. IV.
- სუხიშვილი 1976** – მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი, 1976.
- შენგელია 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, 2006.
- შმიდტი 1962** – Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
- ჩირიკბა 2006** – V. A. Chirikba, Abkhaz Loans in Megrelian, Iran and the Caucasus, vol. 10, # 1, 2006.
- ჭუმბურიძე 1981** – ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, აკაკი შანიძეს, 1981.
- ჰოლისკი 2000** – დ. ე. ჰოლისკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

### ლექსიკოგრაფიული წყაროები:

- ი. აბულაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- გუჯეჯიანი, პალმაიტისი** – Svan-English Dictionary, compiled by Chato Gudjedjiani and Letas Palmaitis, Caravan Books, Delmar, New York, 1985.
- კ. დონდუა**, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001.



- კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
- კლიმოვი 1998** – G. A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York, 1998.
- კლიმოვი 2009** – Г. А. Климов, Древнейшие индоевропеизмы картвельских языков, изд. второе, М., 2009.
- ა. ლიპარტელიანი**, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოღურული კილო], თბ., 1994.
- ბ. სარჯველაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995.
- ბ. სარჯველაძე**, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
- უ. სახლთხუციშვილი 2003** – გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ბ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., 2000.
- ფენრიხი 2007** – Fänrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston, 2007.
- შ. ფუტკარაძე**, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
- ქერქაძე 1974** - ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
- ო. ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ I-IV, თბ., 2001-2009.
- ა. ქობაღია**, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.
- ა. ღლონტი**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მეორე გამოცემა, თბ. 1984.
- ა. შანიძე**, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბ., 1984.
- ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი** – Tschantladze I., Babluani R., Fänrich H., Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis, Jena, 2003.
- დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

- ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, თ., 1961.
- ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

**Levan Kelauradze**  
**Additional Material for Etymological Dictionary**  
**of Kartvelian Languages**  
Summary

The paper deals with the possible cognates revealed in the Kartvelian languages, common Kartvelian archetypes reconstructed during the contrast of these languages and also additional material of Etymological dictionaries for the said contrast.

## ნანა მაჭავარიანი

### ლექსება „ღაიაზება“ ზემოიმერულში

ქართული ენის ზემოიმერულ დიალექტში დასტურდება ლექსება **ღაიაზები** / \***ღაიაზება**.

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ეს სიტყვა განმარტებულია შემდეგნაირად: „ღაიაზები-ი (იმერ.) ბოდიშები, ცერემონია, მორიდება, პატივისცემა „მასპინძელმა დიდი ღაიაზებით მიგვიღო“ (დლონტი 1974)

ამ სიტყვის განმარტება ჩვენთვის მისაღებია, დავამატებდით პატარა ნიუანსს: **ღაიაზებით** „დიდი სიფრთხილით“... , ზემოთ წარმოდგენილი სალექსიკონო განმარტებიდან ჩანს, რომ **ღაიაზები-ი** სიტყვაში -ებ მრავლობითის ფორმანტადაა მიჩნეული.

ჩვენი აზრით, **ღაიაზებით** ლექსებაში -ებ აბსტრაქტულობის -ება ფორმანტისეულ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება თავკიდურ და-ს, იგი ზმნისწინი უნდა იყოს: **და-აიაზება**, შდრ.: და-ყვაგება, და-შოშმინება და სხვ... სახეზე უნდა გვქონდეს არა **ღაიაზები-ი**, როგორც მრავლობითში დასმული არსებითი სახელი, არამედ **და-აიაზება**, როგორც აბსტრაქტული სახელი, მოქმედებითი ბრუნვის ფორმით.

რაც შეეხება ლექსემის ძირს, - „აიაზ“, იგი უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვისაგან, - „აიაზმა“. „აიაზმა ბერძნულია, ქართულად წმიდა წყალი ჰქვია“ (საბა 1991)

სავარაუდოდ: \***და-აიაზმებით** > **და-აიაზებით**, სადაც ხმოვანთა თავყრილობის გამო თავკიდური ა- ბგერა, ხოლო ბ-ს გავლენით მ- ბგერა გაუჩინარდა.

უფიქრობთ, განსახილველი სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს დაკავშირება მოულოდნელი არ უნდა იყოს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბილისი, 1991. გამომცემლობა „მერანი.“

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1991. გამომცემლობა „განათლება.“

### Nana Machavariani Lexeme “*daiazeba*” in Upper Imerelian Summary

In the lexeme “**da-aiazm-eb-it** / \* **da-iaz-eba**” that is attested in the Upper Imerelian dialect of Georgian, **-eb** should be an abstractedness element of **-eba** formant, while the initial part of the word **-da** is a preverb - **da-iaz-eba**.

**Daiaz-eb-i** is not a plural noun but it is an abstract word - **da-iaz-eba** in the instrumental case: Gr. “**aiazma**”> Geo. **da-aiazm-eb-it** > **da-iaz-eb-it** (to do smth. with great caution).

## ეკატერინე ოსიპი

### წარსული რაოდენობე ქართული ფუძის წარმოშობისა და შედგენილობის თაობაზე\*

#### ღანძილი და ჯიშკილა

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **ღანძილი** ფუძესთან მითითებულია: ღანძილი **სომხურია**, ქართულად **ჯიშკილა** (ორბელიანი 1928). ალექსანდრე მაცაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით, **ღანძილი** – მცენარეცა და მისი აღმნიშვნელი სახელიც – გვხვდება აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში: ფშაურში – **ხანძილი**, ხევსურულში – **ღანძელი**, ინგილოურში – **ღანზილი**; ქართულის დასავლურ დიალექტებში, იმერულსა და გურულში და აგრეთვე მეგრულში, **ღანძილის** სინონიმია **ჯიშკილა**, სვანურში კი **შიშგილ** გვხვდება (ჭანურში ა. მაცაშვილი ამ ფუძეს არ ადასტურებს).

სვანურის **შიშგილ** იგივე **ჯიშკილაა** სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შედეგად შეცვლილი: მეგრულმა **ჯიშკილამ** ბოლოკიდური **ა** ხმოვნის მოკვეცივით და სვანურისათვის დამახასიათებელი დისიმილაციური გამჟღერების შედეგად (**შკ** → **შგ**) მოგვცა **ჯიშკილა** → **ჯიშგილ** და, შემდეგ, თავკიდური **ჯ**-ს ასიმილაციით (**ჯ** → **შ**) **შიშგილ** ფორმა მივიღეთ.

**ჯიშკილა** მეგრული წარმომავლობის რთული შედგენილობის და გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ფუძე უნდა იყოს. იგი ორი კომპონენტისგან შედგება. პირველი კომპონენტი **ჯი** არის ქართული ძირი ფუძის მეგრული შესატყვისი **ჯიჯი** → **ჯიჯ** → **ჯი**, რომელიც მეგრულში მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში ხშირად მონაწილეობს: **ჯი-რჩე** (ძირ-თეთრა) „უცუნა“; **ჯი-ჭითა** (ძირ-წითელა) „მსუქანა“; **ჯიჯ-ლაყა** (ძირ-ლაყე) „ჯიჯლაყა“. მეორე კომპონენტი აგრეთვე მეგრული სიტყვაა – **კილიკელი**, რომელიც პეტრე ჭარაიას ცნობით, „ძნას, კონას“ ნიშნავს (ჭარაია 1997). იგივე მნიშვნელობებს გამოყოფს იოსებ

---

\* წაკითხულია მოხსენებად პროფესორ გიორგი როგავას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1996 წელს.

ყიფშიძე (ყიფშიძე 1914). აღსანიშნავია, რომ ეგვე ფუძე ამ მნიშვნელობით აფხაზურშიც გვაქვს: **ა-კლა** „კონა“, **ფპი-კლაკ** „ჩალის ერთი კონა“ (ჯანაშია 1954).

ქართული **ძირ**-ი ფუძის შესატყვისი მეგრული **ჯიჯი** მცენარეთა სახელებში მონაწილეობს **ჯიჯ** ან **ჯი** შეკვეცილი ფორმით: **ჯიჯ-ლაყა**, **ჯი-რჩე**, **ჯი-ჭითა**. **ჯიშკილა** ფუძეში ასახსნელია **შ** თანხმოვნის მქონებლობა. ის **კ**-სთან მეზობლობაში **ჯ**-ს დაყრუებით არის მიღებული, **ჯიჯილა** → **ჯიშკილა**.

საბასეული განმარტებით, **ღანძილი** ფუძე სომხურია. **ჯიშკილა** მეგრული აღმოჩნდა. არის თუ არა **ღანძილი** სომხური? ეს ფუძე არ აღმოჩნდა ჰრაჩია აჭარაინის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ის არც ხუდაბაშიანის სომხურ-რუსულ ლექსიკონში დასტურდება; მალხასიანის სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში კი მითითებულია, რომ **ღანძილი** დიალექტური ფორმაა და ქართულია. სულხან-საბას ლექსიკონში სომხური ენის მასალაზე მითითება ორგვარია: „სომეხთა ენა“ და „სომხურია“. განმარტების ამ ორ ვარიანტს შორის შეიძლება სხვაობა არსებობდეს: იქნებ „სომეხთა ენა“ სომხური ენის ფაქტს აღნიშნავს, ხოლო „სომხურია“ ნიშნავს, რომ ამ სიტყვას სომხური მოსახლეობა ხმარობს. თუმცა, ეს შეიძლება პირიქითაც იყოს. თუ **ღანძილთან** მითითებული „სომხურია“ იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვას სომხური მოსახლეობა ხმარობს, ეს ჩვენს ვარაუდს გაამყარებდა.

ჩვენი ვარაუდით, **ღანძილი** ქართული ფუძეა და მასალობრივად უნდა უკავშირდებოდეს **ენძელა||ღენძელა** ფუძეს. საინტერესოა, რომ **ღენძელა** ფუძე ალექსანდრე მაყაშვილს დადასტურებული აქვს სომხითურში.

## ქართული მჭლე, ზანური ჭკოლა

ქართული **მჭლე** ფუძის ზანური (მეგრული) შესატყვისია **ჭკოლა**. ეს ფუძეები პირველად პეტრე ჭარაიამ დააკავშირა. ქართული **მ-ჭლ-ე** ნაწარმოებ ფუძედ არის მიჩნეული. არ ჩანს მისთვის ამოსავალი ფუძე. ასევე განცალკავებით დგას მეგრული **ჭკოლა**.

ქართული **მ-ჰლ-ე** მიმღებური ფორმაა. მიმღებობას **მ-** პრეფიქსი და **-ე** სუფიქსი აწარმოებს. როგორც აღვნიშნეთ, არ ჩანს ამოსავალი ზმნური ფუძე. **მ-ჰლ-ე** მიმღებობისთვის ამოსავალი უნდა იყოს ძველი ქართული **ჰნება** (ჰკნება) ზმნა. სემანტიკურად **მჰლ-ე** ფუძის „ჰნობასთან“ დაკავშირებას სირთულეები არ ხვდება. ასახსნელია **ლ/ნ** მონაცვლეობა. ზმნურ ფუძეში **ნ** სონორი გვაქვს, სახელურ ფუძეში – **ლ** სონორი. **ლ/ნ** მონაცვლეობა არ არის უცხო ქართულისთვის (შდრ. **წიხლი** და **ჩაწიხნა**). **ჰნება** ზმნიდან მიმღებობის ორი ფორმა იწარმოება: **და-მჰნ-არ** და **მ-ჰლ-ე**. **დამჰნარი** მოსალოდნელი და კანონზომიერი წარმოებაა.

**ჰნება** ზმნის შესატყვის ფუძეებს ქართველურ ენებში არ ადასტურებენ. სვანურში ეს ფუძე არ ჩანს. ვფიქრობთ, **ჰნება** ზმნის შესატყვისი ფორმები უნდა გვქონდეს ჰანურში. ეს არის **ჰკინ** (ჰინ) ზმნური ფუძე, რომელსაც ნიკო მარი ადასტურებს (მარი 1910) და რომლის მნიშვნელობაა „დაღლა“. **ვონჰინამ** „ვლი“ (← **ვონჰკინამ (A)**, **დომაჰკინდენ (V)**, **დომაჰკინენ (A)** „ვიღლები“. **დომაჰკინდენ** ფორმაში **დ** ენებისთის ნიშანია. **დომაჰკინდლუ** „დავიღალე“ აორისტია, ნიკო მართან დადასტურებული **ჰკინერი (V)**, **დოჰკინდერი (X)** „დაღლილი“ ნამყოს მიმღებობის ფორმაა; **ჰკინერი (A)** ← \***ჰკინერი**. მასალობრივად სრული იდენტობაა **ჰ → ჰკ → ჰ**. სემანტიკური გადახრა: ჰნობა – დაღლა.

საინტერესოა, რომ მეგრულში „დაღლის“ მნიშვნელობით სულ სხვა ფუძე გამოიყენება: **დოშურდლუ** „დაიღალა“, **ვშურდლუქ** „ვიღლები“, **შულადა** „დაღლა“, **შულადირი** „დაღლილი“, რაც ემთხვევა ძველი ქართულის ფორმას **მაშვრალი**, **დაშურომა** „დაღლა, დაქანცვა“.

ყურადღებას იქცევს მეგრული **ჰირაკუა** ზმნური ფუძე, რომელიც „დანაოჰებას, ჰკნობას“ ნიშნავს. მასალა მოგვაწოდა რეზო აბაშიამ. მისი პირიანი ფორმებია **დოჰირაკუ** „დანაოჰდა“, **ჰირაკუ** „ჰკნება“, „წვრილი“, **ჰირაკილი** „დამჰკნარი, დაღარული, დანაოჰებული“.

**ჰნება → ჰკნება** ზმნასთან სემანტიკურად და მასალობრივადც ძალზე ახლოს დგას „ჰლექი“ – დაავადების სახელი. საბას განმარტებით, **ჰლექი** „სიმჰლის სენია“, მაგრამ აქაც ასახსნელი რჩება ბოლოკიდური **ქ** ელემენტის რაობა.

## სოკო

**სოკო** ფუძეს შესატყვისი არა აქვს ქართველურ ენებში. იგი უცხო წარმომავლობისა უნდა იყოს. **სოკო** სახელის წარმოშობის შესახებ ორი ვარაუდი არსებობს. ჰრაჩია აჭარიანის აზრით, **სოკო** ფუძე ქართულში სომხურიდან არის ნასესხები, სომხური **სუნკ** ან **სუნგნ** კი წინარესომხური **spongos** ფუძიდან მომდინარეობს. სწორედ ეს ამოსავალი ფორმაა ნასესხები ქართულში სოკოს სახით, ხოლო ეს ნასესხები **სოკო** ფუძე უკვე ქართულიდან ისევ სომხურში შევიდა **სოკონ** ფუძის სახით. ივარაუდება უკუსესხება.

გიორგი კლიმოვის აზრით, **სოკო** ფუძე საკუთრივ ქართველურია. იგი დასტურდება სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **სოკო**. მეგრ. **სოკო** და სვან. **სოკ(ვ)**. ცხადია, აღდგენილია \***სოკო** (სისინა სიბილანტით). ეს ფუძე, კლიმოვის მიხედვით, ნახურ-დაღესტნურ ენებშიც შესულა: ბაცბური **ზოკ**, დიდოური **ზუკუ**, ბეჟიტურ-გუნზიბური **ზოკო**. იგი ქართულიდან არის შესული სომხურში და ოსურში (კლიმოვი 1964: 165). ქართულის დიალექტებში სოკო გვხვდება **ზოკო**-ს სახით (ქართლურში, მოხეურში, ფშაურში, კახურში, ქიზიყურში) და ამ სახით არის ის შესული ოსურშიც.

აჭარიანის ვარაუდი ქართული **სოკო** ფორმის სომხური **spongos**-დან მომდინარეობის შესახებ საეჭვოა და დასაბუთებას მოითხოვს. ხოლო რაც შეეხება სომხური **სოკონ** ფორმის ქართულ **სოკო**-სთან კავშირს, ეს მართებული ჩანს.

ეჭვს იწვევს ნინელი ჭოხონელიძის ვარაუდიც ქართული **სოკო**-ს ლათინურ **squama** „კანის“, „ქერქის“ აღმნიშვნელ ფუძესთან დაკავშირების შესახებ (ჭოხონელიძე 1985: 124-127).

კლიმოვის მიერ საერთოქართველური ეპოქისათვის **სოკო** ფუძის აღდგენაც არ გვეჩვენება დამაჯერებლად. **სოკო** ფუძე თავისი აგებულებით, სტრუქტურით ქართველური არ უნდა იყოს. გარდა ამისა, იგი არ დასტურდება ძველ ქართულში, რაც მის აღდგენას საერთოქართველურ დონეზე საეჭვოდ ხდის. სვანურში **სოკოს** შესატყვისი სხვა ფუძეები გვაქვს – **ტყუბულ** (ბზ.), **ბუტკულ** (ბქვ.).

ვფიქრობთ, ქართული **სოკო** ფუძე უნდა უკავშირდებოდეს ბერძნულ **συκον**, „ლედვის“ აღმნიშვნელ ფუძეს. ფონეტიკურად აქ დაბრკოლებები არ უნდა გვქონდეს – ქართულში ბოლოკიდური **ნ**-ის დაკარგვას ალბათ იმან შეუწყო ხელი, რომ სახელობითის ფორმით იგი მრავლობითის ფორმას დაემთხვეოდა. იგივე ფუძე, **ნ**-ის შენარჩუნებით,



სომხურმაც ისესხა. ამიტომ მისი ქართულიდან სესხების საკითხი საეჭვო ჩანს. ბერძნულ ფორმასთან ყველაზე ახლოს სომხური **სოკონ** ფორმა აღმოჩნდა (სომხური **სუნკ** და, ალბათ, **სუნგნ-იც სოკონ** ფორმის ვარიანტები უნდა იყოს და არა წინარესომხურისთვის აღდგენილი **spongos** ფუძიდან მიღებული ვარიანტები).

რაც შეეხება სემანტიკურ სხვაობას, ვფიქრობთ, ლეღვისა და სოკოს აღმნიშვნელ ცნებათა დაკავშირება შესაძლებელია. ქართულში სოკოს სახეობათა აღმნიშვნელი მრავალი ფუძე დასტურდება, თუმცა ზოგადად ამ ნაყოფის აღმნიშვნელი ფუძე ძველ ქართულში არ მოიპოვება, ლეღვის აღმნიშვნელი საერთოქართველური ფუძე კი გვაქვს. ამიტომ ქართულში „სოკოს“ მნიშვნელობით ბერძნულიდან „ლეღვის“ აღმნიშვნელი ფუძე იქნა გამოყენებული. ვფიქრობთ, საჭმელად ვარგის ამ ორ ნაყოფს საერთო აქვს ზოგი დამახასიათებელი ნიშანი, პირველ რიგში, ეს არის „სირბილე“, „ხორციანობა“, „უძვლოობა“ (შდრ. გამოთქმა „ძვალი და რბილი“, რბილი – ხორცი). ეს საერთო სირბილის ნიშანი ერთგვარად გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ ფუძე, რომელიც ქართულსა და მეგრულ-ჭანურ-ზანურში (**ლუდი**) „ლეღვს“ აღნიშნავს, სვანურში „ხორცის“ აღმნიშვნელად გვხვდება – სვან. **ლეღუ** „ხორცი“. ძალიან ანგარიშგასაწევეია გიორგი როგავას ვარაუდი იმის შესახებ, რომ სვანური **ლეღუ** „ხორცი“ ფუძე ნასესხები უნდა იყოს ადიღეური ენებიდან, სადაც ხორცის აღმნიშვნელი **ლ'გ** ფუძე გვაქვს. გიორგი როგავას ეს ვარაუდი მთელ რიგ საკითხებს სვამს, მაგრამ ეს უკვე **ლეღვ** ფუძის ეტიმოლოგიას ეხება, და არა **სოკო** ფუძეს. რომ დაეუბრუნდეთ სოკო ფუძეს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს ფუძე ზეპირი გზით იმ დროს უნდა იყოს შემოსული ქართულში, როცა ბერძნული **ჰ-ფსილონი ი-დ** არ იყო ქცეული – გვაქვს არა **სიკო**, არამედ **სოკო**.

საინტერესოა აგრეთვე აჩერდნა აბრეგოვის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ლეღვის“ აღმნიშვნელი ბერძნული **συκον** ფუძე ძალიან ადრე იქნა ნასესხები ჩერქეზულში და ღროთა განმავლობაში მოგვცა სიტყვა \***сЮКОНЦУИМПЭ**, რაც ნიშნავს „ლეღვ-კენკრას“ (აბრეგოვი 2000: 125-126).

## მეგრული და აფხაზური პუხ ფუძე

ბერძნული წარმომავლობისა ჩანს მეგრული **პუხუ** „კუზი“, აფხაზური **ა-პგხუ** „კურტუმო“ ფუძეც. საერთო ინდოევროპული **pu** ძირი „ამობურცვის“, „გამობერვის“ მნიშვნელობით, აუსლაუტის სხვადასხვაგვარი გაფორმებით **g** → **z**, მთელ რიგ ინდოევროპულ ენებშია დადასტურებული. აბაევი ოსურში ამ ძირს უკავშირებს **abuzun** „გაბერვა, გაფუება“ ფორმას. და იქვე, ოსურთან კავშირში განიხილავს ქართულ **ბუზვა||აბუზვა**-ს (აბაევი 1958: 24-25).

გიორგი კლიმოვი საერთოქართველურ დონეზე ადადგენს **pu/ფუ** ფუძეს „გაბერვის, აფუების“ მნიშვნელობით (კლიმოვი 1964: 192). ქართ. **ფუ-ილი**; მეგრ. **ფუნაფა, ფულა**; ჭან. **ფუნ**; სვ. **ლი-ფუინე**. იქვე აღნიშნულია, რომ ფუძე, ცხადია, ხმაბაძვითი ხასიათისაა და გასაკვირი არ არის, რომ ის პარალელურს ჰპოვებს არა მარტო ნახურ-დადესტნურ, არამედ სულ სხვადასხვა წარმომავლობის ენებში.

და მაინც, მეგრული და აფხაზური **პუხუ** ფუძე ნასესხები ჩანს. ის არ დასტურდება სხვა ქართველურ ენებში, არ ჩანს ჭანურშიც. ინდოევროპული ენებიდან ეს ფუძე ფონეტიკურად, მასალობრივად ყველაზე ახლოს ბერძნულ **παυη** ფორმასთან დგას. ამას განსაკუთრებით სემანტიკური მხარე ამტკიცებს — ბერძნულში „კურტუმო“ აღნიშნავს, ზუსტად ამ მნიშვნელობით გვხვდება **პუხუ** აფხაზურში, მეგრულში კი ის „კუზის“ მნიშვნელობით დასტურდება. მეგრულსა და აფხაზურში, ცხადია, ერთი ფუძე გვაქვს და ის ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. მეგრულში, საფიქრებელია, აფხაზურიდან არის შესული — მნიშვნელობა ამას უჭერს მხარს.

## ლიტერატურა:

- აბაგვი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, Москва-Ленинград.
- აბრეგოვი 2000 – А. Н. Абрегов, Исследования по лексике и словообразованию адыгейского языка, Майкоп.
- კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.
- მარი 1910 – Н. Марр, Грамматика чансаго (лазсаго) языка, С.-Петербург.
- ორბელიანი 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი.
- გიორგი როგავა – ლეღვის აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვა და მისი პარალელები აფხაზურ-ადიღურ ენებში.
- ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельсаго (иверсаго) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург.
- ჭარაია 1997 – პეტრე ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჭობონელიძე 1985 – ნ. ჭობონელიძე, ზოგიერთი სოკოს ქართული სახელწოდებისთვის, იკე, ტ. 24.
- ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

## Ekaterine Osidze

### Suppositions about origin and composition of some Georgian stems

#### Summary

1. In the dictionary of Sul Khan-Saba Orbeliani is mentioned a stem **ganzili**: **Ganzili** is Armenian, it is translated in Georgian as **jishkila**. According to the `Botanical dictionary~ by Alexandre Makashvili **ganzili** is found in the mountain dialects of the east Georgia, but in imeretian and

gurian dialects and in mingrelian too its synonym is **jishkila**, and in svan – **shishgil**.

Svan **shishgil** is the same as svan – **jishkil**: **jishkil** -> **jishgil** -> **shishgil**. **Jishkila** consists of the two mingrelian words: Georgian **Ji**'s mingrelian equivalent **jji** -> **jij** -> **ji** + mingrelian **kili/kli** “sheaf; bunch”.

We suppose that **ganzili** is Georgian stem and as material noun has to be communicated with the stem **endzela//gendzela**.

2. The equivalent of Georgian stem **mchle** “jeune” is zan **chkola**. Georgian **m-chl-e** is considered as a participle with prefix **m-** and suffix **-e**. But the point of the stem has to be old Georgian verb **chneba** (with **l/n** alternation: **m-chl-e/m-chn-ar-i**).

In svan and chan the equivalent of the verb **chneba** “pining” has to be the verbal stem **chkin-** “get tired; tire” (**chnoba** “wilt”-> **dagla** “tire”) confirmed by Niko Marr.

3. The stem **soko** “mushroom” has no equivalent in Georgian languages. It must be connected with Greek **suou**, which means “fig”. Fit for eat fig and mushroom have common symbol of softness (“softness; boneless; meaty”) which explains the fact that Georgian, mingrelian-chan-zan stem (**lugh**) of fig (**leghvi**) in svan designates meat – svan **leghu** “meat”.

4. Mingrelian **pukhu** “hump” and abkhasian **a-pkhu** “rump” seem Greek in origin too. The common indo-european stem **pu** with the meanings “distend; protuberance”. is confirmed in some indo-european languages with different get-ups of auslaut **g-->z**.

Borrowed mingrelian and abkhasian **pukhu** is not confirmed in other kartvelian languages. We cannot find it in chan too. This stem phonetically is closer to Greek **πυγη** that is translated as “rump”. The same meaning has this word in abkhasian, but in mingrelian it is confirmed with the meaning of “hump”.

## მეფა სალიანო

### სვანურ-აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკური შესწავლა

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, დიდი ხანია გამახვილებულია ყურადღება სვანურში აფხაზურ-ადიღური ენებიდან შესულ ლექსიკაზე (ს. ჯანაშია, გ. როგავა, ვ. შენგელია...). გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ს. ჯანაშია სვანური ენის ლექსიკურ ფონდში ქართველურ-ადიღური საერთო ელემენტების გარდა, მთელ ჩერქეზულ ფენას გამოყოფდა (ჯანაშია 1959:85). მისი აზრით, ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურს და, ზოგადქართველურის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო ენას რომელიდაც ისტორიულ პერიოდში მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან (იქვე:86). საყურადღებოა ისიც, რომ სვანურში, გარდა ჩერქეზულისა, აფხაზურთან საერთო ლექსიკაც დასტურდება.

სანათმეცნიერო ლიტერატურაში ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ურთიერთობის ფაქტებს სამ კატეგორიად აჯგუფებდნენ: 1. საერთო ელემენტები, 2. გავლენები ქართველური ენებისა ჩერქეზულზე და 3. გავლენები ჩერქეზული ენებისა ქართველურზე (იქვე:85).

ცნობილია ისიც, რომ განსაკუთრებით საყურადღებო შეხვედრები მოეპოვებათ სვანურსა და ადიღურ ენებს ლექსიკაში.

ჩვენი დაკვირვების შედეგადაც სვანურში არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული დაიძებნა, რომელთა ქართველური ეტიმოლოგია ვერ ხერხდება და ისინი აღნიშნული ენებიდან შემოსულად შეიძლება მივიჩნიოთ.

სტატიაში განხილულია როგორც სვანურ-ადიღური და სვანურ-აფხაზური საერთო მასალა, ასევე ნასესხობანიც.

შევეხებით რამდენიმე მათგანს:

1. სვან. (ბქ.) **ჟოღურცუზ/ოღურცუზ/ჟოღურცუ**<sup>1</sup> „ბოროტი, შურიანი (ადამიანი)“ : ადიღ. **ჟჷღურცგზ** „უბედურების, წარუმატებლობის მომტანი“.

---

<sup>1</sup> აუსლაუტმოკვეცილი **ჟოღურცუ** ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის კუთვნილებაა.

რა შეიძლება ითქვას სააანალიზო ლექსემის შესახებ?  
პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ლექსემას პარალე-  
ლები არ ეძებნება ზანტურსა და ქართულში.

შესაძლოა, აღნიშნული ფორმა ადიღურის გზით იყოს შეთვისე-  
ბული სვანურში, ვინაიდან თვით ადიღურში თურქული ენებიდან ჩანს  
ნასესხები, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ **ჟჷლურცგზ** ფუძეს ადი-  
ღურ ენა-კილოებში დიალექტური ფორმები არ მოეპოვება (ა. ხატანო-  
ვი, ზ. კერაშევა).

ადიღურ-სვანური ფუძეები მატერიალურად ძალიან ახლოს  
დგას ერთმანეთთან. სემასიოლოგიურადაც „უბედურება“ და „ბორო-  
ტი“ ცნებებს შორის კავშირი შეუძლებელი არ უნდა იყოს.

2. სვან. (ზს., ლნტ.) **გუჷმი**, (ლშხ.) **გუჷამი** „მძიმე“ : ადიღ. **გუჷამ(ჷ)**  
1. „მძიმე (საჭმელზე ითქმის)“, 2. „უსიამოვნო“ (**ჟუ** → **მ**, შდრ. ადიღ.  
**ჟუჷ**, სვან. **მუს** „თოვლი“).

სვანურ-ადიღურ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობა თვალსა-  
ჩინოა, ხოლო შეფარდება სემანტიკურ დონეზე **მ ძ ი მ ე ~ ძ ნ ე ლ ი**,  
ჩვენი აზრით, კანონზომიერია.

3. სვან. (ბქ.) ტობ. **ქუჷანდარ** : ადიღ. **ქანდ||ქანდჷ** „ბუჩქი“.  
როგორც აღნიშნავენ, ადიღურში ამ სიტყვის ეტიმოლოგია უც-  
ნობია. თანხმობან **ნ**'ს ინლაუტში ჩამატებულად თვლიან, ვინაიდან  
შაფსულურში ეს სიტყვა წარმოდგენილია **ნ**'ს გარეშე.

ადიღურ **ქანდჷ**-ში **დჷ** შეიძლება გამოიყოს და გვრჩება **ქან**. ეს  
უკანასკნელიც მარტივდება შაფსულურ დიალექტში, სადაც სწორედ  
**ნ**'ს გარეშეა წარმოდგენილი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ **რ** სახელობითი ბრუნვის ნიშა-  
ნია ადიღურ ენაში. როგორც ჩანს სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ  
ისესხა სვანურმა (შდრ. ქართ. **ბოკვერი** და ადიღ. **ბგჷგრ** „ხბო“, შენგე-  
ლია 2006:154).

საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა სვანურმა ადიღურიდან ისესხა,  
თუმცა შესაძლოა სულაც საერთო ძირთან გვქონდეს საქმე.

4. სვან. (ზს.) **ქ'ჟ'ელ** „კარავი ანუ დროებითი ღამის სათევი (ია-  
ლაღებზე, ყანასა ან ტყეში)“ : აფხაზ. **ა-ქ'ალა**, ბზიფ. **ა-ქ'ალ** „კარავი“.

5. სვან. (ბქ.) **ქუეფ** „ბევრი“, **ქუეფდ** „ბლომად“ : ადიდ. **ქუფ** „ჯგუფი“ : ყაბ. **ჟუფ** „ჯგუფი“ (იხ. ა. შაგიროვი I, გვ. 117), რომელსაც პარალელები ეძებნება აფხაზურ და თურქულ ენებში.

სვანურ-ადიღეურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური სიახლოვე ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება სემანტიკურ მიმართებას, ვფიქრობთ, „ბევრისა“ და „ჯგუფის“ დაკავშირება შეუძლებელი არ უნდა იყოს. ამოსავალი „სიბევრის“ გაგება შეიძლება იყოს.

საანალიზო სვანური ფუძე ადიღეურიდან შემოსულად მიგვაჩნია, რადგანაც აღნიშნული ფუძის ქართველური შესატყვისები ვერჯერობით გამოვლენილი არ არის.

6. სვან. (ზს.) **ცვრცმა** „ფაფა (ქონნარევი)“ : აფხაზ. **ა-ცურცმა** „თაფლითა და ქონით შეზავებული ღომი“.

საანალიზო ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ადვილი დასანახია, ხოლო რაც შეეხება წარმომავლობას, ვფიქრობთ, სვანური **ცვრცმა** აფხაზურიდანაა ნასესხები.

7. სვან. (ბქ.) **ლწკჷ** „საკეტი, ურდული (კარისა, ჭიშკრისა...) ხისგან გამოთლილი“ : აფხაზ. **ა-ლტკჷ** „ურდული, სანძალი“, მაგ.: **აჷ ალტკჷ გლარჷ!** „კარს ურდული გაუყარე!“).

სვანურში თითქოს **ლა-** პრეფიქსი უნდა გამოყოფილიყო, რასაც ეწინააღმდეგება აფხაზური **ა-ლტკჷ**, სადაც **ლ** ძირეულია. ეს კი გვავარაუდლებინებს სვანური ლექსემის აფხაზურიდან სესხებას.

8. სვან. (ზს.) საკ. სახელი **ჯაშა** : ადიდ. **ჯაშა/ჯაშა** „თავადის ქალი, კნენა“, შდრ. სვან. **ჯუაშაყან** და ასევე ადიდ. **ჯაშნან** „თავადის ასულთა სააღერსო სახელთა წოდება“.

საგულისხმოა, რომ **ჯაშა/ჯაშა** ადიღეურსა და ყაბარდოულში, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, საკუთარ სახელად არ დასტურდება, თუმცა გვხდება კომპოზიტებში პირველ კომპონენტად (მაგ.: ადიდ. **ჯაშმაფ**, ყაბ. **ჯაშსერგმა**, **ჯაშამანა||ჯაშაფ**, **ჯაშანა**), ან მეორე კომპონენტად [მაგ.: ადიდ. **ბესემჯაშ**, **ქაჯაშ** (კოკოვი 1973: 143, 144, 145)].

სააანალიზო ლექსემის ადიდეური წარმომავლობა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მას აქვს ჩერქეზული ეტიმოლოგია და შესატყვისები ეძებნება აფხაზურ-აბაზურ ენებშიც (შაგიროვი 1977:109-110).

ადგილობრივი სახელების გვერდით, როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ენაში გვხვდება უცხოური წარმოშობის ანთროპონიმები და, რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ქართველური ენებია.

9. სვან. (ბქ.) **ჩილეღუ** „ცური, „ჯიქანი“ : აფხაზ. **ჰჩგრჟ**. მოცემული სვანურ-აფხაზური ფუძეები სემანტიკურად იგივეობრივია, ხოლო ფონეტიკურად სვან. **ი** : აფხაზ. **გ**, ასევე, სვან. **ლ** : აფხაზ. **რ** შესატყვისობა ივარაუდება, რაც შეეხება ბოლოკიდურ პოზიციას, რაკი სვანურს არა აქვს ლაბიალიზებული თანხმოვნები, აფხაზურის **ჟ** გადმოიტანა როგორც ბგერათმომდევრობა **ღუ**.

ქართულსა და ზანურში სვანურ **ჩილეღუ** „ცური, „ჯიქანი“ ფორმას შესატყვისი არ ეძებნება, რაც გვაგარაუდებინებს მის აფხაზურ წარმომავლობას.

10. სვან. (ბქ.) **ჯურჯ'უ'მა** „კუბატი (საქონლის შიგნეულისა)“ : ადიღ. **ჯორმჟ/ჟ'რჟჟ** „ნაწლავებისგან გამზადებული ძეხვი“, შდრ. უბიხ. **ჯ'მა** „მებოლილი ძეხვი“, ყარაჩ.-ბალყ. **ჯვმჟ** „ძეხვი (ნაწლავებისა)“, ნოდ. **ჯორმდე** „გულღვიძლის ძეხვი“, ყირგიზ. **ჯვმჟუ** „ძროხის მსუქანი ნაწლავები“ ... შესაძლოა, სვან. **ჯურჯ'უ'მა** ფუძის გაორკეცებით იყოს მიღებული. რაც შეეხება რაჭულ დიალექტში დადასტურებულ **ჯურ-მა**'ს, იგი სვანურიდან უნდა იყოს შეთვისებული, რადგანაც ამჟამად ქართული ენის დიალექტთაგან **ჯურმა** დადასტურებულია მხოლოდ რაჭულ დიალექტში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ როგორც სვანურში, ასევე რაჭულში დამოუკიდებლად იყოს შეთვისებული სხვა ენიდან. აქვე დგება ზან. (მეგრ.) **ჯურჯანი** „კუჭმაჭი“ ფორმის საკითხიც.

11. ბქ. (ბერ.) **ჩორფუ/ჩორღუ** : ყარაჩ. **ჩორფა** „ქაფია“ (?).

გფიქრობთ, არაქართულ ფუძესთან გვაქვს საქმე, მითუმეტეს, რომ შესატყვისი ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ ჩანს.



12. სვან. (ბქ.) **კურპი** „მრგვალი“ : აფხაზ. **а-кѳмѳл || а-кѳмѳл** „მრგვალი რამ“.

ძნელია სესხების მიმართულების გარკვევა. სემანტიკის მხრივ სვანურ-აფხაზურ ფუძეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ.

13. სვან. (ბქ.) **ბგხ** : ადიღ. **ფხგ**<sup>1</sup> : აბაზ. **შხგ** „სტაფილო“.

სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში ფიქსირებული **ბგხ** „სტაფილო“, როგორც ცნობილია, უცნობი ეტიმოლოგიის სიტყვაა. სვანურის დანარჩენ დიალექტებში ქართულიდან შემოსული **სტამფილო** (ბზ.) გამოიყენება, **სტაფილო** (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) „სტაფილო“ გამოიყენება. ბალსქვემოურ **სტამფილო**-ში **მ** ფონეტიკური ჩანართია, დანარჩენ დიალექტებში კი ფონეტიკურად უცვლელი სახითაა შემოსული.

ჩვენი აზრით, აღნიშნული **ბგხ** ფუძე აფხაზურ-ადიღური ენებიდან უნდა იყოს ნასესხები, ხოლო თვით ადიღურში თურქული ენებიდან ნასესხები ჩანს. ამ ენებიდან სესხების დროს ადგილი უნდა ჰქონოდა რიგ ფონეტიკურ ცვლილებებს სვანურში, კერძოდ: თავკიდური თანხმოვნის გამჟღავნებას და თანხმოვანთგასაყარი **გ**'ს გაჩენას.

ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **\*ბგხ** → **ფხგ**, როგორც ჩანს, ამოსავალი სახეობა (მჟღერი **ბ**) შემოინახა სვანურმა.

აღნიშნული სვანური ფუძის ქართველურ ფუძეებთან დაკავშირება სცადა პროფ. მ. ჩუხუამ, რომელმაც აღადგინა საერთოქართველური **\*(მ)ხალ-** „ფხალი, მიწაფხალი“ არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:75).

14. ასევე, ადიღურიდან უნდა იყოს შეთვისებული შემდეგი სვანური ფუძეები: სვან. (ბქ.) **ყანჯალ** „თუნუქი“, შდრ. ყაბ. **ჟანჯალ**, ადიღ.

**ჯანჯალ** „რკინა (ფურცვლოვანი), თუნუქი“ < თურქ. (შაგიროვი 1077:224); სვან. (ზს., ლშხ.) **ღგ-ღ-ღენ** „დიდი ზომის ქვაბი (ჩვეულებრივ, ხარის მოსახარში)“, შდრ. ადიღ. **ღჯღღგ** „სპილენძის ქვაბი“ და სხვ., რომელთა ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება, თუმცა, შესაძლოა, პირუკუ სესხებასთანაც გვქონდეს საქმე.

---

<sup>1</sup> **ფხგ** ფუძე დასტურდება ყაბარდოულშიც (იხ. ა. შაგიროვი, III, გვ. 24).

15. როგორც ცნობილია, სვანური ენის დიალექტებში „გველის“, „ქვეწარმავლის“ აღმნიშვნელი რამდენიმე ფუძეა დადასტურებული: **მე-ბულ||მებილ**, **ჰუიჯ||ჰიჯ**, **ჰერწემ**, **შიხუნდ** და ა. შ. ცნობილია ისიც, რომ რამდენიმე მათგანის ეტიმოლოგია გარკვეულია და მათ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები ეძებნებათ ქართველურ ენებში.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ცნება „**მე-ბულ||მებილ**“-ს, რაც ნიშნავს „გველს“, „ქვეწარმავალს“, „ქვემძრომს“ (ე. ი. მიწაზე მხოხავს).

ადილეთურ ენაში **ბლწ** „გველის“ სახელწოდებაა, რომლის ეტიმოლოგიაც უცნობია. აფხაზურში, აბაზურსა და უბიხურში, ა. შაგიროვის ცნობით, სხვა ფუძეა წარმოდგენილი.

საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გველის აღმნიშვნელი **ბლწ** ადილეთურმა სვანურიდან ისესხა და არა პირიქით სვანურმა ადილეთურიდან.

**მე-ბულ||მე-ბილ** ფუძეში აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი **მე-**პრეფიქსი გამოიყოფა (შდრ. **მე-თხჷჷჷრ** „მონადირე“, **მე-ბერგდეღ** „მოჭიდავე“, **მე-ზეღწწ** „მოსიარულე“, **მე-ჰედ** „მომსვლელი“ და ა. შ.).

გვრჩება **-ბულ** ძირი, რაც სიახლოეს აჩენს ადილეთურ **ბლწ**-სთან. ამ ძირის შემცველი ფუძეები კი უხვადაა წარმოდგენილი სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში (მაგ.: **ლი-ბულ-ალ** „ძლივს სიარული, ხოხვა“, **მე-ბულ-ალ** „ძლივს მოსიარულე, ძირს მხოხავი“, **ლი-ბოლ-ე** „აცოცება“ და ა. შ.), რასაც ვერ ვიტყვით ადილეთურზე.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურში არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული დაფიქსირდა, რომელთა ქართველური ეტიმოლოგია ვერ ხერხდება, ხოლო აფხაზურ-ადილური ენებისათვის საერთოა, ამიტომ ზოგი მათგანი აღნიშნული ენებიდან შემოსულად მივიჩნით, თუმცა პირუკუ შესწავაც არ გამოირიცხება. ცხადია, ზოგ შემთხვევაში საერთო მასალასთანაც გვაქვს საქმე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- კოკოვი 1973** — Дж. Н. Коков, Вопросы адыгсой (черкесской) антропонимии, Нальчик, 1973.
- შაგიროვი 1977** — А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесской). I, Москва.
- შენგელია 2006** — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, 2006.
- ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.
- ჯანაშია 1959** — ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

### **Medea Sagliani** **Svan and Abkhazo-Adyghean (resp. Circassian)** **Vocabulary Concurrence** Summary

Svan vocabulary, adopted from Abkhazo-Adyghean languages, has long been discussed in the scientific literature (S. Janashia, G. Rogava, V. Shengelia...). The relation facts between Kartvelian and Circassian languages were divided into the three categories: 1.) Common elements. 2.) The influence of Kartvelian languages on Circassian ones. 3.) The influence of Circassian languages on Kartvelian ones.

As a result of the observation we found a number of lexical units in Svan the etymology of which cannot be alleged to be Kartvelian while they are common in Abkhazo-Adyghean languages. So, we think that some of them were adopted from the said languages but we do not rule out the counter adoption. Obviously, in some cases we're dealing with a common material.

## მუშაზე სწავლა

### ერთი საერთო საფუძვლიანი ტერმინი ქართულსა და სკანდინავიურში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. VII, 1962) **შულოს** („ორ ხელზე ან წერტაზე ამოკეცილი ძაფის კონა“) საილუსტრაციოდ დამოწმებული ხალხური ლექსი –

დაიხილა ფეიქარმა, ჩამოყარა ცხარე ცრემლი:

ვაი დედაჩემის მზესა, შულოს წავაპარე ხელი – ხელოსნის მიერ პროფესიული ეტიკის დარღვევით („შულოს წავაპარე ხელი“) გამოწვეულ მონანიებას („ვაი დედაჩემის მზესა...“) გვიმხელს და ჩვენში ამ პროფესიის დიდ და მყარ ტრადიციებს გულისხმობს.

„შინამრეწველობის“ მასალების მიხედვით ტერმინი **შულო** თითქმის მთელ საქართველოში ჩანს გავრცელებული (კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, მესხეთი, ერწო-თიანეთი, საინგილო) როგორც სახელური, ასევე ზმნური ფორმით და სინონიმებიც უჩანს. შიგნი კახეთი: „დამახულ ბაწარს, რომელიც გორგალზე გვაქვს დახვეული, დავაშულოვებთ და მემრე ვღებავთ. **შულოებს** ხიფებსაც ეძახიან,“ (მასალები, 1982, 30), ქართლი: გორგალს დავაშულოვებთ, მერე **შულოებს** შევღებავთ, სხვადასხვა-ფრად“ (მასალები, 121), ზემო იმერეთი: „ქულაზე რომ პატარა ბამბას მოწვეტენ, მერე რთავენ, მერე მომუხავენ, ე.ი. დააწობენ ძაფებს **შულოების** გასაკეთებლად, მერე დაახვევენ **შულოებს**“ (მასალები, 164), ქვემო რაჭა: „ცანდს (შულოსაც უწოდებენ) დაქსელილი ძაფია...“ (მასალები, 190), ზემო რაჭა: „ბამბი ძაფზე გვრიტას არ ვიტყვით, იმას **შულოს** ეძახით“ (მასალები, 190), ქიზიყი: **შულო** - ერთი გაბმა ძაფი (მენტეშაშვილი 1943), ჯავახეთი: **შულო** - ერთი ხვევა ძაფი (გ. ბერიძე 1981), მესხეთი: მერე დაზგებზე საქსოვს **შულოებად**, ხოლო წინდების საქსოვად გორგლებად [ამოახვევენ] (მასალები, 154), საინგილო: **შულო** 1. ყოველდღიურად სახმარად გაკეთებული პატარა ვიფი (იხ.), რომელიც შუაზეა გაჭრილი, მისი ყოველი ერთი ძაფი ერთი გაბმაა... 2. თმებსა და მატყლსაც, ხელში გრძლად დაჭერილს უწოდებენ **შულოს**:

(როსტიაშვილი 1978), ხევი: ეს სიტყვა დამოწმებულია ხალხურ ლექსში „ფაშტელი ელგუჯა“: „კაკლის კუბო გაუკეთეს მაგ საბაურის შვილსაო, / ვერცხლის შულო ჩააყვალეს, თან შუქი ჩაჰყვა მზისაო“ (ქსპ 1975, 253).

**შულოდანაა** ნაწარმოები **სა-ე** დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსით **საშულოვე** - ძაფის შულოდ ამოსახვევ ჩარხს **საშულოვე** ჰქვია (ქეგლ VI 1960). ქიზიყურში დასტურდება **საშულავე** || **შაშულავე** (<\*შულა-დან) საფეიქროში შულოდ, ჰიფის ამოსახვევი იარაღი... (მენტეშაშვილი, 1948), „ამოჰკეცავენ ნენ საშულავე ზედა სამწვრად... (მასალები 20).

დიალექტებიდან ყურადღებას იქცევს ზემო იმერულის შვილო - შულო (ძაფისა) (წერეთელი 1938), შვილო „აკეცილი ძაფი, - შულო, ხიფა (გახეჩილაძე, 1976), სამუხველზე... ეხვეოდა ძაფი შვილოთ და მას ამოავლებდნენ ფქვილის ფაფაში, აღარ წყდებოდა საქსოვში... და შვილოებული შულოებად დახვეული ძაფი. ერთ გირმაქა ბამბას გაატანდა: სახში მეიტანე და შვილოებული (ძოწენიძე, 1974), შესაბამისად, ძაფის შულოდ ამოსახვევ იარაღს იმერეთში **საშვილოე** (**სა- -ე**), **საშვილო** (**სა- -ო**) ჰქვია. აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში იხმარება **საშვილოე** (მასალები, 165), და **საშულოე** (მასალები, 161, 165).

ქვემო იმერულში დადასტურებულია **შოლო**, **შოლა** ვარიანტებიც: „მერმედ შიგ ჩავდებით შოლოს აბრეშუმს ან მატერიას“, „შოლას ვეძახოდით ბამბით დასტულს“ (მასალები, 186; 180). „ჩოხას ვკერავდით ძველი ქართული აბრეშუმის ძაფით, რომელსაც ეწოდებოდა შოლა“ (მასალები 1983, 212). **შოლა** გვაქვს ჯავახურშიც: „გაცვეთილი ქალამნის ჩასაფენი ნაჭკერი“ (მარტიროსოვი 1984).

წარმოების თვალსაზრისით საყურადღებოა გურულის **შოლიო** || **ფშოლიო** (ანლაუტში ბაგისმიერი **ფ**-ს განვითარებით) ფორმა, რომელიც ე.წ. **-იო** დაბოლოებიან სიტყვათა რიგში დგას. ეს დაბოლოება უპირატესად მცენარეების (ძირითადად სოკოების) სახელწოდებებში გვაქვს (მიქლიო, ღრუბლიო, წიფლიო)... (ქავთარაძე 1979, 139): **შოლიო**, **ფშოლიო** (ძაფი) მცი-

რედ შეგრეხილი, დუნე (შარაშიძე 1938). -**ი**ლ სუფიქსის წარმოშობის სხვადასხვა ახსნა არსებობს, უფრო მისაღები ჩანს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც შოლიო ფორმაში ბოლოკიდური -**ლ**-ს წინ გამოვლენილი -**ი** ხმოვანი -**ივ** მოქმედებითი გვარის უძველესი სუფიქსის ნაშთია (ნ. ჭუმბურიძე 1983, 157); შესაბამისად, \*შოლ-ივ-ი > შოლიო

შულო ძველ ქართულში არ ჩანს. დადასტურებულია „სიტყვის კონაში“: შულო - ნასთის ბოკელი, ნ. და დ. ჩუბინაშვილები საბას განმარტებას იმეორებენ.

შულო დასტურდება დ. ბაგრატიონის ერთ-ერთ ლექსშიც: „ბებრად გავეკოდე, წავიღო შულოები და ფთილები“...

„მან ანაცვალა სიბერე სიყმესა ვისმე ტყვისასა,

გონება შულოთ სყიდვასა, წინათვე შემატყვისასა... („დიმიტრიონი“ 1978,46).

რა შეიძლება ითქვას შულო, შვილო და შოლო ფორმათა მიმართების შესახებ; ცხადია, რომ ბოლოკიდური -**ლ** ამ ფორმებში მაწარმოებელი სუფიქსია, რასაც შულო-დან დანიშნულების **სა-** - **ე** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ ფორმათა შედარებაც გვიდასტურებს; შდრ., შულო > სა-შულოც-ე (აუსლაუტის ხმოვნებს შორის **ვ** განვითარებულია); პარალელურად არსებული **სა - შულა - ვ - ე** ძირეულ ფორმად შულა-ს ადგვადგენინებს. **ა**-ს სუფიქსისეულობას ასევე ქვემო იმერულში შვილო||\*შვილა (შდრ. სა-შვილა-ო) ფორმის პარალელურად წარმოდგენილი შოლ-ო||შოლ-ა ფორმებიც ამოწმებს. **ო-** და **ა-** მაწარმოებელ სუფიქსთა (საერთოდ (**ა**, **ე** და **ო**) მონაცვლეობა სიტყვის აუსლაუტში ქართულისათვის უჩვეულო არ არის, ისევე, როგორც უსუფიქსო და სუფიქსიან ფორმათა მონაცვლეობა: შდრ., ფერდ-ი - ფერდო, ფერდა, გვერდ-ი - გვერდო, გვერდა, ჟოლ-ი - ჟოლა (ბჟოლა), ჟოლო, თუთუბ-ი - თუთუბა, თუთუბო, მარჯვენ-ი - მარჯვენა, მარჯვენე და სხვ.

არსებობს მოსაზრება, რომ **-ა**, **-ო**, **-ე** მაწარმოებელთა ფუნქცია ერთ სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს (აღ. მანჯგალაძე 1956, 185), თუმცა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ დასაზუსტებელია. საყურადღებოა, რომ შულო ფორმის ამოსავალი ოდენფუ-

ძიანი ვარიანტი \*შულ-ი ქართულში დადასტურებული არ არის. ასხნადია შულო, შვილო, შოლო||შოლა ფუძეებში არსებული სხვაობა. შულო||შოლა ფუძეთა განსხვავებას ფუძისეულ ხმოვანთა (უო) მონაცვლეობა განსაზღვრავს. ქართული-სათვის უკანა რიგის ხმოვანთა მონაცვლეობა ფუძისეულ მორფემებში იშვიათობა არ არის. მიჩნეულია რომ, ასეთი მონაცვლეობა ფონეტიკურად არ არის განპირობებული (ქავთარაძე 1964, 268), თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ფონეტიკური პროცესის გამორიცხვაც არ შეიძლება. შდრ.: ძვ. ქართ. უკეანოს ახ. ქართ. ოკიანე/ოკეანე; საბასთან დასტურდება კნუტი || კნოტი, კუნციხი || კონციხი, ურჩხული ||ორჩხოლი (ქავთარაძე 1979, 268). შდრ., აგრეთვე, ქებლა: დოლა || დულია, დუყი || დოყო, ბუჩი || ბონო, ყოლაუხი || ყულაუხი, ბურცი || ბორცივი და სხვ. ხმოვან-მონაცვლე ფუძეთაგან ზოგ შემთხვევაში ამოსავალი უ ხმოვანი ჩანს (უკეანოს > ოკეანე), სხვა შემთხვევაში - ო: კონციხი > კუნციხი, შდრ. მეგრ. კონჩხ-ი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ვფიქრობთ, რომ შულ-ო / შოლ-ო ფორმათა მიმართებაში ამოსავალია უ ხმოვნისანი შულ-ო ვარიანტი, რადგან იმერ. შვილ-ო მხოლოდ შულ- ფუძის გავლით მიიღება (უ>ვი, ო>ვე), შდრ.: ქუხილ-ი - გურ. ქვიხილ-ი, ხურჯინ-ი - იმერ. ხვირჯინ-ი... (ქავთარაძე, 1964, 385), ასევე, დუბე - აჭარ. დვიბე და ა.შ. ერთია კი, უ>ვი (ო>ვე) ფონეტიკური პროცესი უფრო შეზღუდული ჩანს, დიალექტთა უმეტესობისთვის უკუპროცესია უფრო ნიშანდობლივი, უ და ო ხმოვნები ვი და ვე კომპლექსების რეფლექსს წარმოადგენენ: ვი>უ, ვე>ო: ქართლ.: ყივილ-ი > ყიულ-ი, წვივი-ი > წვივი-ი, მოხ.: მშვიდობა > მშუდობა, მესხ.: შვილ-ი > შჷლ-ი, კვიცი-ი > კჷცი-ი, იმერ.: წვიმ-ს > წუმ-ს, გვიმრა > გუმრა და სხვ. მაგრამ ეს პროცესები სისტემატურ ხასიათს არ ატარებს და პარალელურად უკუპროცესებიც დასტურდება. მაგ. ქართლურში (გვ. 295), მოხურში (გვ. 264), რაჭულში (გვ. 405) და ა.შ. კახურში, მაგალითად ვი > ო პროცესი არ დასტურდება, იშვიათია ვე > ო (ნაკვერჩხალი > ნაკორჩხალი, გვ. 318) (ჯორბენაძე, 1989).

ასე რომ, იმერულში დადასტურებული შვილ-ო / \*შვილ-ა (შდრ., სა-შვილ-ა-ო) ვარიანტისთვისაც ამოსავლად უფრო გავრცელებულ ძირეულ შულ- ფუძეს მოვიაზრებთ: \*შულ-ი > \*შვილ-ი (ყოველ შემთხვევაში, კვლევაში სათანადო ზანური მასალის მოძიება-ჩართვამდე). ძირეულ შულ- ფუძეზე -ა, -ო სიტყვაწარმოებითი სუფიქსების დართვით არის მიღებული \*შულ-ა / შულ-ო და \*შვილ-ა / შვილ-ო ფორმები, ფუძისეული უ-ს ო ხმოვანთან შენაცვლებით ან სულაც ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციით - შულ-ო > შოლ-ო.

ქართულისათვის შულ- ფუძის პირველადობას ერთგვარად სამეგრელოში ჩაწერილი სათანადო ტექსტიც ეხმიანება:

წინასწარ ძაფს [და]ვასველებთ, ამ ძაფს ადულებულ ნაცარწყალში ჩავდებთ, რომ არ დაიბურდოს, შულ ო ს ნაჭრით თავს დავუმაგრებთ (მასალები 1981, 230). შულ ო აქ ქართულიდანაა ნასესხები.

ქართული შულ- ფუძის შესატყვისი ჩანს სვანური ს გ უ ი რ, შდრ., მრ. რ (ბზ.) ს გ უ რ - ჳ რ: „მასალების“ მიხედვით ის კანაფის ძაფის ნაქსოვს აღნიშნავს, შდრ.: შულ ო ნასთის ბოკელი (საბა); „ახლო წარსულში საცვლები, უმთავრესად კანაფის ძაფისაგან იქსოვებოდა, რომელსაც ეძახდნენ ს გ ვ ი რ ს“ (მასალები, 211), „კანაფის ძაფისაგან მოქსოვილ ს გ ვ ი რ - ს [ხამი ტილოს] ნაჭერს ჯერ გარეცხავენ...“ (მასალები, 214).

სგუირ (-იშ, სგურჳრ ბ.ქ.), სგურ (-ალ) ღშხ. - ხამი ტილო; კანაფის ძაფის ქსოვილი. სგუირი ენუ ოხუღეთ ნაბზოზდ (ბზ. 124) - საღამომდე ტილოც მომიქსოვეო. სგუირიშ ესერ ფატან ი ეჯიჳ მეკუშდე (ანდ.) - ხამი ტილოს პერანგი და - ისიც მოკლეო. სგური ფატან ხჳქუ (ღშხ.) - ხამი ტილოს პერანგი აცვია... (სვან. ლექს. 2000).

### **ქან ლილთე, ლიჯიშ ი სგვირი ლისყენე**

კანაფის დართვა, ქსოვა და სგვირის გაკეთება.

ლიჯიშ იმჳჳი კვილის ხაკუჩ, ეჩუნ ხაკუ ს გ ვ ი რ ს ო. ქა ნჳჯიშუნდო ლჯიშს სგვირ ხაჟხა. ალ ს გ ვ ი რ ს სგვებნჳ ტუტხორისგა ჩვაჯჳბხ. მჯჯჳბუნდო უი იტხეხ ი ჩვაშყედის. მახა ლუშყეედ ს გ ვ ი რ ს ბაჩვეუნ წირშჳ მასჳრდ აყფჳნეხ. ეჩქანდო



ქნდ აშედის ი ქა ხოთხფეს ღწფკეას. ჩუ ლუფკეანლო უაგერუ-  
ზის. ათხე სერ ს გ ვ ი რ ჩუ ლუთთვენე ლი, მარე ამის აჯადღდ  
ხაკუ ლიქრშე. ფიკვიდ ჩუდ აქტრშეს ზექი, ამკალიბუნწშდ  
მესყა ტაფშე ი სერ ს გ ვ ი რ ი ლემარე ლი, თვეთნე ლი ი  
ჩინარ ხაყა (სვან. ქრესტ. 1978, 130-131).

მოქსოვა როგორც შადს უნდა, ისე უნდა ტილოსაც  
(„სგვირსაც“). ამ ტილოს წინასწარ ნაცარწმენდილში მოხარშა-  
ვენ. მოხარშვის შემდეგ ამოიღებენ და გარეცხავენ. ახლად გარე-  
ცხილ ტილოს ქვაზე ხის უროთი ძალიან (მაგრად) დაჩეჩკავენ.  
შემდეგ კვლავ გარეცხავენ და გაფენენ გასაშრობად. გაშრობის  
შემდეგ დაახვევენ, ახლა ტილო გათეთრებულია, მაგრამ ამას  
კვლავ უნდა დაჩეჩკა. მშრალად კვლავ დაჩეჩკავენ სპეციალუ-  
რი ბრტყელი ხით და უკვე ტილოც მზადაა, თეთრია და ყვე-  
ლაფრისთვის ვარგა (თარგმანი ეკუთვნის ე. გაზდელიანს).

ქართ. შუღ - სვან. **სგჷირ-**, მრ. რ. **სგურ-არ** ფუძის კანონ-  
ზომიერი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია. ქართული  
შიშინა **შ** ფონემის შესატყვისი **შგ** კომპლექსის გასისინება სვა-  
ნურში განხორციელდა ბაგისმიერი **ჷ**-ს წინა პოზიციაში თ. გა-  
მყრელიძის წესის მიხედვით: \***შჷ** > **სგ** (გამყრელიძე 1959, 52...).  
ამ დაკავშირებაში პრობლემურია ქართულისა და სვანურის აუს-  
ლაუტის **ღ:რ** შეფარდება (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 81,  
82).

სვანურ და ქართულ ფუძეთა სხვაგვარი შესატყვისისათვის  
იხ. ჩუხუა 2000-2003, 200.

### გამოყენებული ლიტერატურა:

**ბერიძე 1981** - გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო  
მასალა, თბილისი.

**გამყრელიძე 1959** - თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი  
და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკი-  
ოთხი, თბ.

- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.
- გაჩეჩილაძე 1976** - პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.
- დიმიტრიანი 1978** - დიმიტრი ბაგრატიონი, დიმიტრიანი, ლექსები და პოემები, თბ.
- მარტიროსოვი 1984** - არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, ჯავახური დიალექტის ტექსტებზე დართული ლექსიკონი, თბ.
- მანჯგალაძე 1956** - ალ. მანჯგალაძე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ.
- მასალები 1981, 1983** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, 5 ტომად. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. II, ნაწ. II, 1981; ტ. III, ნაწ. I, 1983, თბ.
- მენტეშაშვილი 1948** - ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ.
- როსტიაშვილი 1978** - ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ.
- სვან. ლექს. 2000** - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ.
- სვან. ქრესტ. 1978** - სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით, თბ.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** - პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.
- ქავთარაძე 1964** - ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII ს.ს, I, თბილისი.
- ქეგლ VI 1960, ქეგლ VII 1962** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964, თბ.

- ქსბ IV 1975 - ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, ნაკვეთი II, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ.
- შარაშიძე 1938 - გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკონი, I, თბ.
- ჩუხუა 2000-2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ.
- ძოწენიძე 1974 - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ.
- წერეთელი 1938 - ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკონი, I, თბ.
- ჭუმბურიძე 1983 - ნ. ჭუმბურიძე, ო- სუფიქსიანი სახელები ქართულში, თსუ, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრ. IX, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ.
- ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

**Murman Sukhishvili**  
**A Common Textile Term in Georgian and Svan**  
 Summary

The word **šul-o** (ball of thread) is an old textile (weaving) term in Georgian. Different variants of the **šul-** stem (**šwilo**, **šolo/šola**) can be found in Georgian dialects. Final **o** (**-a**) vowel appears to be a derivative suffix in every form.

Svan **sgwir** (pl. **sgurär**) seems to be a regular phonetic and semantic correspondence of the Georgian **šul-** stem. Sound change (whistling) in **šg** cluster, a correspondence of Georgian hushing spirant **š** (**š : šg**) occurred in the preceding position of labial **w** in Svan, according to Th. Gamkrelidze's rule: **\*šw > sgw**. However, Georgian and Svan auslaut correspondence: **l : r** remains to be problematic in this relation.

## ნათია ფონინა

### აფხაზური აფსტაზაარა „სიცოცხლე“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

აფხაზურში დასტურდება ლექსემა **აფსტაზაარა**, რომელიც აფხაზური ენის ორტომეულ ლექსიკონში განმარტებულია ამგვარად: „სიცოცხლე, ცხოვრება“. 1. არსებობა. ცხოვრების განვითარება. **აფსტაზაარა** აზაჟანქა „ცხოვრების კანონები“. 2. მდგომარეობა, რომელიც ორგანიზმს ზრდისა და განვითარების სტადიაში აქვს. აქვს **იფსტაზაარა** „ადამიანის ცხოვრება“. აწია **აფსტაზაარა** „მცენარის ცხოვრება“. უი **იფსტაზაარა** დაარა იშართან „მისი ცხოვრება საფრთხეში (ძალიან სახიფათო) იყო“. აბრიაყარა აბზიარა სხუნგ სფსგ ნზგრხაზ, დასაჭი **აფსტაზაარაჭჷ**, სნარაჭჷ უნაგანგ, აქა უდსგრბარ სთახუპ „ამდენი სიკეთე რომ გამიკეთე და ჩემი სული გადაარჩინე, დღევანდელ ცხოვრებაში, ჩემს ქორწილში მინდა წაგიყვანო და ადამიანებს ვუჩვენო შენი თავი“ (აფხ. ზღაპ.). 3. ადამიანის ან ცხოველის დაბადებასა და სიკვდილს შორის დრო. აქვს **იფსტაზაარა** კაჭჷუპ „ადამიანის ცხოვრება ხანმოკლეა“. 4. ადამიანის ნაღვაწისა (გაკეთებულის) და თავგადასავლის (გადატანილის) ერთობლიობა. უი **იფსტაზაარა** მანშალამხეიტ „მისი ცხოვრება წარუმატებელი იყო“. 5. არსებობის პირობები, გადარჩენის საშუალება, ხერხი; დროის გაყვანა. აქვს **ფსტაზაარა** „სოფლის ცხოვრება“. აქვს **ფსტაზაარა** „ქალაქური ცხოვრება“ (შაყრილი, კონჯარი, ჭკადუა 1987).

ჩვენი აზრით, აფხაზური **აფსტაზაარა** კომპოზიცია, კერძოდ, მიღებულია სულის აღმნიშვნელი ლექსემის **ა-ფსტ** და **ა-თა-(ზაა)-რა** „რამეში ყოფნა“ (შდრ. **დთრუპ**, **დთაზააჭეიტ** „მიგ არის, იმყოფება“) მასდარის შეერთებით. **ა-თა-(ზაა)-რა** ფორმაში **ა-** არის ზოგადობის აფიქსი, **-თა-** ლოკალური პრეფერბია, რომელიც ამ შემთხვევაში ძირის ფუნქციას ასრულებს, **-ზაა** სუფიქსს

მდგომარეობის ხანგრძლივობის აღნიშვნა აკისრია (გვხვდება სტატიკური ზმნიდან ნაწარმოებ მასდარებში. შდრ. **ა-მა-ზაა-რა** „ქონა, ყოლა“, **ა-ყა-ზაა-რა** „ყოფნა, არსებობა“), **-რა** კი მასდარის მაწარმოებელია.

**ა-ფსჯ** საერთო აფხაზურ-ადიღური სიტყვაა და შესატყვისი მოეპოვება როგორც ადიღეურ, ისე უბიხურ ენებში (შაგიროვი 1977: 13-14). კომპოზიტის მეორე წევრი **-თა-ც** დაკავშირებულია ადიღეურ და უბიხურ ენათა ზმნურ ძირთან – **-თჷ**, რომელიც გამოხატავს „ყოფნას, არსებობას რაღაცაში“ (შაგიროვი 1977: 186-187).

როგორც ჩანს, კომპოზიტი **აფსთაზაარა** მომდინარეობს **ა-ფსჯთა(ზაა)რა** ფორმისაგან, **ჯ** ხმოვნის ჩავარდნითა და ზოგადობის საერთო **ა-** პრეფიქსის გამოყენებით, რაც დამახასიათებელია კომპოზიტებისათვის – ზოგადობის **ა-** აფიქსი დაერთვის მხოლოდ კომპოზიტის პირველ წევრს (გვანცელაძე 2003: 44).

ამდენად, აფხაზური **აფსთაზაარა** „ცხოვრება, სიცოცხლე“ ზედმიწევნით ნიშნავს „სულის შიგ ყოფნას“. **სჯფსჯ თანაწჷ** ისთახუპ სჯფჷა თინათინ ჰჷნთჷარს დყასწარც „სანამ ცოცხალი ვარ („სული მიდგას“), მინდა ჩემი ასული თინათინი მეფედ ვაკურთხო“. მოტივაცია ნათელია. სიცოცხლე სულის თვისებაა. სულის მქონე არსება ცოცხალია, არმქონე – არაცოცხალი, მკვდარი. გარდაცვალებისას ადამიანის სული და სხეული სცილდება ერთმანეთს – ხორცი იხრწნება, სული კი განავრძობს არსებობას.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ქართველური იდიომები – ქართ. **სულის ამოხდომა** „სიცოცხლეს გამოხალმება“, ზან. (მეგრ.) **შურიშ ეშალაფა** “id” (ზედმიწ. „სულის ამორთმევა“), (ლაზ) **შური ეშასთიმუ** (ხოფ, ვიწ.-არქ.) || **შური ეშკოლვა** (ათინ.) “id”, სვან. **ქჷინიშ ლიყჷფე** “id”.

აფხაზური **აფსთაზაარა**-ს მსგავსი აგებულებისა და სემანტიკის მქონე კომპოზიტი გვხვდება ქართულში (**სულდგმული**-ი), მეგრულსა (**შურდგუმილ**-ი „ცოცხალი არსება, სულდგმული“) და

სვანურში (**ქჷინლიმგენე** || **ქჷილიმგენე**) “id”, მოხმობილ ფორმათა ლაზური შესატყვისი ჯერ არაა კომპოზიტად ქცეული. შდრ. ლაზ. **შურ-ი გედგიმერ-ი** „id“.

დასახელებული ქართველური კომპოზიტები სათანადო იდიომებიდან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. ქართ. **სულის (ჩა)დგმა** „გა(მო)ცოცხლება, სუნთქვის დაწყება“. [წეკებლამ] თქვა: მე რომ ვინმე ჩამომიდებდეს და იმ ბიჭს დამკრავდეს, მაშინვე სული ჩაედგმისო (ზღაპ.). ტასიას თითქოს ახლა ჩაედგაო სული, ისე გამოცოცხლდა (ლ. ქიაჩ.) – (ქეგლ 1960).

სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ანალოგიური იდიომი მეგრულ-ლაზურშიც გვხვდება. შდრ. მეგრ. **შურიშ ინოდგჷმა** „გაცოცხლება“ (ზედმიწ. „სულის ჩადგმა“). ირფელი ჯგირი სქანი **შური დგმასუ** მიისური „ყველაფერი კარგი შენს სიცოცხლეში (სულის დგმაში) მოისტუმრე“ (ქაჯაია III: 270), შდრ. ლაზ. **შური გედგიმუ** || **დოლოდგიმუ** „სიცოცხლე“ (ზედმიწ. „სულის (ჩა)დგმა“). **შური გემდგინ** „ცოცხალი ვარ“ (ზედმიწ. „სული მიდგას“). გვერდი **შური გემდგითუ**, მოხთუ ჩქიმდა დოხთორი „ნახევრად ცოცხალი ვიყავი („სული მედგა“), მოვიდა ჩემთან ექიმი“ (ასათიანი 2012: 59).

ზემოგანხილული იდიომების ფორმობრივ-სემანტიკური შესატყვისი დასტურდება სვანურშიც. შდრ. სვან. **ქჷინიშ ლიგნე** „სიცოცხლე“ (ზედმიწ. „სულის დგმა“). **ქჷინ ჯიგმა** „ცოცხალი ხარ?“ (ზედმიწ. „სული გიდგას?“).

ამრიგად, აფხაზური **აფსთაზაარა** „სიცოცხლე“ სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია ქართველურ ენებში დადასტურებული კომპოზიტისა („სულდგმული“) და იდიომისა „სულის დგმა“, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით „სიცოცხლეს, ცხოვრებას“ აღნიშნავს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი 2012 – ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი (ზმნური ძირ-  
ფუძეები), თბილისი.
- გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული  
ენების შემსწავლელთათვის, I, თბილისი.
- თოფურია, ქაღდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქაღდანი, სვანური  
ლექსიკონი, თბილისი.
- კლიჩევი 1972 – Р. Н. Клычев, Глагольные суффиксы направления в  
Абазинском и Абхазском языках, Черкесск.
- ლომთათიძე 2006 – ქ. ლომთათიძე, აბაზური ენა (მოკლე  
მიმოხილვა), თბილისი.
- ლომთათიძე 1982 – ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა  
ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და  
აბაზურში, თბილისი.
- ლომთათიძე 1953 - ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა  
აგებულება აფხაზურში, იბერიულ-კავკასიური  
ენათმეცნიერება, ტ. IV, თბილისი.
- ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III,  
თბილისი.
- ქეკელ 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI,  
თბილისი.
- შაყრილი, კონჯარია, ჭკადუა 1987 – К. С. Шьякрыл, В. Х.  
Концьяриа, Л. П. Чкадуа, Аҭсуа Бызшәа Ажәар, II, Аҭсуа.
- შაგიროვი 1977 – А. Шаги́ров, Этимологический словарь Адыгских  
(Черкесских) языков, А-Н, Москва.
- შაგიროვი 1977 – А. Шаги́ров, Этимологический словарь Адыгских  
(Черкесских) языков, II-I, Москва.

**Natia Poniava**  
**Towards the Etymology of Abkhaz Word Apstázaara “life”**  
Summary

In the article is discussed the Abkhaz word **apstázaara** that means “**life**”. This is a composite consisted of two words – **apsó** “soul” and **atá(zaa)ra** “to be inside”. Both of them are common Abkhaz-Adigheian words. The composite is received from **apsətazaara** by losing of vowel ə and using **a-** which is a common prefix of generality for **apsó** and **atá(zaa)ra**. Thus **apstázaara** “life” word for word means “to be soul inside of something”.

Abkhaz **apstázaara** “life” has structural and semantical equivalents in the Kartvelian Languages as in composites and as in idioms. Compare to composites - Georg. **suldgmulí** “living (being) thing”, Megr. **šurdgumili** “id”, Svan. **kwinimgene** || **kwilimgene** “id” and idioms - Georg. **sulis čadgma** “revive”, Zan. (Megr.) **šuriš inodguma** “id”, (Laz.) **šuri dolodgimu** “id”, Svan. **kwiniš ligne** “id”.



## მეფა ღლონტი

### ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

(ქართ. მომავალი-ს საღვთისმეტყველო ასპექტები)

„რას ჰქვიან ენის ცოდნა?  
რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ,  
თუნდ მთელი ქართული ლექსიკონი...  
საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება,  
ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ენის ის ღირსება და მადლი,  
რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა“  
**ვაჟა-ფშაველა**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია მეორე** ხშირად მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას რწმენისა და ცოდნის უდიდეს მნიშვნელობაზე ადამიანის სულის კეთილშეზავებულად აღზრდის საქმეში: „რწმენა და ცოდნა ავსებს ერთმანეთს და პიროვნების სწორ განვითარებას განაპირობებს. ასეთი ადამიანი სთესავს სიკეთეს, მშვიდობას, სიყვარულს, არის მიმტევებელი და მიმნდობი“, – გვმოდვრავს კათოლიკოს-პატრიარქი თავისი მისალოცი სიტყვით ჟურნალ „რწმენა და ცოდნის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით („რწმენა და ცოდნა“ 2000).

რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების დაშორიშორება და გახლეჩა აფერხებს ღვთიებობებული შემოქმედებითი ნიჭის გამრავლებასა და განვითარებას. შენიშნავენ, რომ ამ ორი სფეროს გასაერთიანებლად მეცნიერებას და, მით უფრო – რელიგიას, არ დასჭირდება თავისი მეთოდებისა და ჭეშმარიტი დანიშნულების შეცვალა ან უარყოფა. ამისათვის საკმარისი იქნება, მეცნიერებამ გაიფართოს საკუთარი სფერო (შიურე 1914, 15) და გულისხმიერებით მოეკიდოს იმას, რომ ეჭვმიუტანელია უხილავისა და ხილულის, ზეციურისა და მიწიურის, ღვთიურისა და ადამიანურის, ანუ - სულისა და ხორცის არა მარტო არსებობა, არამედ მათი თავდაპირველი დაურღვეველობა.

ამასვე გვიღაღადებს სიტყვა – თავისი ფორმის (ხორცის) და მნიშვნელობის (სულის) ცვალებადობის განმსაზღვრელი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, რის გათვალისწინებითაც სიტყვის განვითარების სკალაზე საგულისხმოდ აისახება როგორც საკუთრივ სიტყვათშემოქმედების მოტივი, ისე სიტყვათშემოქმედი ერის ისტორიული, რელიგიური, სოციალური, ყოფითი და სხვა მისთანა ასპექტები (იხ.: ღლონტი 2011, 83-88; ღლონტი 2013, 15-16).

ამჯერად მივმართოთ ქართულ სიტყვას – **მომავალი**, რომელიც თავისი მორფოლოგიური წარმოებით, თავდაპირველი სემანტიკითა და საღვთისმეტყველო გააზრებით უშუალოდ უკავშირდება, ერთი მხრივ, მარადისობისა და დროის, მეორე მხრივ, ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთმიმართების პრობლემას. ამ პრობლემის გაშუქების ქვემოთ წარმოდგენილი ცდა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გაქრისტიანდა არა მარტო ქართველი ერი, არამედ სიტყვამ ქართულმაც შეიმოსა ქრისტეს ნათელი.

### **მარადისობა და მარადისობის მოძრავი ხატი:**

კაცობრიობას დღემდე ამწყვედევს ჩიხში მარადისობისა და დროის პარადოქსული ბუნების ძიება: **რა არის მარადისობა? რა არის დრო?** რა განასხვავებს და რა აერთიანებს ამ ორ ჟამეულ ოდენობას: უძრავობა-მოძრავობა, ხანგრძლივობა-ხანმოკლეობა, უცვლელობა-ცვლილება თუ სხვა რამ?

ანტიკური და ქრისტიანული სიბრძნისმეტყველების შესწავლის გამორჩეულ საგანს შეადგენს მარადისობა და დრო, ასევე მათი ურთიერთმიმართების კვალიფიკაცია.

პლატონის თეორიით, **მარადისობა** არის არა გაურკვეველი, უსასრულო ოდენობა უჟამობისა თუ ჟამიერობისა, არამედ ექსტრატემპორალური, ანუ დროის მიღმა, დროის გარეშე არსებული „უჟამო ჟამი“, რომელიც არის უცვლელი, მთლიანი, განუყოფელი, განუწილველი **მარადიული აწმყო**.

არსობრივად, ამის მსგავსია მარადისობის ქრისტიანული კვალიფიკაცია. ნეტარი ავგუსტინესთვის მარადისობა ასევე „მა-

**რადი აწმყოა**“. მისი განმარტებით: „მარადისობაში არა არის რა წარმავალი, არამედ მარადი აწმყოა, მთელი თავისი სისავსით“ (ავგუსტინე 1995, 230).

მარადისობისგან განსხვავებით, წინააღმდეგობრივია და უმეტესად ურთიერთგამომრიცხველიც საკუთრივ **დროის** რაობა-სა და რაგვარობასთან დაკავშირებული დებულებები.

პლატონი მიიჩნევს, რომ დემიურგის მიერ შექმნილ სამყაროში **დრო** არის **მარადიული აწმყო**ს მოძრავი, მარადმიმდინარე ხატება, უძრავი და უცვლელი მარადისობის ერთგვარი პროექცია, რაც ცხადდება ამქვეყნიურ საგანთა და მოვლენათა არსებობით, მათი მოძრაობითა და ცვალებადობით. დროის ამ პლატონისეული კვალიფიკაციის სხარტ და ლაკონიურ ფორმულირებას გვაწვდის პლოტინი: „**დრო - უცვლელი მარადისობის მოძრავი ხატია**“ (ავგუსტინე 1995, 408-409; 413).

ანტიკური ფილოსოფია ასახელებს დროის სამ გრადაციას: ახლანდელი დრო, იგივე აწმყო, წარსული და მომავალი. თუმცა პლატონი გვარწმუნებს, რომ დროის ის მომენტი, ჩვენ რომ აწმყოს ვუწოდებთ, არ არსებობს. აწმყოს რაგვარობა, პლატონის აზრით, იმით შემოიფარგლება, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ზღვარია, რომელიც ერთმანეთისაგან გამიჯნავს წარსულ დროს („**იყო**“) და მომავალ დროს („**იქნება**“). სწორედ აწმყოს ამგვარი ფუნქციიდან გამომდინარე მიიჩნევს პლატონი, რომ ახლანდელი დროის ზმნური ფორმა – „**არის**“ (რომლის ეკვივალენტია არისტოტელესეული „**ახლა**“) მარადისობის გამომხატველი ერთადერთი საწუთისოფლო ატრიბუტია (ავგუსტინე 1995, 409).

რაც შეხება საკუთრივ დროის ქრისტიანულ კვალიფიცირებას, იგი უშუალოდ უკავშირდება სამყაროს შესაქმისეულ მისტერიას.

ეკლესიის წმიდა მამათა განმარტებით, **დრო – ქმნილებაა**, რადგან: „სამყარო შეიქმნა არა დროში, არამედ დროსთან ერთად, რათა გვიჩვენოს, როგორ გადადის უცვლელი და უძრავი მარადისობა წამითი-წამად ცვალებადსა და მოძრავ დროში, და როგორ იქმნება გრძნობად-კონკრეტული, განუწყვეტელი ქმნადი

და ცველადი სამყარო, რომლის დასაბამიც ღმერთია“ (ავგუსტინე 1995, 417).

წმიდა ბასილი დიდის სწავლებით, შესაქმის წიგნის პირველი მუხლის ჩანაწერი – „**დასაბამად კმნნა ღმერთმან**“ – ამასვე გვიმომწმებს და გვასწავლის, რომ:

ა) ხილული სამყარო არ არის დაუსაბამო, არამედ მას აქვს **დასაბამი**, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია: არც იმის პონა ძალგვიძს, თუ სად იწყება იგი, და არც იმისა, თუ სად მთავრდება;

ბ) ხილული სამყარო შექმნილია, კმნილია (**კმნნა**);

გ) ხილული სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, ჩვენი სამყარო **ღმერთმან** შექმნა და მანვე მისცა მას **დასაბამი** (ბასილი დიდი 2002, 207).

რამდენადაც სამყარო დროსთან ერთად შეიქმნა, იმდენად ჟამიერობა სამყაროს არსებობის წესია, რაც ნიშნავს, რომ ღვთისგან კმნილ დროსაც სამყაროს მსგავსად უნდა ჰქონდეს დასაწყისიც და დასასრულიც: „ის, რაც დასაბამს დროში იღებს, აუცილებლად დროშივე აღესრულება, ანუ, უკეთუ დასაბამი ჟამიერია, აღსასრულზეც ნუ დაეჭვდები“ (ბასილი დიდი 2002, 208-210). ამის დასტურად წმიდა ბასილი დიდი შეგვასხენებს: „წარმავალ არს ხატი ამის სოფლისა“ (1 კორინთელთა მიმართ 7, 31); „და ცანი და ქუეყანა წარვდენ“ (მათე 24, 35).

ნეტარი ავგუსტინე დროის სრულყოფილ, ჭეშმარიტ დეფინიციას მარადისობასთან მიმართებით ეძიებს და მიაჩნია, რომ საკუთრივ დრო, მარადისობის საპირისპიროდ, არ არის „პირწმინდად აწმყო“, ანუ თავისთავადი, აბსოლუტური ჟამიერი ოდენობა, არამედ იგი სამ გრადაციადაა განწილული: აწმყოდ, წარსულ დროდ და მომავალ დროდ (ავგუსტინე 1995, 230).

მართალია, დრო, ანტიკური ხანის ფილოსოფოსების მსგავსად, ნეტარი ავგუსტინესთვისაც სამ გრადაციად განწილული ჟამიერი ოდენობაა, მაგრამ ნეტარი მამა თვით ამ გრადაციათა ურთიერთმიმართების კვალიფიცირებით რადიკალურად უპირისპირდება მათს შეხედულებას.

თუკი ანტიკური წარმოდგენით, აწმყო რეალურად არ არსებობს და მხოლოდ გამიჯნავს წარსულსა და მომავალს, ნეტარი ავგუსტინეს რწმენით, დროის ამ სამ გრადაციათაგან რეალურად არსებული ჟამიერი ოდენობა მხოლოდ და მხოლოდ აწმყოა, რომელიც ერთგვარი საზომია, განმსაზღვრელია უკვე არარსებული წარსულისა და ჯერ არარსებული მომავლისა. იგი განმარტავს, რომ წარსული და მომავალი: „მხოლოდ აწმყოს სახით არსებობენ... სცდებიან, როცა არსებულად მიიჩნევენ სამ დროს – წარსულს, აწმყოსა და მომავალს... ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: არის სამი დრო – აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა“ (ავგუსტინე 1995, 417; 236-237).

სწორედ დროის ამგვარი – პარადოქსული ბუნება ამწვედევს ჩიხში მისი ჭეშმარიტი დეფინიციის მაძიებლებს. ამ ჩიხიდან გამოსავალს გვაპოვებენ ნეტარი ავგუსტინესეული სწავლება **შესაქმისეული დროის სუბიექტურობაზე**, რომელიც ეფუძნება სულის ცხოველმყოფელ ქმედითობას.

დროს და მის სამ გრადაციას ნეტარი ავგუსტინე ადამიანის ცნობიერებით განსაზღვრულ ოდენობად განიხილავს (ავგუსტინე 1995, 418). ნეტარი მამა გვეკითხება:

„ვინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ **მომავალი** ჯერ კიდევ არ არსებობს? მაგრამ მისი **მოლოდინი** ხომ უკვე **სულშია!** ან ვინ უარყოფს იმას, რომ **წარსული** უკვე ადარ არსებობს? მაგრამ **სულში** ხომ კვლავაც ცოცხლობს მისი **ხსოვნა!** დაბოლოს, რაკი აწმყო მეყსეულად გადის, ვინ გაბედავს და უარყოფს, რომ აწმყოს ხანგრძლივობა არ აქვს? მაგრამ განა ხანგრძლივი არ არის ჩვენი ყურადღება, რომელსაც ყველაფერი, რაც კი თავს იჩენს და მიედინება, დაუყოვნებლივ, მყისიერად გადაჰყავს არყოფნაში? მაშასადამე, ხანგრძლივია არა მომავალი დრო, რომელიც არ არსებობს, არამედ ხანგრძლივია მხოლოდ **მომავლის მოლოდინი**; ასევე, ხანგრძლივია არა წარსული დრო, რომელიც არ არსებობს, არამედ ხანგრძლივია მხოლოდ **წარსულის ხსოვნა**“ (ავგუსტინე 1995, 245-246) [ხაზგასმა ჩვენია – მ.დ.]

დროის სუბიექტურობის ავგუსტინესეულ სწავლებაში საგულისხმოდ იკვეთება მისი ამოსავალი დებულება **აწმყოს გამო-რჩეულობის, ერთადერთობის** შესახებ დროის გრადაციათა შორის. ნეტარი მამა გვარწმუნებს, რომ **არსებობს მხოლოდ აწმყო**, უფრო ზუსტად – **აწმყო აწმყოსი**, რომელსაც **უშუალოდ ჭკერეტს სული**, ხოლო წარსული და მომავალი მხოლოდ აწმყოსმიერ, აწმყოთი განპირობებულ ჟამიერ ოდენობას შეადგენენ:

„ეს სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს, და სხვაგან ვერსად ვხედავთ მათ: აწმყო წარსულისა – მესხიერებაა; აწმყო აწმყოსი – უშუალო ჭკერეტა; აწმყო მომავლისა კი – მოლოდინი“ (ავგუსტინე 1995, 237-238). ამასთან, „**სულში**“ ნეტარი მამა გულისხმობს ადამიანის სულს, იმ ყოვლისმაცოცხლებელსა და ყოვლისმამოძრავებელ სულს, რომელიც აყალიბებს ადამიანის გონებას, აზროვნებასა და ცნობიერებას.

ამ სწავლებაში ნიშანდობლივია ის, რომ **სულის უშუალო ჭკერეტის „საგანი“ მხოლოდ აწმყოა**. წარსული კი იმდენად არსებობს აწმყოს სახით, რამდენადაც **წარსულს** ჩვენ **აწმყოში ვჭკერეტ** და აღვიქვამთ **სულის მიერ**, და როცა მას ვიხსენებთ, სულის მიერვე განვიცდით წარსულს. აქედან გამომდინარე უძებნის წარსულ დროს ნეტარი მამა ამგვარ, ერთი შეხედვით პარადოქსულ ფორმულირებას – **აწმყო წარსულისა**.

ასევე, მომავალიც იმდენად არსებობს აწმყოს სახით, რამდენადაც **მომავალს** ჩვენ **აწმყოში ვჭკერეტ** და აღვიქვამთ **სულის მიერ**, და როცა მის **მოლოდინში ვართ**, სულის მიერვე განვიცდით მომავალს. შესაბამისად, მომავალ დროსაც აქედან გამომდინარე მოექებნა ავგუსტინესეული ფორმულირება – **აწმყო მომავლისა**.

**მომავალი – აწმყო მომავალისა:**

დროის სამი გრადაციის ქართულ სახელდებაში – **ახლანდელი**, **აწმყო** („ვინც ან რაც მოდის, სვლაშია, არის“), **წარსული** („ვინც ან რაც წავიდა, იყო“) და **მომავალი** („ვინც ან რაც

მოვა, იქნება“) – აღბეჭდილია ერთი შეხედვით პარადოქსული ლექსიკურ-სემანტიკური არხევანი, კერძოდ:

„**მომავლის, მომავალი დროის**“ სემანტიკა იტვირთა არა სვლა ზმნის მომავალი დროის მიმღეობამ – **მოსასველელი** ან **მოსავალი** („ვინც ან რაც მოვა; რაც შემდეგ იქნება“), არამედ ამავე ზმნის **ახლანდელი დროის** მიმღეობამ – **მომავალი** („ვინც ან რაც მოდის“), რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა დაკისრებოდა „**აწმყოს, ახლანდელი დროის**“ სემანტიკა და, აქედან გამომდინარე, დროის სამი გრადაციის ამგვარი სახელები უნდა გვექონოდა:

**\*მომავალი** -> „ახლანდელი დრო, აწმყო“,

**წარსული** -> „წარსული“,

**\*მოსავალი/\*მოსასველელი** -> „მომავალი“.

რატომ ან როგორ შეიძინა „**მომავლის, მომავალი დროის**“ სემანტიკა „**ახლანდელის, აწმყოს**“ მნიშვნელობის მქონე მიმღეობამ – **მომავალი**?

ამ „თავსატეხის“ ამოხსნაში ეკლესიის წმიდა მამები შეგვეწვეიან.

წმიდა სახარებაში ქართ. **მომავალი** წარმოდგება როგორც თავისი ამოსავალი სემანტიკით – „ვინც ან რაც მოდის“ (მათე 11, 3; 21, 9; მარკოზი 11, 9; ლუკა 19, 38; იოანე 12, 13), ისე შეძენილი, მეორეული მნიშვნელობით – „**მომავალი დრო, მყოფადი**; რაც ახლანდელ დროს მოსდევს, ვინც ან რაც მოვა, შემდგომ იქნება“ (იოანე 16, 13; 18,4; ლუკა 18, 30; 21, 26 და სხვა).

**მომავალი**, თავისი ამოსავალი მნიშვნელობით – „ვინც ან რაც მოდის“ – (შდრ.: ბერძნ. **εφ ξομένησ** „მომავალი, ვინც მოდის, სვლაშია“, რუს. **Грядущий, Грядый** „მომავალი, ვინც მოდის“, ინგლ. **Who comes** „მომავალი, ვინც მოდის“, ესპ. **Que viene** „მომავალი, ვინც მოდის“), იხსენიება სახეიმო მოკითხვაში, რომელიც ამშვენებს ბზობის დღესასწაულს და უსაზღვრო სიხარულითა და სასოებით აღგვაგებს:

„**ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა!**“ (მათე 21, 9; იოანე 12, 13); „**კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაითა!**“ (ლუკა 19, 38; მარკოზი 11, 9). ეს

საზეიმო მოკითხვა წმიდა სახარებაში მოხმობილია 117-ე ფსალმუნიდან (ფსალმუნი 117, 26). წმიდა ღვთისმეტყველებმა უსაზღვრო სიხარულით უძღვნის უფალ ღმერთს, რომელმაც ისმინა ვედრება ისრაელისა და მტრებზე გაამარჯვებინა მათ.

როგორც განიმარტება, იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლის დღესაც იუდეველი ერი ღვთისადმი მადლიერებას იმის მოლოდინით გამოხატავდა, რომ უფალი მათ მოუვლენდა ამქვეყნიურ ძღვევამოსილ მეუფეს (და არა ცოდვათაგან დამსხნელ მაცხოვარს), რომელიც ისრაელს რომაელთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა და დავითის მეფობას აღუდგენდა (ლოპუხინი 1904-1913).

წმიდა მამები ერთხმად აღიარებენ, რომ მტრებზე გამარჯვებულის ამ ფსალმუნისეულ სახეში უეჭველად იხილება უფალი იესო ქრისტე – მესია, ძე დავითისა, კაცთა მოდგმის მტრის მძლეველისა, რასაც წმიდა სახარებაში თავად უფალი გვიმოწმებს: „არღარა მიხილოთ მე ამიერითგან ვიდრემდე სთქვათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“ (მათე 23, 39). ამასვე მოწმობს საზეიმო მოკითხვის წინმავალი სიტყვები: „ოსანა ძესა დავითისსა! (მათე 21, 9); „ოსანა მალაქთა შინა! (მარკოზი 11, 9); „ოსანა!“ (იოანე 12, 13) – სადაც **ოსანა** არის დიდი სახალხო შეძახილი და ნიშნავს: „მაცხოვრე, ხსნა მომანიჭე“.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ განმარტებას, რომელშიც საგულისხმოდ წარმოჩნდება ამ საზეიმო მოკითხვაში მოხსენიებული **მომავლის** ამოსავალი სემანტიკის („**ვინც მოდის**“) საღვთისმეტყველო შინაარსი:

„კეთილად არის ნათქვამი: **მომავალი**, და არა – **მოსული**, რადგან **უფალი მარადის მოდის** და ეცხადება კაცთა მოდგმას (თუმცა არა ხორციელად); იგი მოდის თავისი ღმრთაებრივი მოსვლით, და მოძრაობისა და გადაადგილების გარეშე აღავსებს ცას და ქვეყანას; მოდის მაშინაც, როცა ჩვენ ჩვენი ცვალებადი და მერყევი ბუნებითა თუ უგვანი დამოკიდებულებით ვუახლოვდებით ან ვშორდებით მას“ (ზილაბენი 2003, 932-933).



მაშასადამე, ფსალმუნისეული საზეიმო მოკითხვით – „კურთხეულ არს **მომავალი** სახელითა უფლისაითა“ – წმიდა სახარება საგანგებო ახალდათქმისეულ სათქმელს გვამცნობს: იერუსალიმში დიდებით შესული იესო ნაზარეველი არის არა მხოლოდ ის ნაწინასწარმეტყველები მესია, რომელსაც ამდენ ხანს ელოდებოდნენ, და არც მხოლოდ ის, ვინც ამ დღეს მოდის (შემოდის) იერუსალიმში, და არც ის არის, ვინც კვლავაც **მოვა**, არამედ იგია, რომელიც **მარადის მოდის!**

სწორედ ამას გულისხმობს წმიდა იოანე ოქროპირი, როდესაც ამავე ფსალმუნისეული საზეიმო მოკითხვის გამო ბრძანებს:

„კეთილად არის თქმული: **მომავალი**, ვინაიდან ჯერ არ დასრულებულა საქმენი უფლისანი იმით, რაც იქმნა იერუსალიმში შესვლამდე და კიდევ მრავალი საქმე აღსრულდება მის შემდგომ“ (ზიდაბენი 2003, 932).

გაგიხსენოთ ავეუსტინესეული სწავლება შესაქმისეული დროის სუბიექტურობაზე, რომლის თანახმადაც, **მომავალი** არის **აწმყო მომავალისა**, ანუ **მომავლის მოლოდინი**, რადგან იგი სულის მიერ აღიქმება **აწმყოში** და აწმყოშივე სულის მიერ ჩვენ მომავლის მხოლოდ **მოლოდინს** განვიცდით რეალურად.

**მომავლის მოლოდინთან** დაკავშირებით ასევე საგულისხმოდაა შენიშნული, რომ „დროსთან მჭიდრო კავშირშია მოლოდინი, რომელიც ბიბლიური მსოფლგანცდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური კატეგორიაა. ბიბლიური ისტორია მოლოდინით არის სავსე. მოულოდნელობანიც, რომლებიც მრავლად ხდება ბიბლიაში, მოლოდინის ნაწილია. **მოლოდინი**, შეიძლება ითქვას, **კუმშავს დროს**, რაც იმას ნიშნავს, რომ შორეული, თითქოს **დროში გაწეილი მომავალი – აწმყოში აქტუალიზდება**“ (კიკნაძე 2013, 7) [ხაზგასმა ჩვენის – მ.დ.].

ამასთან, როგორც განიმარტება, მნიშვნელოვანია ის, რომ ბიბლიური მოლოდინი, როგორც წესი, განიცდება მოთმინებით, რომელიც რწმენით, სასოებითა და სიყვარულითაა ნასაზრდოები; ხოლო მის საბოლოო მიზანს შეადგენს მოლოდინის ახდენა, აღსრულება, რითაც მოლოდინი ერთდროულად იძენს მესიანისტურ და ესქატოლოგიურ შინაარსს: ბიბლიური მოლოდინი, არ-

სობრივად, სამყაროს და ყოფიერების გარდაქმნის, მისი დასრულების მოლოდინია, ხოლო საბოლოო მიზანია „**უფლის დღის დადგომა**“, როცა „**ყველაფერი, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ერთჟამობაში მოექცევა**“ (კიენაძე 2013, 8; 10; 13-14).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუნებითი და გრამატიკული მომავალი დროის აღმნიშვნელი ქართ. **მომავალი** სწორედ ამ საღვთისმეტყველო შინაარსს იტევს ერთდროულად, კერძოდ: თავისი მორფოლოგიური წარმოებით (ახლანდელი დროის მიმღეობა: „ვინც ან რაც **მოდის**“), **მომავალი** აღბუჭდავს „დროში გაწევილ, აწმყოთი აქტუალიზებულ“ გრადაციას, რომელსაც ნეტარი ავგუსტინე უწოდებს **აწმყო მომავალისას**; ხოლო თავისი ორკეცი, წინააღმდეგობრივი სემანტიკით („ვინც ან რაც **მოდის**“  $\leftrightarrow$  „ვინც ან რაც **მოვა, იქნება**; მომავალი დრო“), იგი იმოსება „მოლოდინით შეკუმშული“ **მომავალის** მესიანისტურ-ესქატოლოგიური განცდით – **მომავალის მოლოდინით**.

დაბოლოს, ფსალმუნისეულ-სახარებისეულ საზეიმო მოკითხვაში („კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა“) **მომავალი** გვიქადაგებს, რომ მართლმორწმუნე ქრისტიანი, მთელი თავისი გულით და მთელი თავისი სულით და მთელი თავისი გონებით, უნდა განიცდიდეს არა იმას, რომ **უფალი მოვა**, არამედ რწმენითა და სასოებით დღენიადავ ფხიზლობდეს იმის მოლოდინითა და სასოებით, რომ **უფალი მარადის მოდის!**

## გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასასწავლებლო), თბილისი, 1973.
- აგვუსტინე 1995** – ნეტარი აგვუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თსუ, 1995.
- ახალი აღთქუმაჲ 1995** – ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.
- ბასილი დიდი 2002** – წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი, ძველბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბილისი, 2002.
- ზიდაბენი 2003** – Толквая Псалтирь, Ефимия Зигабена, Калуга, 2003.
- იმნაიშვილი 1986** – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.
- კიკნაძე 2013** – ზურაბ კიკნაძე, ბიბლიური დრო, ჟურნალი „რელიგია“, № 2, 2013, გვ. 5-14.
- ლოპუხინი 1904-1913** – Толквая Библия, А. П. Лопухина, Петербург, 1, 1904-1907; 3, 1911-1913 .
- „რწმენა და ცოდნა“ 2000 – ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, №1, 2000, მარტი-მაისი.
- სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.
- ღლონტი 2011** – მედეა ღლონტი, **ხორცის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, 8, 2011, გვ.76-92.
- ღლონტი 2013** – მედეა ღლონტი, ქართული სიტყვის ქადაგება, ჟურნალი „რელიგია“, № 2, 2013, გვ.15-22.
- ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.
- შიურე 1914** – Эд. Шюре, Великие Посвященные, Калуга, 1914.

**Medea Glonti**  
**On Chronometric Correlation of Natural Time**  
**and Grammatical Tense in Georgian**  
(Theological Aspects of Georgian **momavali** “Future”)

Summary

A word-formation motive itself and also historical, religious, social and other aspects of this kind are reflected on the scale of the historical development of a word form and semantic.

One of the gradations of time – Georgian **momavali** “Future” (“Who or what will come; what will be”) with its morphological derivation, a paradoxical lexical-semantic choice and theological understanding, on the one hand, is directly connected to the problem of the chronometric correlation of the eternity and time and on the other hand, to the problem of natural time and the grammatical tense.

## ეთერ უნდალია

### საყვირის შესატყვისისათვის მებრუნო

ქართ. საყვირ-ი ქველ-ში განმარტებულია ამგვარად: 1. მაღალხმიანი ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი ლითონისა. ჩაპბერა საყვირს, ისეთი ძლიერი ხმა გაისმა, მთა-ბარს ზანზარი დააწყებინა (ვაჟა); ბუკს აყვირებენ, სპილენძის საყვირს (გ. ლეონ.); 2. სასიგნალო ხმის გამომცემი მექანიკური მოწყობილობა. ქარხნის საყვირი, – შარავზიდან მოისმა ავტომანქანის საყვირის ხმა (ა. ბელ.). 3. გადატ. ასეთი მოწყობილობის ხმა. ყურს ხშირად ესმოდა ... ქარხნის საყვირი (ს. კლდ.) (ქველი 1960).

ეს სიტყვა დასტურდება ძველ ქართულში: „საყვრსა დაეცეს და მეუდარნი აღდგენ“ (I კორ. 15, 52 (აბულაძე 1973).

სულხან-საბა ორბელიანს საკრავთა ერთი ჯგუფის ზოგად სახელად **საყვრნი** აქვს წარმოდგენილი, მათ რიგს ბევრი სხვადასხვანაირი ჩასაბერი საკრავი ეკუთვნოდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საბას მიხედვით, საყვირთა განსხვავების ერთ-ერთ ნიშნთაგანს მათი მზახებლობის მაღალ-დაბლობა, ანუ დიაპაზონი შეადგენდა (ჯავახიშვილი 1938, 98-99). როგორც მივუთითეთ, სულხან-საბა საკრავის ერთ-ერთ სახეობად ასახელებს **საყვრ-ს** ( || **საყვირი ZABC**) და გამოყოფს მათ სხვადასხვა სახეს. იგი წერს: საყვირნიცა მრავალ რიგნი არიან, მზახებელნი მაღალ-მდაბლობითა: **ბუკი** („საყვირი(ა) დიდი“ (ZA) „საყვირი(ა)“ (BC), განუმარტავია (E) (საბა 1991: 119)), **იობელისნი** („საყვირი(ა) მოკეცილი“ (ZABC), საყვირია (D) (საბა 1991: 119)), **ყვრ-სტვრი (Z)**, **ყვირო-სტვირი (ABC)** „მომცრო საყვირი“ (ZA), „საყვირია მომცრო“ (B); „საყვირია“ (C) (საბა 1993: 276). **ზროსაკუდი** „საყვირი(ა) მომცრო“ (ZABCD), ზოგადად საყვირია (E) და სხვანიცა (ZA) (საბა 1991: 287). ავტორი, რედაქციების მიხედვით, სხვადასხვა ტერმინს იყენებს საკრავთა ხმიანობის გამოსახატავად: საყვირნი მრავალრიგნი არიან მძახელნი: **მაღალ-მდაბლობითნი (B)**; ... **მაღალ-მდაბლობით მჭმობელნი (CB)**; ... **მაღალ-მდაბლობით მყივანი (კმინი D) DE**. (სულხან-საბა 1993: 64-65).

როგორც ვხედავთ, ყველა საყვირია. მათ საერთო თვისებას ის შეადგენდა, რომ ხმის გამოღება მხოლოდ ჩაბერვით შეეძლოთ (ჯავახიშვილი 1938: 98-99).

**საყვირ-ი** წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია **ყვირ- (← \*ყუირ-)** ზმნური ძირისაგან **სა-** დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსის მეშვეობით (სა-ყვირ-ი – ე. ი. „რითაც უნდა იყვირო“). შდრ. ქართ. **ყვირი-ს** „ყვირილი გაუდის, ხმამაღლა იძახის, დიდ ხმას გამოსცემს (აღამიანი). „არა, არა! ჯერს არ არის! მაგრე არ იქნებაო!“ – ყვიროდნენ თათრის მომხრეები (აკაკი). || თავისებურ ხმას გამოსცემს (ზოგი ცხოველი, ფრინველი). წუხელი ბუ მთელ ღამეს ყვიროდა (აკაკი). ბაღში ბუღბუღთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა (ღ. ასათ.) (ქეგელი 1960).

საბა **ყვრილ-ს (ყვრ-)** ასე განმარტავს: „უგვანი ზახილი“ (ZABCb), „უგვანო ზახილი“ (Ca) (საბა 1993: 276).

საყვირის ერთ-ერთ სახეობის, სამხედრო საკრავის – **ყვროსტვირი** || **ყვიროსტვირი-ს** – შესახებ, რომელსაც საბა გამოყოფს, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ იგი შედგება ორი სიტყვისაგან – **ყვრო-სა** და **სტვირი-სა**გან. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ამ საკრავს უნდა ჰქონოდა როგორც საყვირის, ისე სტვირის თვისებები. ეს საკრავი საქართველოში მე-17 საუკუნემდე იყო გავრცელებული (ჯავახიშვილი 1938: 184).

„საყვირის“ მნიშვნელობით სვანურში დასტურდება **სანყურ** (ღმს.) || **სანყერ** (ღხმ.), რომელიც ქართულიდან არის შესული (ქლენტი 1949: 187).

ქართულ **საყვირ-**თან მიმართებით აღსანიშნავია მეგრულში დადასტურებული **ოყე** „საყვირი, ბუკი“ (ქაჯაია 2002) || **ოყელია** „პატარა საყვირი, ბუკი რქისა ან ხისა (უპირატესად, კაკლის ქერქისა“ (ს. მაკალათ., გვ. 313) (ქაჯაია II, 458). შხვა **ოყე** დო **ოყელიას** ოძახინე: ბუტუ, ბუტუ „სხვა ბუკსა და საყვირს აძახებინე: ბუტუ, ბუტუ“ (ქაჯაია 2009) || **ოვიონალ-ი** მიმდ. ვნებ. მყ. **ციონუნს** ზმნისა – „საყვირი, საყვირელი“. შდრ. **ციონუა**, რომელიც არის სახელი **ციონუნს** ზმნისა – ყივილი. მუშუღეფი-

ში ციონუა მენძელეფიში ჯგირობუა: ქსს. I, გვ. 9. „მამლები ვი-ვილი, მასპინძლების სიკეთე (კარგობა)“ მუმულქ თქუა, მა პიონუნქია... : ა. ცან., გვ. 115 „მამალმა თქვაო: მე ვიციელებო.“ (ქაჯა-ია 2002) || **ოჯელენარ-ი** „საბღალავი“ || **გარახული ოჯე** „გარახული საყვირი, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმკვეთრითა და სიფიცხით“ (ქაჯაია 2002).

დასახელებულ საკრავს სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ, უკრავდნენ განსაზღვრულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ბუკის ხმა განსხვავებული იყო. მსმენელმა იცოდა, რასთან დაკავშირებით უკრავდნენ მას. დანიშნულების მიხედვით **ოჯე** „საყვირი, ბუკი“ შეიძლებაოდა ყოფილიყო:

1. **საუქვო ოჯე** „სადღესასწაულო ბუკი“ – სადღესასწაულო ბუკს უკრავდნენ დღესასწაულის წინა საღამოს, რომ შეეცხოებინებინათ მათთვის უქმის მოახლოება. ბუკს გაბმით უკრავდნენ, დროგამოშვებით;

2. **ხალხიში ოშაგარალი ოჯე** „ხალხის შესაკრები ბუკი“ – უკრავდნენ საღამოს, რათა მეორე დღეს ხალხი შეკრებილიყო, უკრავდნენ მალ-მალე, 15-20 წუთის განმავლობაში;

3. **ოჭმარეს ხალხიში ოშაგარალი ოჯე** „დილით ხალხის შესაკრები ბუკი“ – როდესაც ხალხი იმ დღეს მალე უნდა შეკრებილიყო, ბუკს უკრავდნენ დილით: შეიძლებაოდა სხვა დროსაც. დაკვრის შემდეგ ხალხი მაშინვე უნდა შეკრებილიყო;

4. **ჩხუბიში დო ბუნტიში ოჯე** „ომის, ჯანყის ბუკი“ – ბუკის დამკვრელი დადიოდა ყველა კუთხეში. ხალხს წინ მიუძღოდა და ბუკს უკრავდა. ხალხი გამოდიოდა, ეგებებოდა და უერთდებოდა;

5. **გაჭირება დო გამორსხებაში ოჯე** „გაჭირების და გამორსხების ბუკი“ – უკრავდნენ ნებისმიერ დროს. თუ ერთი ადგილიდან ხმა ვერ სწვდებოდა, სხვადასხვა კუთხიდანაც დაუკრავდნენ;

6. **შეარაყებული გამოცხადებაში ოჯე** „შეიარაღებული გამოცხადების ბუკი“ – (ამ ბუკის გაგონებაზე შეიარაღებულნი უნდა გამოცხადებულიყვნენ). ნებისმიერ დროს;

7. **გინანამალი ოჯე** „გადასაცემი ბუკი“ – ვინც გადასცემდა, იმის სახელში სამ-ოთხჯერ დაუკრავდნენ ბუკს, ხალხი იქ შეიყრებოდა;

8. **გინოხანდეს კოცნის, ვარა ნათოლეში ოჯე** „კაცის გადაცემის ან ნათვალავის ბუკი“ – როცა ხატზე გადაცემას გაათავებდნენ, ვისაც გადასცემდნენ, იმას ორივე მხარეზე და შემდეგ თავზე დაადებდნენ ბუკს და ისე დაუკრავდნენ სამჯერ;

9. **გინოხამაში ოჯე** „გადაცემის ბუკი“ – ხატზე რომ გადასცემდნენ, გადაცემა რომ დამთავრდებოდა, სამჯერ გაბმით დაუკრავდნენ ბუკს – რომ ხატზე გადაცემული იყო (ჭანტურია 1982: 244-245; ჭანტურია, არქივი).

საანალიზო ფუძეები გვხვდება შესიტყვებებში, რომლებიც მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც:

**ოჯელიაშ ძახი** „ბუკის ხმიანობა, ბუკისცემა – შურუბუმობის რიტუალის ნაწილი || **ოჯეშ ძახი** „ბუკის ხმა, ბუკის ხმიანობა; ხატისაგან დამიზეხებულის გამოლოცვის აუცილებელი ნაწილი. დამიზეხებულს, განხიბულს მნათე ხატის წინ დააჩოქებდა და ზედ მის ყურთან დააყვირებდა ბუკს, რომ ავსულები დაეფრთხო და განეკურნა იგი“ (ქობალია 2010).

**ოჯეშ ხელერდუა** „ბუკისცემა – შურუბუმობის დუმილის აღთქმისა და სახლის, სოფელ-ყურეს განწმენდის რიტუალის დამეს ბიჭები ბუკს სცემდნენ სოფლის ტყეში მაკე ტურების დასაფრთხობად, რომ შორს გაქცეულიყვნენ, რადგან გადმოცემით, ჩააშხა დიდს „დიდ ხუთშაბათს“ ყრიან ნაშიერებს. ეს ტყის **გონარჭალაფა** „გასუფთავება იყო“ (ქობალია 2010).

**ხეში ოჯე** „სათამაშოს ერთ-ერთი სახეობა“ (ჭანტურია, არქივი), რომელიც ზედმიწევნით ნიშნავს „ხელის საყვირს“.

გვხდება იდიომატურ გამოთქმაში: **ოჯე კონი** „ყვირილის მოყვარული, – ყვირია კაცი“ (ქაჯაია 2002).

ვფიქრობთ, მეგრ. **ო-ჟე** სტრუქტურული შესატყვისია ქართ. **საყვირისა**. ის ქართულის მსგავსად წარმოქმნილი სიტყვაა, ნა-



წარმოებია **ჟ** ძირისგან **ო**–**ე** დანიშნულების აფიქსებით, რომელიც ფარდია ქართ. **სა-** პრეფიქსისა და მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილია **სა-ყვირ-** || **სა-ყვრ-** ფუძეში. ქართული ფუძე ემყარება **ყვირ-** (**ყვირ-**-ის, **ყვირ-**-ილ-ი) || ძვ. ქართ. **ყვრ-** (**ყვრ-**-ილ-ი) ძირს, ხოლო მეგრულისთვის ამოსავალი უნდა იყოს \***ვი-** (**ვი-** ან-ს) „ყივის (მამალი)“, მი-ო-ვი-უ „იყივლა (მამალმა)“. **ვი-**-ონ-ი „ყივილი“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.
- სულხან-საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.
- ჟღენტი 1949** – სერგი ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა), თბილისი.
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი.
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი.
- ქაჯაია 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, IV, თბილისი.
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.
- ქეგლი 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბილისი.
- ქეგლი 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბილისი.
- ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.
- ჭანჭურია 1982** – ა. ჭანჭურიას არქივი, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 227, თბილისი.

ჭანჭურია, მასალა — ა. ჭანჭურიას არქივი, ეთნოგრაფიული მასალა, №426 (დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).  
ჭანჭურია, არქივი — ა. ჭანჭურიას არქივი, არქივი, მეგრულ-ქართული ლექსიკონის მასალა, № 434.  
ჯავახიშვილი 1990 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი.

**Eter Shengelia**

**Towards correspondence  
of the Georgian word saqviri “hooter”**

Summary

The Georgian word **saqviri** || **saqviiri** “a hooter” is a kind of the musical instrument. It could be various with its function. It is a derivative word derived from the verb **qviri**- (\*←**qviiri**-) “cry”, “shout” by the prefix **sa-** (**sa-qviri**-).

To our opinion the Georgian word **saqviri** is a structural correspondence to the Megrelian **o'e** “a hooter”. It also like the Georgian word **saqviri** || **saqviiri** could be various with its function derived from the verbal root **-i-** (← **\*-i-**) “crow” by the prefix **o-** and the suffix **-e**. The point for the Georgian **saqviri** is a **qviri**- “cry”, “shout”, but for the Megrelian **o'e** the point is **-i-** (← **-i-**) “crow”.

## 6060 ხანიაშილი

### სიტყვა მსხემ-ის ისტორიისათვის

ცნება ადამიანის აღსანიშნავად ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ძირითადად სიტყვა **კაცი** გვხვდება, ასევე გამოყენებულია ხატოვანი (მეტაფორული) თქმები, რომლებიც ფილოსოფიურ-თეოლოგიური სწავლების შემცველია, რაც ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებშიც: „სოფელი მცირე“, „ტაძარი უფლისა“, „მიწა შეურაცხი“, „მცენარე ზეცისა“, „ადრეჰნობადი ყუაილი“, „ცხოვარი წარწყმედული“, „ჭური თვთმოდრავი“, „წუთისოფლის მგზავრი“, „ნამობნი ურჩებისანი“ და ა. შ., მათ შორისაა სიტყვა **მსხემი** — „**მსხემი ქუეყანასა ზედა (სოფელსა ამას შინა)**“, რომელიც მხოლოდ ძველ ტექსტებში დასტურდება „მწირის“, „უცხოს“, „საწუთროში („საწუთოს სოფელში“) მცხოვრების“, „მდგურის“<sup>1</sup> „დროებით მოსულის“ მნიშვნელობით:

„შეისმინე ლოცვისა ჩემისა□ უფალო, და ვედრებისა ჩემისადა ყურად-ილე; ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ, რამეთუ **მსხემ** ვარ შენ წინაშე და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი“ (ფსალმ. 38,12-13); „რაჟსათჳს იქმენ, ვითარცა რაჟ□ **მსხემი ქუეყანასა ზედა** და ვითარცა მის ქუეყანისა მიმქცევი სავანედ?“ (იერ. 1,8);

---

<sup>1</sup> ამ ცოდნის გამოძახილია, ვფიქრობთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი ლექსის ფრაზები „სოფელი ესე“ და „მისნი მდგმურნი“: „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა, ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა...“; არსებობს თვალსაზრისი, რომ პოეტი ფრანგი განმანათლებლების გავლენასაც განიცდის: ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულება „ახლოით განჩხრეკილი კაცი („ქმნილი მხოლოობისა თვისისა ჟამსა რომლისამე ფრანკუზისაგან, ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად...“)<sup>1</sup> ხომ ფრანგი განმანათლებლის, კ. ფ. ვოლნეის, ნაწარმოების („ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიათა რევოლუციასზე“) თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს. ის ალექსანდრე ჭავჭავაძემ ერეკლე მეფის ძეს, ფარნაოზს, უძღვნა: „მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ირაკლის ძის ფარნაოზისადმი, უგანათლებულესო მეფის ძეო, უმოწყალესო ხელმწიფეო, ფრიადი მოწყალება, რომელი მიხილავს მე თქვენ შორის, მცემს კადნიერებასა ამას, რათა შრომთა ჩემთა მცირისა ნაყოფისა ამის შეწორვა გავუბელო უგანათლებულესსა სახელსა თქვენსა, არა მიმხედველი ნაკულეგანებათა მათ, რომელნი უსაშვალოდ იბოგებიან მუნ, არამედ მოიმედე კეთილმნიებულობისა თქუენისაგან...“ (ალ. ჭავჭავაძე 1980,185).

„იყვნეს იგინი რიცხვთ მცირედ-მცირედ და **მსხემ** მას ზედა“ (ფსალმ. 104,2)... „სამებასა უფლისა საშუელოდ შევემეცნე აღთქუმისაებრ, რომელმან მყო **სოფლისა მსხემ** (ეფრემ მცირე, 363); „**მწირნი** და **მსხემნი** ვართ სოფელსა ამას შინა, თქმულისაებრ მოციქულისა“ (აკათისტო ღირსი დედისა მარიამ მეგვებელისა); „**მწირი** და **მსხემი**, ეგრეთ დამსხემი<sup>1</sup>, ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ“ (იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“); „თქვა ჯუმბერ: სამნი განიძებთან: ერთი: მეზერე — ქურდი ყურძნისა; მეორე: მკურნალი — წამლისა უმეცარი; მესამე: **მსხემი** უამებელი (სულხან-საბა, „სიბრძნე სიცრუისა“, 12)...

სიტყვა **მსხემი**-ი და **მსხემობა** უმთავრესად ბიბლიაში, ძველი აღთქმისა და ფსალმუნთა წიგნებში გვხვდება და ლექსიკონებშიც, ძირითადად, აქედანაა დამოწმებული:

დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში **მსხემი** ასეა განმარტებული: „**სხემი** II **მსხემი**-ი ერთის ადგილით აყრილი და მეორეს ადგილს გადასახლებული კაცი ბოგანო, ეგრეთვე, **ამ საწუთოს სოფელში მცხოვრებთ** ნიშნავს (საღმრთო წერილი): „ვითარცა **მსხემ** და წარმავალ ვართ“<sup>2</sup> (ლექსიკოგრაფ. 1967).

სულხან-საბას განმარტებით „**მსხემი** ესე არს, რომელი უმ-

---

<sup>1</sup> **დამსხემი**-ი „მგალობელი, ხოტბის შემსხმელი“ (ნ. მარი); „მოსულ-დაბინავებული“ (მ. ჯანაშვილი). (ივ. ლოლაშვილი 1964, 271). ივანე ლოლაშვილი კომენტარებში აღნიშნავს, რომ „ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანი ამ ქვეყნად დროებით მოსულად ითვლება. რომ ღვთის მსახურს ეს გარემოება მარად უამს ჰხსოვებოდა, ის თავის თავს უწოდებდა მწირს ან მსხემს. ამიტომ ადვილი საფიქრებელია, შავთელი ყოფილიყო ბერი...“, თუმცა, ნიკო მარის აზრით, „მწირი და მსხემი... **МОГ БЫ ОЗНАЧАТЬ СТРАННИКА И НЕ ДУХОВНОГО ЗВАНИЯ**“ (ივ. ლოლაშვილი 1964, 217). ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით **странник** არის „მწირი, მსხემი, უცხო, მგზავრი, ყარბი (ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1973).

<sup>2</sup> შდრ.: „რომელთა-ეგე არა იცით ხვალისად, რამეთუ ვითარი არს ცხორებად თქუენი? ვითარცა კუამლი ხართ, რომელნი მცირედ ჩანნ და მერმე განქარდების“ (კათოლიკე ეპისტოლე წმ. იაკობ მოციქულისა 4,14); აგრეთვე, „კაცი, ვითარცა თივად არიან დღენი მისნი; ვითარცა ყუავილი ველისად, ეგრე აღყუავდეს; რამეთუ განვლო სულმან მის შორის, და არღარა იყოს, და არცა იცნას ადგილი მისი“ (ფსალმ. 102,15).

კვიდროთა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს, ხოლო **მწირი** სხვაგან გამოიზრდებოდეს და გვიანად წარმავალი იყოს და არა დამკვიდრებადი...**B**“ (სულხან-საბა 1991).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში **მსხემი** არის: „უბინაო კაცი, მწირი, უცხო, скиталец, странник, пришелец, поселенец ... **მწირ-ი** უცხო, მსხემი, სხვაგნით მოსული, странник, чужестранец, пришелец... (დ. ჩუბინაშვილი 1984).

ილია აბულაძის ლექსიკონში **მსხემ-** სიტყვის განსხვავებული, ზოგჯერ კი — თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი, საპირისპირო მნიშვნელობების მქონე ლექსიკური ერთეულებია დადასტურებული რედაქციულ ვარიანტებში (მაგ., „მკვიდრი“ — „მწირი“, „შინ მყოფი“ — „მოსრული“...)<sup>1</sup>:

**მსხემ-ი** „შინ მყოფი“, „მწირი“, „მოსრული“, „დამონებული“, „დამკვდრებული“, უცხო, ყარიბი: „მსხემი მღდელისა“ **G**,— „შინ მყოფი მღდელისამან“ **pb.**, ლევიტ. 22,10; „მსხემ იყავ ქუეყანასა მათსა“ **G**,— „მწირ იყავ ქუეყანასა მათსა“ **pb.**, ლევიტ. 23,7; „არა ჰქმნეთ მკვდრმან და **მწირმან მსხემმან**“ **G**,<sup>2</sup>— „არა ჰქმნეთ მას შინა მკვდრმან და **მწირმან, რომელი მოსრულ იყოს** თქუენ შორის“ **pb**,

---

<sup>1</sup> როგორც ედიშერ ჭელიძე შენიშნავს, „საზოგადოდ, „პაროიკიას“ ანუ „მწირობას“ (თუ ეს „მწირობა“ უცხო ადგილას მყარ დაფუძნებულობას გულისხმობს), არაიშვიათად მოსდევს ან პარალელურ რედაქციაში ვარიანტულად ენაცვლება სწორედ დამკვიდრებულობის შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (ამგვარი ვარიანტულად მონაცვლე ტერმინი ბერძნულში, ჩვეულებრივ, არის სწორედ „მკვიდრობის“ აღმნიშვნელი „კათოიკია“... რამდენიმე ნიმუში: „სადაცა ვინა დამკვდრებულ იყოს...“ **G**: „რომელსა შინა მსხემ იყოს იგი“ მსჯ. 5,17; „წარავალ მე მწირობად...“ **G**: „მე ვრონიებ დამკვდრებად“ მსჯ. 17,11; „დაადგრა მკვდრობად კაცისა მის თანა...“ **G**: „იწყო მსხემობად კაცისა მის თანა“ II მფ. 43...) (შენიშვნ. 53) (ჭელიძე 2012).

<sup>2</sup> ყურადღებას იქცევს ბოლო ილუსტრაცია, სადაც **მკვიდრთან** ოპოზიციამო **მწირი** და **მსხემი** ერთდროულად არის გელათის ბიბლიის ტექსტში: „არა ჰქმნეთ მკვდრმან და **მწირმან მსხემმან**“ **G**. (ბაქარის გამოცემულ) გვიანდელ რედაქციაში ცვლილებაა: „მკვდრმან და **მწირმან, რომელი მოსრულ იყოს** თქუენ შორის“ **pb**, ლევიტ. 16,29...“

ლევტი. 16,29...

ილია აბულაძის ლექსიკონში, ასევე, დადასტურებულია: **მსხემ** II **სხემ-ყოფა** „მკვდრობა“, „მწირობა“, „წარტყუნვა“: „მსხემ იყო ღვას“ **G**,— „მკვდრობდა იგი გაბაას“ **M**, მსჯ. 19,16; „მსხემი ბევრთა შორის მთისა ეფრემისთა“ **G**,— „რომელი მწირობდა ადგილთა მთისა ეფრემისთა“ **M**, მსჯ. 19,1; „რომელნი **სხემ** ყვნა ნაბუქოდონორ მეფემან“ **O**,— „რომელნიცა წარსტყუნა ნაბუქოდონორ მეფემან“ **pb.**, ნემ. 7,6...

**მსხემობა** „მწირობა“, „მკვდრ ყოფა“, „მკვდრობა“, „დამკვდრება“: „რად მსხემობ ნავთა შინა“ **G** — „რასათჳს მკვდრ ხარ ნავთა შინა“ **M**, მსჯ. 5,17 ; „იწყო მსხემობად (მკვდრობად **M**) კაცისა მის თანა“ **G**, მსჯ. 17,11...

**მსხემობა** ყარიბობა, უცხოობა: „შვილნი მსხემობისანი“ **O**, II ეზრა 8,35; „წარვიდა კაცი... მსხემობად ველსა მას მოაბისასა“ **G**,— „წარვიდა კაცი... მწირობად სოფელსა მას მოაბისასა“ **M**, რუთ. 1,1“... და ა.შ. (აბულაძე 1973).

შდრ.: **მწირობა** „ვედრო“, „მოქცეული“, „დამონებული“, უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, „შემყოფი“, „მდგური“, „მსხემი“... **მწირობა** ყარიბობა, უცხოობა, ტყვეობა, „მსხემობა“, „გარდასახლება“: „უცხოება□ აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორება“ ი.ე. 15,3; „შთავიდა... მწირობად მუნ“ **O**, — „შთავიდა... მსხემობად მუნ“ **pb.**, ეს. 52,4; „მწირობისა იგი დასაბამი ესე არს“ **O**, — „გარდასახლებისა დასაბამი ესე არს“ **pb.**, აბდ. 1,20; „წარვიდა... მწირობად, სადაცამცა პოვა“ **M**,— „წარვიდა... მსხემობად, სადაცა პოოს ადგილი“ **G**, მსჯ. 17,8... (იქვე, აბულაძე 1973).

ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ **მსხემი** განმარტებულია როგორც „უცხო; მწირობა“, **მსხემობა** „ხიზნობა“, **მსხემობად** „ხიზნობა; ხიზნით კრებული“, **მსხემ-ყოფა** „გაძეგება“ (სარჯველაძე 2001).

კორნელი დანელიას განმარტებითაც **მსხემობა**□ არის „უცხოობაში ყოფნა, მწირობა. დაბ. 24,37; რუთ.1,1... მწირობა „უცხოობაში

ყოფნა“<sup>1</sup>: [და მიგცე შენ] ქუყყანად ეგე, რომელსა ზედა შენ ჰმწირობ, დაბ. 17,8 (დანელია 1987, 423).

საინტერესოა, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **მსხემი** არ არის შეტანილი, თუმცა განმარტებულია მისი სინონიმური წყვილი **მწირო**: „**მწირო-ი**<sup>1</sup>... 1. უცხოეთიდან გადმოხვეწილი,— უთვისტომო, უნათესავო... // უცხო მგზავრი... // გადატ. ღარიბი, უქონელი... 2. უხარისხო მონაზონი, — მორჩილი. მწირომა უარყო სოფელი, ირჩია სულით ცხოვნება (ვაჟა)... ; **მწირო**<sup>2</sup> უნაყოფო, მოუსავლიანი...“ (ქეგლ V,1958).

ბიბლიის ლექსიკონში (I, 2000) სიტყვა **მსხემი** განმარტებისათვის გაგზავნილია **მწირო**- სიტყვაზე: „იხ. მწირო“, სადაც ვკითხულობთ: „წმინდანები არიან მწირნი. ფს. 38,12; I პეტ. 1,1; წმინდანები ასე იხსენებენ (იწოდებიან). დაბ. 12,1; საქმე 7,3; ლუკ. 14, 26-27,33; წმინდანები მწირად თვლიან თავს. I ნეშტ. 29,15; ფს. 38,13; ებრ. 11,3; ...ეძიებენ მამულს ზეცაში. ებრ. 11,10; ...ღმრთისმოშიშებით ასრულებენ თავიანთ გზას. პეტ. 1,17; „საგალობელ იყვნეს ჩემდა სამართალნი შენნი ადგილსა მას მწირობისა ჩემისასა“. ფს. 118,54...; „მათი მოქალაქობად ცათა შინა არს“. ფილიპ. 3,20; არაამქვეყნიურნი არიან. ებრ. 11,9...; ისწრაფიან, დაასრულონ მგზავრობა და განისვენონ. ფს. 54,7; 2 კორ. 5,1-8...; სამყარო (სოფელი) მათი ღირსი არ არის. ებრ. 11,38; ...ქრისტეს მაგალითს მისდევენ. ლუკ. 9,58-61...“ (ბიბლიის ლექსიკონი I, 2000).

როგორც ვნახეთ, **მსხემი** და **მწირო** ხშირად ერთმანეთის პარალელურად, სინონიმად დასტურდება ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში, იშვიათად, „**მწირისა**“ და „**მსხემის**“ მონაცვლე ქართულ ტერმინებად თავს იჩენს „**მოქცეული**“, „**ვედრი**“, „**შემყოფი**“, „**მოსაზღვრე**“, „**გარემოსრული** [გარჯომოსრული O]“, „**მრებლი**“, „**მრწევი**“, „**მდგური**“...

გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა **მსხემი** და **მწირო** ერთდროულად, გვერდიგვერდ დასტურდება ტექსტში, მაგ.:

---

<sup>1</sup> შტრ.: „უცხოობისა ამის და მწირობისა სოფელსა შინა რულუნებით და მარტობით ვიყოფოდი“ (იოანე ზედაზნელის ცხოვრ.).

„და იყოს ესე თქუენდა შჯულად საუკუნოდ: თთუესა მას მეშვიდესა, ათსა თთუსასა დაიმდაბლნეთ სულნი თქუენნი, ყოველივე საქმე თქუენი არა ჰქმნეთ მას შინა მკვდრმან და მწირმან, რომელი მოსრულ იყოს თქუენ შორის...“ (ლევიტ. 16,29) AKSB<sup>1</sup>... შდრ.: გელათურ რედაქციაში: „...არა ჰქმნათ მკვდრმან და მწირმან მსხემ-მან თქუენ შორის...“ G; განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ერთ-ერთ რედაქციაში (A-H 1207) მსხემის ნაცვლად მრწემია: „...არა ჰქმნეთ მას შინა მკვდრმან და მრწემმან...“ AK (ლევიტ. 16,29).

ანალოგიური შემთხვევებია სხვაგანაც: „...და მწირმან მან, რომელი მოსრულ იყოს თქუენ შორის... (ლევიტ. 17,12) SB.; შდრ.: „...მწირმან და მრწემმან... A.; შემოსულმან... K.“; ასევე, ლევიტ. 17,12: „და ყოველმან კაცმან, რომელმან ჭამოს... ნამჭეცავი, მკვდრთაგანმან გინა მწირთაგანმან...“ SB.; შდრ.: G: „ყოველმან სულმან, რომელმან ჭამოს... ნამჭეცავი, მკვდრთა გინა მწირთაშორის-მან...“; AK: ... ჭამოს... ნამჭეცავი გარეთ შემოსრულთაგანმან, გინა მწირთაგანმან, გინა შიშუელთაგანმან ბუნაკმან მის სოფლისამან...“ (ლევიტ. 17,15) და ა.შ.

ამ რედაქციულ სხვაობებთან დაკავშირებით ბაქარ გიგინეიშვილი აღნიშნავდა, რომ ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის, მათ შორის ხუთწიგნეულის, უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო, ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს. საინტერესოა, რომ სიტყვის შენაცვლების დროს ზოგჯერ გადამწერი შესაცვლელ სიტყვას არ შლის და შეცვლის მაგიერ ჩამატებას ვიღებთ... ამ დროს, ხშირად, ძველი ლექსიკაც იჩენს თავს: „ძალზე საყურადღებოდ გვჩვენება ის ფაქტი, რომ ლევიტელთა წიგნშიც არის სამი მონაკვეთი ტექსტისა 12-13 მუხლის ოდენობით, სადაც AK ჯგუფი გამოეყოფა დანარჩენ ხელნაწერებს და უპირისპირდება რედაქციულად, ერთის მხრივ,

---

<sup>1</sup> ილუსტრაციები შედარებისათვის მოგვყავს წიგნიდან „წიგნი ძუელისა აღთქმისანი“, რომელიც მომზადებულია ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით (წიგნი... 1990).



ომკურ ტიპს, მეორე მხრივ კი — გელათურს. ესაა შემდეგი ადგილები: ლევ. 10,7—10,18; 15,33—16,12; 17,10—18,5. ეს ის ადგილები უნდა იყოს ლევიტელთა წიგნისა, რომლებშიც **A** და **K** ნუსხებს თავისი ძველი ტექსტი აქვთ შემონახული. ლევიტელთა წიგნში **AK** (ისევე, როგორც **S** და **B** ნუსხები) ომკური რედაქციისაა, გარდა ამ სამი დასახელებული ადგილისა...“ (ბ. გიგინეიშვილი 1989, 34,44). ამის ნიმუშია სწორედ ზემოთ მოყვანილი მაგალითები.

**მსხემი** და **მწირი** ძველი აღთქმის თარგმანებში ორიგინალის ტერმინებს (ებრაულში — **გერ-** ძირიან სახელებს, ხოლო ბერძნულში — **პაროკია-ს** (παροικία), და მისგან ნაწარმოებ ტერმინებს) შეესატყვისება.

„ეტიმოლოგიურ ძიებანში“ (V,1991) გამოქვეყნებული იყო სტატია „**გერ-** ძირის ისტორიისათვის ქართულში“, სადაც გკითხულობთ: „ძველ ებრაულში არის ძირი ... (**gēr**), რომელიც მოსულს, ებრაელთა შორის დასახლებულ უცხო ტომის შვილს აღნიშნავს, ამ ძირს აქვს აგრეთვე პროზელიტის (ანუ ახლად მოქცეულის) მნიშვნელობა... ძველი აღთქმის წიგნებში **ger** ძირი სხვადასხვა ფორმით მრავალჯერ გვხვდება (დაბ. 23,4... გამოსლ. 2,22, 18,3... 2 სჯ. 1,16...)<sup>1</sup> უკლებლივ ყველა შემთხვევაში ძვ. ებრ. **გერ-** ძირი ბიბლიურ წიგნთა რუსულ თარგმანში გადმოიცემა სიტყვით „пришелец“ ან „чужой, прохожий“, გერმანულში კი — „fremd-“ ფუძით... ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში **გერ-** ძირიან ფორმებს შეესატყვისება „მწირი“ ან „მსხემი“... (ლერნერი, ბინიაშვილი 1991, 39-40).

როგორც ავტორები აღნიშნავენ, „სინონიმები **მწირი** // **მსხემი** ძველი ებრაული **გერ-** ძირის ყველა კონტექსტუალურ მნიშვნელობას ამოწურავს...

ებრ. „**გერ-**“ს შეესატყვისება ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტი — „მწირი“, „მსხემი“ და არც ერთ შემთხვევაში ებრ. **გერ** არ გადმოიცემა ქართ. **გერ-ით**, რაც სრულიად ბუნებრივია ქართულში მიღებული ამ ძირის მნიშვნელობის, ებრაული **გერ-** ძირის სემანტიკისა და ამ ძირის სხვა ენებზე შინაარსობრივი

---

<sup>1</sup> გეზენიუსი 1910.

**თარგმნის ტრადიციის გათვალისწინებით ...** (იქვე, 40).

აგრეთვე, ე. ჰელიძე ერთ-ერთ წერილში, სასულიერო ტერმინების მიმოხილვისას შენიშნავს, რომ „ტერმინი **მწირობს** შეესაბამება ორიგინალის<sup>1</sup> ტერმინს **παρισκοινησα**, იგი მომდინარეობს ზმნიდან **παρισκοειν**, რაც კალკირებულად ნიშნავს „სახლის გარეთ, სახლის მიღმა, სახლის გვერდის ავლით ყოფნას“ (**παρη** — „გარე“ [მაგალ., იერ. 41,8: „გარე-წარჰხდა **παρη-ηλθει**], **οικος** — „სახლი“).

ეს ზმნა და მისი ინფინიტივურ-მიმღეობური ფორმები, ისევე როგორც არსებითი სახელი **παρισκοια**, **παρισκοησα** („**მწირობა**“) და **παρισκοι** („**მწირო**“) ხშირად დასტურდება წმინდა წერილში. შესაბამისი მუხლების ძველი ქართული თარგმანები მოწმობს აღნიშნული ტერმინის ორ ძირითად შესატყვისს: „**მწირო**“ და „**მწირობა**“ — არსებითად **ოშკური რედაქციისათვის** და „**მსხემი**“ და „**მსხემობა**“ — არსებითად **გელათური რედაქციისათვის**...<sup>2</sup> „მწირობის“ აღმნიშვნელი „პაროკია“ (**παρισκοια**), ძველთაგანვე დაიტვირთა „მწირობაში მყოფი სულიერი ძმების კრებულის“, ანუ „მრევლის“, „სამრევლოს“, „დიოცეზის“ (**διοικησις** — სიტყვასიტყვით „საგამგებლო“) ანდა „ეპარქიის“ (**επαρχια**) მნიშვნელობით... შეიძლებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ტერმინი „სამწირო“, როგორც „მწიროთა“ ანუ „უცხოთა“, აქედან „დროებით მოსულთა“ ანუ „სტუმართა“ „თავშესაფრის“, იგივე „სასტუმროს“ მნიშვნელობით: „აღიშენოს უკუე სამწიროდსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი“... (შენიშვნ. 71) (ჰელიძე 2012).

ტერმინი **მსხემი**, ორიგინალის (ებრაული და ბერძნული დედნების) ტერმინების მსგავსად, ამ შინაარსის შემცველი უნდა იყოს, ეტიმოლოგიურად მას სწორედ „გარეთმყოფის“, „დროებით მოსულის“, „განდევნილის“ „უცხო“ შინაარსი უნდა ჰქონდეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იგულისხმება ბერძნული.

<sup>2</sup> **ოშკის, ანუ ათონის ბიბლია (978 წ.)** წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნების დღეისათვის ყველაზე ადრეულ ნუსხას, რედაქციულად მასთან ძალიან ახლოს დგას **გელათის ბიბლია (XII ს.)** (მზ. შანიძე 2008, 86).

<sup>3</sup> „სიტყვათა საშუალებით... შეიძლება გავიგოთ ისიც, რაც აღარ აღიქმება, რისიც მხოლოდ გახსენება ხდება, გახსენება ენობრივ ცოდნაზე დაყრდნობით... გამოცნობის

წმიდა მამათა სწავლებით, კაცობრიობა — ესაა პირველცოდვით დაცემული მშობლების — ადამისა და ევას ნაშიერთა ერთობლიობა; ამ ერთობლიობის ანუ კაცობრიობის ყველა წევრს, ადამისა და ევას მემკვიდრე ყოველ ადამიანს დაბადებითვე, გენეტიკურად თან დაჰყვება უცხოობა, ექსორიობა ანუ განდევნილობა, გადასახლებულობა, მწირობა, მსხემობა, საკუთარი სამშობლოსაგან შორს ყოფნა.

ვფიქრობთ, სიტყვა **მსხემი (მსხემობა)** ამ ცოდნის შემცველია: **მსხემი** ისაა, „**ვინც განიდევნა, ვინც გააძევეს**“:

„ოდეს-იგი ჭამა [ადამმა] მისგანი [ხე ცნობადის ნაყოფი], გან-  
შიშულდა, **განიძო** იგი სამოთხით ღმრთისაჲთ“ (სწავლ. 217,9);  
„**განავლინა** იგი [ადამ] უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებ-  
ლისა საქმედ ქუეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა. და **განჯაღა**  
ადამ და **დაამკვდრა** იგი წინაშე საშუებელსა სამოთხისასა“ (შესაქმე  
III, 23-24).

ადამი სამოთხიდან იქნა გამოძევებული და, მასთან ერთად, მთელი კაცობრიობაც გამოძევებულია, დევნილია: „რამეთუ პირველ ანგელოზნი აბრალებდეს ევას, ხოლო აწ მარიამს ადიდებენ, რამეთუ უძლურებაჲ იგი დედათაჲ განკურნა და დაცემული დიდებაჲ თჳსი აღადგინა და **განძებული ადამ სამოთხით** წარმოგზავნა გზასა მას ზეცისასა, რომელმან დაწმული სამოთხე განაღო და ავაზაკი და-  
ამკვდრა“ (სინური მრავალთ. 205, 13-16).

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველად ბიბლიურ წიგნთა თარ-  
გმნას ღვთიური შიშით და კრძალვით ეკიდებოდნენ, ცხადია, ბიბლი-  
ის — „ღმრთის სიტყვის“ — ნაციონალურ ენაზე გადმომღებ მო-  
რწმუნე ქრისტიან მთარგმნელთ მხოლოდ ის მიზანი ექნებოდათ,  
რომ მაქსიმალურად ჩასწვდომოდნენ დედნისეულ აზრს და ინდივი-  
დუალური ინტერპრეტაციის გარეშე გადმოეტანათ ის. ურთულესი

---

საფუძველი მესხიერებაშია, სადაც ჩვენი გამოცდილება ილექება. ასეთია ბუნებრივი ენის ბუნება, მაგრამ მას ამისა არ უნდა რცხვენოდესო, ამბობს პ. ვაინრიხი, რადგან „იმაზე ნაკლები ჭეშმარიტება არ არის მასში, რამდენიცაა ლოგიკის ან მათემატიკის ენაში“... (კვარაცხელია 2009, 33,43). „მისჩანაწლებენ გრძნობებს კულში ჩრდილებივით ჩვენი სიტყვები“... (იქვე, 232).

ბიბლიური ტექსტის უზუსტესად თარგმნის სურვილს არ შეიძლება, არ მოჰყოლოდა ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული კალკები<sup>1</sup>...“ (დანელია 1998, 61).

**სხმა** (**სხამ-** ფუძე), რომლიდანაც უნდა მომდინარეობდეს **სხე-**სახელი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, პოლისემანტიკური ზმნაა და თავისებურებებით გამოირჩევა: **სხმა** რიცხვში მონაცვლეა, ის იხმარება მხოლოდ მრავლობითში. მხოლობითში, ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, იგი სხვადასხვა ფუძის ზმნას ენაცვლება, როცა ობიექტი მრავლობითშია, ან მრავლობითის გაგებას, კრებითობას გამოხატავს: **სმა** — სხმა (დასმა — დასხმა, ჩასმა — ჩასხმა, გადასმა — გადასხმა...); **ბმა** — სხმა (მოიბა — მოისხა, აბია — ასხია); **დაცემა** — დასხმა (თავს დაეცა — თავს დაესხნენ); **ყვანა** — სხმა (წაიყვანა — წაასხა, გამოასხა — „გამოასხა ერი იგი“ მთ. 8,25); **დება** — სხმა (დადება — დასხმა); **განძება** — განსხმა (ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო ამ ზმნათა ფუძეების მონაცვლეობა პირდ. ობ. პირთა რიცხვის მიხედვით: ჯელი დასდვა — ჯელნი დაასხნა; განაძეს იგი გარე (ი. 9,35) — ეშმაკნი მრავალნი განასხეს (მრ. 6,13) (შანიძე 1973, 505,543).

ივანე ქავთარაძე სტატიის „რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში“ წერდა: „უნდა შეინიშნოს, რომ ძველ ქართულში ეს ზმნა ძალიან ფართოდაა გამოყენებული და ფართო მნიშვნელობაც აქვს. ამის გამო იგი თითქმის აძევებს ხმარებიდან მრავლობითის სხვა ფუძეებს და მათ ადგილს იჭერს... **სხამ-** ფუძეს აშკარად უპირისპირდება **სუამ**, **დევ-**, **ა-გდებ** ფუძეები, როცა ობიექტი მხოლობით რიცხვშია წარმოდგენილი, **სხამ-**თან კი ობიექტი მრავლობითშია ... (ქავთარაძე 1964, 162).

---

<sup>1</sup> კალკი (ფრანგ. calque) ისეთი ნაწილობრივი სესხებაა, როცა რომელიმე ენაში სხვა ენის სიტყვებისა და ფრაზების (სინტაგმების) მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის მიბაძვით იქმნება ახალი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, ან უცხო ენის პოლისემიური სიტყვების გავლენით სიტყვები იძენენ მეორეულ მნიშვნელობებს (დანელია 1998, 58).

ამ საკითხს არაერთი მეცნიერის არაერთი გამოკვლევა ეძღვნება<sup>1</sup>.

„არსებითად ყველა ის ზმნა, რომელიც ახალ ქართულში სუბლექტურობას ავლენს, უძველესი დროიდანვე არის ამ ბუნებისა. თუ გავითვალისწინებთ შესაბამის ძირთა სიძველეს და იმას, რომ მათ ნაწილს ქართველური რეფლექსები უვლინდება (მაგალითად, აღდგენილია \*სხ- „დასხმა“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 425] და \*სუ- „დასმა“ [ჩუხუა 2000-2004] არქეტიპები)... როგორც ჩანს, სუბლექტივიზმი<sup>2</sup> სისტემატურად და მასალობრივ ნაკლებ ექვემდებარებოდა ენაში მიმდინარე დიაქრონიულ ცვლილებებს, თუმცა ზოგი ამ რიგის ფაქტი დროთა განმავლობაში მაინც დაიკარგა ან შეიზღუდა (არაბული 2008, 20).

ივ. იმნაიშვილის ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში **სხმა** სახელის ათი მნიშვნელობა, მრავლობით რიცხვში მონაცვლეობის ათი შემთხვევაა დადასტურებული: „1.**სხმა** (ნერგისა), **ა—2**[ნერგების **დარგვა**, ჩაყრა][ნ.კ. **დასხმა**]. 2.**სხმა** (შვილებისა, მეგობრებისა...), **ი** [ყოლა (სუბ. მრ-ში). 3.**სხმა**, **ა—2** [ქონება; სუბიექტით მრ-ში; მხოლობითში მას **დგმა** ენაცვლება. მეორე სერიის მწკრივებს **ენით აწარმოებს**][ნ.კ. **დგმა**]. 4.**სხმა**, **ი/უ** [ყოლა; სუბიექტით მრ-ში; მხოლობითში მას **სუმა** ენაცვლება. მეორე სერიის მწკრივებს **ენით აწარმოებს**]. 5.**სხმა**, **ი ვნ.**[დება; სუბიექტით მრ-ში; მხოლობითში მას **დება** ენაცვლება] [ნ. კ. დასხმა, დება]. 6. **სხმა** ნ. **გამოსხმა**, **განსხმა**. 7.**სხმა** ნ. **გარდასხმა**, **შთასხმა**. 8. **სხმა** ნ. **შესხმა**. 9. **სხმა** ნ. **დასხმა**. 10.**სხმა** ნ. ფერკთა შესასხმელი“ (ივ. იმნაიშვილი 1986, 557).

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში **სხმა** სახელის განმარტებაში (ბუდეში) დადასტურებულია შემდეგი მნიშვნე-

---

<sup>1</sup> აგრეთვე, იხ.: არნ. ჩიქობავა (1942), აკ. შანიძე (1976), ივ. იმნაიშვილი, გ. იმნაიშვილი (1996)...

<sup>2</sup> სუბლექტივიზმი, ფუძეთა სუბლექტურობა (ფრანგ. *suppletif* „დამატებითი“) გულისხმობს სიტყვის ძირის მონაცვლეობას პარადიგმის ფარგლებში გრამატიკული დანიშნულებით.

ლობები და სინონიმური ვარიანტები<sup>1</sup>: შობა; მოყვანა, მოგვრა; ქონება, „დგმა“; ყოლა, სმა; დება; აცმა, მოსხმა; „დანერგვა“, ღარგვა; აყვანა... იხ. აღმოსხმა, აღსხმა... გამოსხმა, განსხმა, გარდამოსხმა, გარდასხმა, გარე-მოსხმა, დამასხმელი, დასხმა, დასხმითი, დასხმული, .. ზედ-მოსასხმელი, თავს-სხმა, თავწარსხმული, მისხმა, მომსხმელი, მოსხმა, მსხმო, პირის-დასხმა, უკუ-მოსხმა, შესხმა, შვილთ-სხმა, ჩამოსხმული, ჩასხმა,.. წარსხმა, ჯელთ-სხმა (აბულაძე 1973).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, **სხმა** ზმნა თავის თავში ერთდროულად მოიცავს ისეთ საპირისპირო მნიშვნელობებს, როგორებიცაა „დგმა, ყოლა, დამკვიდრება“ და „განსხმა, გაძევება“.<sup>2</sup>

**მსხემ**-ი || **სხემ**-ი (მსხემობა) **სხმა** (გ ა ნ ს ხ მ ა „გაძევება“)<sup>3</sup> ზმნისაგან უნდა მომდინარეობდეს, არქაული ალტერნაციის [ზმნური და სახელური] ფუძეთქმნადობის გზით: **სხემ**-ი — **სხამ**- [ისევე, როგორც: ძღუენი — ძღუან- („მიუძღუანე მე ძელი ნაძუსად (ნემტ. - 2,8), მეტი — ჰმატს, მელი — მალვა და ა.შ.]; **მ**- პრეფიქსი კი, **მ**-ანიანი მიმღებების ანალოგიით გვიან უნდა იყოს გაჩენილი, შდრ.: ოშკურ რედაქციაში დადასტურებული **სხემ**- ფუძე: „**სხემ** ყვნა ნაბუქოდონორ მეფემან“ **О**,— „რომელნიცა წარსტყუნა ნაბუქოდონორ მეფემან“ **pb.**, ნემ. 7,6...

„შეიძლება საგანი რაღაც მოვლენის წყაროდ (ძირითად მიზეზად) გვევლინებოდეს, შეიძლება თვითონ იყოს მოვლენის არსობრივი შედეგი<sup>4</sup> (შდრ. **კუეთ**-ი სიტყვის ძირითადი განმარტებები:

<sup>1</sup> ბრჭყალებში რედაქციული ვარიანტებია დამოწმებული.

<sup>2</sup> ტიპოლოგიურად შეიძლება **ლტოლვა** და **ლტოლვილი** გავიხსენოთ.

<sup>3</sup> **განსხმა** „გაძევება“, **განჯღა** „განძება“, „განსხმა“, „განვლინება“, განთქუმა“, გაძევება, „განდევნა“... (აბულაძე 1973); შდრ. ქეგლის ახალი რედაქცია (ძველში არ არის): „**განასხამს** ძვ. განდევნის, გააძევებს მრავალს, გაყრის... **განსხმა** ძვ. სახელი **განასხამს** ზმნის მოქმედებისა, — განდევნა, გაძევება (მრავლისა), გაყრა... (ქეგლ II, 2010).

<sup>4</sup> აქ შეიძლება გავიხსენოთ შემდეგი მსჯელობა: „სახელდების მომენტი საგნობრივია, მაგრამ ზმნური შინაარსისა... საგანი იმდენად გვევლინება სახელდების ობიექტად, რამდენადაც იგი ხდება აღქმადი (აქტუალური) რაიმე ნიშან-თვისების გამოვლენის სახით (ფორმით). ამდენად, სახელდების საფუძვლად გვევლინება საგანი — როგორც მოვლენა, და არა საგანი — როგორც ინდიფერენტული ობიექტი. საგანს

„მკვეთი“ და „კვეთილი“)... (არაბული 2001, 305).

აკაკი შანიძე გამოყოფს იმგვარ შემთხვევებს, როცა მიმღობის ფუნქცია (შინაარსი) ზოგჯერ არ ეფარდება მის ფორმას: შეიძლება მიმღობა ფორმით მოქმედებითი იყოს და ფუნქციით — ვნებითი, ან პირუკუ: ფორმით — ვნებითი, ფუნქციით — მოქმედებითი: **მწე, შემწე** — ვინც ეწევა, ვინც დახმარებას უწევს („შემწე და მესწელი ჩემი ხარი შენ...“ ფსალ. 39,8). აქედან განყენებული სახელი „შემწეობა“. „შემწე“ ფორმით ვნებითია და ამ ზმნის მიმღობა „შეწეული“ უნდა იყოს და იყო კიდევ: „არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა,... დღეს არამცა ერთი ქართველი არ იბოების ესევეთარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა“...<sup>1</sup> (გ. მთაწმ. „ცხორ. იოვ. და ეფთ. 117), მაგრამ მის ნაცვლად ჩვეულებრივ „შემწე“, „მწე“ იხმარება (ფორმა შემოკლებულია: სრულად იქნებოდა „შემწევი“)... ასეთივეა **მრე** (< **მომრევი**): „ნუსადა თქუას მტერმან ჩემმან, მრე ვეყავ მას...“ (ფსალმ. 12,5), **კელმწიფე** „ვისაც **კელმწიფების**“... და ა.შ. (აკ. შანიძე 1973, 584).

ამგვარადვე, **(მ)სხემი** ისაა, **\*„ვინც განიდევნა, ვინც გააძეგვს“**: **მსხემი** — „განძებული“, გა(ნ)ძეგებული, განდევნილი; ვინც განიდევნა, ვინც გააძეგვს („გაასხეს“).

და, როგორც სახელი **ადამი** გახდა ზოგადად **ადამიანის** აღმნიშვნელი (ცნების განმსაზღვრელი), ასევე **მსხემი** — **\*„სამოთხიდან გამოძეგებულ ადამიანთა“**, **„საწუთროს მკვიდრთა, წუთისოფელში მცხოვრებთა, ამ სოფლის მდ(მ)გურთა“** აღმნიშვნელ სახელს წარმოადგენს.

---

სახელი ერქმევა როგორც მოვლენას (მისი რაიმე არსებითი გამოვლენის ფორმას)... (არაბული 2001, 305).

<sup>1</sup> ე.ი. „რომ არ ყოფილიყო ჩვენს შემწედ უფალი,... დღეს ვერც ერთ ქართველს ველარ ვნახავდით ამ ვრცელსა და დიდებულ ლავრაში“...

## გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე 1973** — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- არაბული 2001** — ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.
- არაბული 2008** — ავთანდილ არაბული, კვლავ ზმნური სუბლექტივიზმის ერთი უძველესი მოვლენისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXXVI, თბილისი.
- ბიბლიის ლექსიკონი I, 2000** — ბიბლიის ლექსიკონი, შემდგენლები: ელგუჯა გიუნაშვილი, ზურაბ კალანდაძე; რედაქტორი: ზურაბ სარჯველაძე; I, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1989** — „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“, ნაკვ.1 [შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ], ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბილისი, 1989.
- დანელია 1987** — ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. 1, ნაწ. 1, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი.
- დანელია 1998** — კორნელი დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ სამწერლობო ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ.1, თბილისი.
- ივ. იმნაიშვილი 1986** — ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი.
- ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996** — ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, თბილისი.
- კვარაცხელია 2009** — გუჩა კვარაცხელია, წერილები, ლექსები, დიალოგები, თბილისი.



**ლერნერი, ბინიაშვილი 1991** — კ. ლერნერი, ლალი ბინიაშვილი, ვერ-ძირის ისტორიისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი V, თბილისი.

**ლექსიკოგრაფ. 1967** — დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, თბილისი.

**ლოლაშვილი 1964** — „ძველი ქართველი მეხოტბენი“, წ. II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი [თამარ მეფის და დავით სოსლანის შესახებ], გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი.

**სარჯველაძე 1995** — ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** — ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**სულხან-საბა 1991, 1992** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ.1-2; თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქავთარაძე 1954** — ივანე ქავთარაძე, „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, თბილისი.

**ქავთარაძე 1964** — ივანე ქავთარაძე, „რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება I, თბილისი.

**ქეგლ V, 1958** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V-VIII; არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლ II, 2010** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II; ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, თბილისი.

**აკ. შანიძე 1973** — აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**აკ. შანიძე 1976** — აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

- პზ. შანიძე 2008** — მზექალა შანიძე, სტატია ენციკლოპედიიდან „ქართული ენა“, თბილისი.
- ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.
- დ. ჩუბინაშვილი 1984** — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.
- ნ. ჩუბინაშვილი 1973** — ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართულ ლექსიკონი, თბილისი.
- ჩუხუა 2000-2003** — მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- წიგნნი... 1990** — „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ ნაკვ.2 [ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორე სჯულისაჲ], ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბილისი, 1990.
- ალ. ჭავჭავაძე 1980** — ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი.
- ჭელიძე 2012** — ედიშერ ჭელიძე, „მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა“, ჟურნ. „გული გონიერი“ №1 (4), თბილისი.

Nino Khakhiashvili

## On the History of a Word – *msxemi*

### Summary

A word - *msxemi/sxem-i* (a stranger; a hermit; a human being) is attested just in old Georgian texts. We think that it was derived from a verb –*sxma (gansxma, gadzeveba): sxam -> sxem-i/msxem-i* (One who is outcast) through an archaic alliteration. Just like a word -*adam* that denotes a human being (*adamiani*), a word – *msxemi* has a meaning that follows: A man who was expelled from the paradise, a resident of the world.

## ფუძემდებელი და სიტყვაფორმების სავსებელი

### ქართული:

ამოწვევინება 23  
აწმყო აწმყოსი 62  
აწმყო მომავლისა 62, 66  
აწმყო წარსულისა 62  
ბაყე-ი 3  
ბუჟილი 3  
ბუზვა||აბუზვა 34  
გამოწვევა 22  
განასხამს 88  
გაფრახება 18  
გაფუყვა 19  
დაბუჟება 3  
დავაშულავებთ 44  
დავაშულოვებთ 44  
\*დაიაზება (ზ.იმერ.) 27  
დაიაზები (ზ.იმერ.) 27  
დაიაზებით 27  
დაკრძალვა 8  
დამსხები 76  
დამჭნარი 31  
დაშვილოებელი 45  
დაშურომა 31  
დოღ-ა 4  
დრო 58-59  
ენძელა||ღენძელა 30  
ვრცინ-ი 5  
ზოგო (ქართლ., მოხ., ფშ., კახ., ქიზ.) 32  
თეო (გუღ., მთ., მოხ., ფშ., თუშ., ქართლ.) 6  
თეო-ღ (გუღ., მთ., მოხ., ფშ., თუშ., ქართლ.) 6  
თურვებს 18  
იჭუნანი/ინჩაჭუნი 23  
კაკვია 6

კანი 7  
კმაკენა (ქიზიყ.) 7  
კრეჭია 6  
ლაბა 8  
ლაბე 8  
ლაპლაპი 9  
ლართი 10  
ლეღ- 33  
ლივლივი 10  
მარადისობა 58  
მარადიული აწმყო 58  
მაშერალი 31  
მელი 10  
მომავალი 58, 61, 63-66  
მოწუდილი 22  
მსურს 16  
მსხები 75-83, 86-87  
მწირი 76-82  
მჭლე 30-31  
ნალი 9  
ნაღო 8  
ონაზე (მოხ.) 11  
პრეხა 12  
ჟაპა-ჟუპი (ქართლ.) 12  
ჟეპა (რაჭ.) 12  
ჟაჟუნი (ქიზიყ.) 12  
ჟეჟა 12  
ჟეჟღვა (ქიზიყ.) 13  
ჟეჟრვა (ქართლ., იმერ.) 13  
ჟეჟერი 13  
ჟივილი 13  
ჟღეჭა 14  
ჟოღი (ქიზიყ.) 14  
ჟუვილი 13  
ჟღავე (ჩღრ.) 15  
ჟღავილი 15

ელივილი 15  
ელღლი 15  
ელღლი 15  
რჩევა 15  
სოკო 32  
საურვალი 18  
საურველი 18  
საყვირი 69, 72-73  
საყვრი 69, 73  
საშვილაო 45-46  
საშვილოე 45  
საშულავე 45  
საშულთე 45-46  
საშულთე 45  
სვეტი 16  
სოლი 16  
სულდგმული 53  
სულის ამოხდომა 53  
სულის (ჩა)დგმა 54  
სურვილი 16  
სხამ- 84-86  
სხემ-ყოფა 78  
სხმა 84-86  
ტრაკი 17  
ტვნი 16  
ტვნივანი//ტვნიანი 16  
ტყავი 17  
ურა 5  
ფლაფნა 18  
ფრახი 18  
ფუილი 34  
ფშოლიო 45-46  
ფხიზელი 19  
ქურცინი 5  
ქაშა 20  
ქაშოეთი 20  
ღანზილი (ინგილ.) 29  
ღანძელ (ხევს.) 29  
ღანძილი 29, 30  
ყვირ- 70, 73  
92

\*ყჳირ- 70  
ყვრ- 70, 73  
ყვრილი 70, 73  
ყვირო-სტვირი 69  
ყვრო-სტვრი 69  
შაშულავე 45  
\*შვილა 46  
\*შვილი 48  
შვილო 45-47  
შოლა 45-47  
შოლო 45-47  
\*შოლივი 46  
შოლიო 45-46  
\*შული 48  
შულთ 44, 46-47  
შულთები 44, 46  
შულთო 44  
ჩაწიხნა 31  
ცივ-ცივ (ხევს., ფშ., გუდ., მთ.,  
მოწ., ჯ., თ.) 20  
ციფი 21  
ძირი 30  
წდობა 22  
წებწკალი (ფშ.) 21  
წიხლი 31  
ჭლექი 31  
ჭნება 31  
ხანძილი (ფშ.) 29  
ხვანჩი 23  
ხანი 22  
ხუეჭა 22  
ჯიმკილა 29, 30  
ჯურმა (რაჭ.) 40  
ჯღაბნია 6  
  
ზანური (მეგრულ-ჭანური):  
ბოყვი 3  
გარახული თეე 71  
გაჭირება დო  
გამორსხებაში თეე 71

გინანამალი ოფე 72  
გინოანამაში ოფე 72  
გინოანდეს კოცენი,  
ვარა ნათოლემში ოფე 72  
გოჟილატა 14  
გოჟილიტუა 14  
დოლოდგიმუ 54  
დომაჟინენ 31  
დომაჟინდენ 31  
დომაჟინდელ 31  
დოშურდელ 31  
დოჟირკულ 31  
დოჟინდერი  
დულუ 5  
გონჟინამ 31  
გონჟინამ 31  
გშურდულქ 31  
თიბი 6  
თიფუ 6  
თფფ-გ 6  
კილიკელი 29  
კოლი 8  
ლული 33  
მოჟურახილი 12  
მოჟურახუა 12  
ომანე 10  
ომანო 10  
ონ/ონი 11  
ოჟვარუ 13  
ოჟლიტუ 14  
ოჟლიპუ 14  
ოფე 70, 71-72  
ოფე კოჩი 72  
ოფელენარი 71  
ოფელია 70  
ოფინონალი 70  
ოჟმარეს ხალხიში  
ოშაგარალი 71  
ოფელიაშ ძახი 72

ოფემ ძახი 72  
ოფემ ხელერდუა 72  
პუხუ 34  
ჟაჟუა 12  
ჟვარუა 13  
ჟილოტ- 14  
ჟიფუა 12  
ჟურა 14  
ჟურუ 14  
ხაუქვო ოფე 71  
ხილი 16  
სოკო 32-33  
ტვინი 16  
ტკები/ტეპი 17  
ტეპი 17  
ფუალა 34  
ფუნ 34  
ფუნაფა 34  
ფურფინი 18  
ფუჟური 19  
ფუჟურია 19  
ფუჟურუა 19  
ქოშა 20  
ქოშინაფა 20  
ქოშინაფილი 20  
ჟიონუა 70  
-ჟ- 73  
\*ჟი- 73  
ჟი-ონ-ი 73  
შეარაჟებული  
გამოცხადებაში ოფე 71  
შულადა 31  
შულადირი 31  
შურდგუმილი 53  
შური გედგიმერი 54  
შური გედგიმუ 54  
შურიშ ეშალაფა 53  
შური ეშახთიმუ (ხოფ, ვიწ.,  
არქ.) 53

შური ეშკოღვა (ათინ.) 53  
 შურის ინოღვღმა 54  
**ჩხუბის დო ბუნტის ოღე 71**  
 ჭინ 31  
 ჭინერი 31  
 ჭირაკუა 31  
 ჭირკილი 31  
 ჭირკუ 31  
 ჭკინ 31  
 ჭკინერი 31  
 \*ჭკინერი  
 ჭკოლა 30  
 ჭყორია 6  
**ხალხის ოშაღარალი ოღე 71**  
 ხეში ოღე 72  
 ხვაჭიე 22  
 ხონხი 23  
 ხონხმუშული 23  
**ჯახოსია 6**  
 ჯიშკილა 29-30  
 ჯი/ჯიჯ 29-30  
 ჯიჯი 29-30  
 ჯი-რჩე 29-30  
 ჯი-ჭითა 29-30  
 ჯიჯ-ლაყა 29-30  
 ჯიჯკილა 30  
 ჯურჯანი 40  
  
**სვანური:**  
 აკრჯალი 8  
 აჟებნე 12  
 არსგტეს (ბქ.) 15  
 არსგტი (ჩღრ.) 15  
 ასტეტე 16  
 ასტეტე 16  
 ატტნენე (ჩღრ.) 16  
 აური 18  
 ბაყტ-ია-ღ (ღშხ., ჩღრ.) 3, 6  
 ბლაყე-ია (ღშხ., ჩღრ.) 3, 6  
 ბჟღლ-მა-ბჟღლ (ბხ.) 4  
 94

ბჟღლ-მა-ბჟღლ (ბქ., ლნტ.) 4  
 ბუტკულ (ბქვ.) 32  
 ბზნგ (ბქ.) 41  
 გტნში (ზს., ლნტ.) 38  
 გტნში (ღშხ.) 38  
 გტნშაყან  
 დტალ-აღ 5  
 იცრფალ (ჩღრ.) 21  
 იჯტეს 23  
 კანწრ 7  
 კელ 8  
 კურპი (ბქ.) 41  
 ლნკუ 39  
 ლაპღღპი (ჩღრ.) 9  
 ლართ 10  
 ლარსგტნღლ 15  
 ლაწტღღრ (ბქ., ლნტ.) 22  
 ლაწტღღრ (ბხ.) 22  
 ლაწტღღრ (ღშხ.) 22  
 ლელუ 33  
 ლიბოლე 42  
 ლიბულალ 42  
 ლიკღწკი (ბხ.) 7  
 ლიკღწკუნე (ბხ.) 7  
 ლიკღწკუნე (ჩღრ.) 7  
 ლიღღბი (ბხ.) 8  
 ლიღღბი (ბქ., ლნტ.) 8  
 ლიღღბი (ღშხ.) 8  
 ლიღაპღღპი (ჩღრ.) 9  
 ლღრესგტ 15  
 ლიჟაჟუნე (ჩღრ.) 12  
 ლიჟღღნე (ბხ.) 13  
 ლისტეტე 16  
 ლიტყაბი 17  
 ლიტყბი 17  
 ლიტღღღ (ჩღრ.) 10  
 ლიფღღღღე 18  
 ლი-ფტინე 34  
 ლიფხეჟ 19  
 ლიწტღღ (ბხ.) 22

ლიწუდი (ბქ.) 22  
ლეჟჟნე 12  
ლეტუნე 16  
ლე-ლ-ლენ (ზს., ლშხ.) 41  
მაურ 18  
მატირ 18  
მატრანდ 18  
მატრანდ 18  
მებულმებილ 42  
მებულალ 42  
მეზგრადელ 42  
მეზელალ 42  
მეთხუდარ 42  
მეველ 42  
მუს 38  
ნაურ 18  
ოლურცუზ (ბქ.) 37  
ჟულ 13  
ჟულმაჟულ 13  
ჟულ 13  
ჟლავე 15  
ჟღლ (ჩღრ.) 13  
ჟღლ-ჟღლ 13  
ჟტერ (ჩღრ.) 13  
ჟღღლი 15  
ჟღღლი 15  
ჟღღლ (ბქ.) 15  
ჟღღლმაჟღღლ (ბქ.) 15  
სანჟურ (ღშხ.) 70  
სანჟურ (ღსმ.) 70  
ს გ ტ ი რ 48 - 49  
ს გ უ რ ა რ (ბზ.) 48  
სოკ(ვ) 32  
სტამფილო (ბზ.) 41  
სტამფილო (ღშხ.) 41  
სურნ 16  
ტყუბულ (ბზ.) 32  
ტრაკიაღ (ღშხ.) 17  
ურ (ჩღრ.) 18  
ურშუნა 5

ურშონა 5  
ტარილ 5  
ტონა (ზს.) 11  
ტანა (ზს.) 11  
ტონა (ქს.) 11  
ტოლურცუ (ბქ.) 37  
ტოლურცუზ (ბქ.) 37  
ფრანკ 19  
ფრანკ 19  
ფუჟუ 19  
ფხეჟნი 19  
ფხეჟნი 19  
ფხეჟა 19  
ფხანჟა 19  
ფხიჟე 19  
ქოშ (ბქ.) 20  
ქტანდარ (ბქ.) 38  
ქტინდიმგენე 54  
ქტინდიმგენე 54  
ქტინიშ ლიგენე 54  
ქტინიშ ლიჟუჟე 53  
ქტელ 38  
ქტეფ (ბქ.) 39  
ქტეფდ 39  
ყანჯალ (ბქ.) 41  
შიშგილ 29  
შიხუნდ 42  
ჩორფუჩოლფუ 40  
ჩილეღტ (ბქ.) 40  
ცვრცმა 39  
ციტციტდ (ჩღრ.) 20  
წკალ 21  
ხან (ჩღრ.) 22  
-ხან (ბზ.) 22  
-ხენ (ბქ., ქს.) 22  
ხოჯტეს 22  
ჯტა (ჩღრ.) 22  
ჯტანჩ 23  
ჯტინჩანბ 23  
ჯტრჯტუმა (ბქ.) 40

ჰერწემ 42  
ჰტიჯ||ტიჯ 42  
გაშა 39

საერთო-ქართველური:

\*ზაყტ- 3  
\*ბუჟ-/ბუჟე-ილ- 3  
\*დტალ-ა- 4  
\*თეჟ- 6  
\*-ია 6  
\*კან- 7  
\*კმაკ-//\*კლაკ- 7  
\*კოლ- 8  
\*კრძ-ალ- 8  
\*ლაბ- 8  
\*ლაპ-ლაპ- 9  
\*ლართ- 10  
\*ლიტ-ლიტ- 10  
\*მელ- 10  
\*ონ- 11  
\*პრეს- 12  
\*ჟაპ-/ჟეპ- 12  
\*ჟაჟ-/ჟეჟ- 12  
\*ჟეჟლ- 13  
\*ჟივ-ილ-//ჟეჟ-ილ- 13  
\*ჟლეტ-/ჟლიტ- 14  
\*ჟოლ- 14  
\*ჟუერ- 13  
\*ჟლაგ-ილ-//ჟლივ-ილ- 15  
\*რეჩ-ტ/რჩ-ეჟ- 15  
\*სოკო 32  
\*სოლ- 16  
\*სტეტ- 16  
\*სურ- 16  
\*ტრაკ- 17  
\*ტტინ- 16  
\*ტყავ- 17  
\*ურ- 18  
\*ტარ- 5  
\*ტრცინ- 5  
96

\*ფლაფ- 18  
\*ფრან- 18  
\*ჟი/ფუ 34  
\*ფუჟ- 19  
\*ფხეხ1-/ფხიხ1- 19  
\*ქაშ- 20  
\*ცოტ-ცოტ- 20  
\*ცოფ- 21  
ცვრცმა (ზს.)  
\*წკალ- 21  
\*წუდ- 22  
\*ხან- 22  
\*ხტეჟ- 22  
\*წუ- 22  
\*წუნან-//\*წტინნ- 23  
გაშა (ზს.)

აბაზური:

თვფ (აშხ.) 6  
შხგ 41

აფხაზური:

ა-თა-(ზაა)-რა 52  
ა-თვფ 6  
ა-კლა 30  
ა-კომპგლ||ა-კომპგლ 41  
ა-ლტკო 39  
ა-მა-ზაა-რა 53  
ა-პეხუ 34  
ა-ფსტ 52  
აფსთაზაარა 52  
ა-ქალა 38  
ა-ქალ (ბზიფ.) 38  
ა-ყა-ზაა-რა 53  
აშო ალტკო ტლარშ 39  
აჩერჯო 40  
ა-ცურცამბ 39  
პუხუ 34, 54





## სარჩევი - CONTENTS

<b>ლევან კელაურაძე - დამატებანი ქართულურ მნათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის .....</b>	3
<b>Levan Kelauradze - Additional Material for Etymological Dictionary of Kartvelian Languages .....</b>	26
<b>ნანა მაჭავარიანი - ლექსემა „დაიაზება“ ზემოიმერულში... ..</b>	27
<b>Nana Machavariani - Lexeme “daiazeba” in Upper Imerelian .....</b>	28
<b>ეკატერინე ოსიძე - ვარაუდები რამდენიმე ქართული ფუძის წარმოშობისა და შედგენილობის თაობაზე .....</b>	29
<b>Ekaterine Osidze - Sippositions about origin and composition of some Georgian stem .....</b>	35
<b>მედეა საღლიანი - სვანურ-აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკონი შესვედრები .....</b>	37
<b>Medea Sagliani - Svan and Abkhazo-Adyghean (resp. Circassian) Vocabulary Concurrence .....</b>	43
<b>მურმან სუხიშვილი - ერთი საერთო საფიქრო ტერმინი ქართულსა და სვანურში.....</b>	44
<b>Murman Sukhishvili - A Common Textile Term in Georgian and Svan .....</b>	51
<b>ნათია ფონიავა - აფხაზური აფსტაზაარა „სიცოცხლე“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის .....</b>	52
<b>Natia Poniava - Towards the Etymology of Abkhaz Word Apstázaara “life”... ..</b>	56
<b>მედეა გლონტი - გუნებოთი და გრამატიკული დროის ქრონოგრაფიული უბრალოდობისათვის ქართულში (ქართ. მომავალი-ს საღვთისმეტყველო ასექტები) .....</b>	57
<b>Medea Glonti - On Chronometric Correlation of Natural Time and Grammatical Tense in Georgian(Theological Aspects of Georgian momavali “Future”) .....</b>	68
<b>ეთერ შენგელია - საყვირის შესატყვისისათვის მებრუნული .....</b>	69
<b>Eter Shengelia - Towards correspondence of the Georgian word saqvir-i “hooter” .....</b>	71
<b>ნინო ხახიაშვილი - სიტყვა მსხემ-ის ისტორიისათვის .....</b>	75
<b>Nino Khakhiasvili - On the History of a Word – msxemi .....</b>	90
<b>ფუქია და სიტყვაფორმათა საძიებელი .....</b>	91